F75 N 83

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84; ტელეფონი № 10—40
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსა 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დღიური

საფრანგეთის ფაშისტები ემზადებიან ბრიანის [illegible]ბად.
ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა ესტონეთის [illegible] ხელოსნობს.
პოლონეთში ხდება უმუშევართა დიდი დემონსტრაციები.
საფრანგეთის პრესაში გაცხოველებული კამათია მუნიციპალიტეტის უკანასკნელ არჩევნებში კომუნისტების გამარჯვების გარშემო.
იტალიის ფაშიზმი კრიზისს განიცდის.

ხუთშაბათი, 1 აპრილი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 72 (1527)

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
მთავარი კანტორა რუსთაველის პროს. № 84.

საჭირ-ბოროტო საკითხი

ჩვენს რედაქციას სოფლებიდან მოსდის მრავალი კორესპონდენცია მიწების სყიდვა-გაყიდვის შესახებ, რასაც იქ თურმე აქვს ადგილი. ეს მოვლენა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვინაიდან იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვართაგანს, რომლის თანახმად მოსპობილია მიწაზე კერძო საკუთრება, მთელი მიწა გამოცხადებულია სახელმწიფოს საკუთრებად და იგი მშრომელ გლეხობის სარგებლობაშია გადაცემული.

მოსახლეობამ კარგად იცის, რომ საბჭოთა მიწის კოდექსით აკრძალულია მიწების სყიდვა-გაყიდვა, მაგრამ ფაქტიურად ის ხშირად გვერდს უხვევს ამ კანონს. მიწების გაყიდვა ხდება ჩუმად, შინაურულად, კერძო სიტყვიერ თუ წერილობითი გარიგების გზით, რაც არა იშვიათად შეუმჩნეველი რჩება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. კერძოდ აღსანიშნავია, რომ იჯარის სისტემამ ჩვენში მეტად მახინჯი ხასიათი მიიღო. იჯარის ნიღაბ-ქვეშ ბევრგან მიწის ნამდვილი სყიდვა-გაყიდვა სწარმოებს. ოფიციალურად ეს იჯარაა, სათანადო ორგანოებში სამისო აქტები იწერება, მაგრამ ამავე დროს მხარეები საიდუმლოთ ახდენენ სხვა გარიგებას, რომლის მიხედვით მიწა „საკუთრებად" გადადის „მოიჯარადრის" ხელში, და ამ გარიგებას აკუთვნებენ უფრო მეტ სავალდებულო ხასიათს, ვიდრე კანონიერ ხელშეკრულებებს.

მიწით სპეკულიაციას, მის საქონლად გადაქცევას, უნდა გამოეცხადოს უსასტიკესი ბრძოლა. მთავრობამ ამ მხრივ უკვე მიიღო ზოგიერთი ღონისძიება. მაგალითად, გამოიცა შემდეგი დადგენილება მიწის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ (იხ. „კომუნისტი" № 36, ა. წ. [illegible]): 1. ის მოქალაქე, რომელიც არღვევს მიწის კოდექსის 25 [illegible] ე. ი. გაყიდის, გააჩუქებს, დაა[illegible]ებს იმ მიწას, რაც მის სარგებლობაშია, პასუხს აგებს სასამართლოს წესით, როგორც განსაზღვრულ მიზნით მიცემული ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის; ამასთავე დამნაშავეს, გარდა იმისა, რომ სის. სამ. კოდ. 192 მუხლში გათვალისწინებული ერთ-ერთი სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება, ჩამოერთმევა აგრეთვე სარგებლობისათვის გადაცემული მიწა, ხოლო [illegible]ით გარიგება გაუქმებულად ჩაითვლება. 2. ის მოქალაქე, რომელიც იყიდის, მიიღებს საჩუქრად, ანდერძით, ან გირაოდ, ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ მიწას, პასუხს აგებს, როგორც ამავე დანაშაულობრივი ქმედობის მონაწილე".

მთავრობის უკვე გამოქვეყნებულ დადგენილებიდან ჩვენ ასეთი ვრცელი ამონაწერი მოვიყვანეთ, რათა მას ყველა იყოს გაცნობილი. მიწის კანონის დარღვევისათვის, როგორც ვხედავთ, საკმაოდ მკაცრი სასჯელია დაწესებული. ოღონდ საჭიროა მისი მტკიცედ განხორციელება. სათანადო ორგანოებმა მიწის კანონის დარღვევას ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური, ვინაიდან ცხადია, რომ თვითონ მიწის შემყიდველი თუ გამყიდველი არ აღძრავს საქმეს სასამართლოში. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს არ უნდა გამოეპაროთ არც ერთი შემთხვევა მიწის გაყიდვის, გაჩუქების ან დაგირავების და დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ამის საწინააღმდეგო კანონიერი ზომები.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა მიწის გაყიდვა ხდება იჯარის სახით. აქ უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ფორმალურად კანონი დაცულია, ნამდვილად კი ის ირღვევა. აქა-იქ ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომ რამოდენიმე ქცევა მიწის „იჯარით" ასაღებათ, რომელიმე გლეხი ჰყიდის საქონელს, სახლს და წარმოუდგენლად მაღალ „საიჯარო" ფასს იხდის; „იჯარაზე" ამდენ ფულს ის არავითარ შემთხვევაში არ გაიღებდა, რომ არ იყოს დარწმუნებული, რომ მიწა მას სამუდამოდ დარჩება; იგი კიდეც სდებს თავის კონტრაგენტთან სამისო კერძო შეთანხმებას.

თუ დღევანდელი საიჯარო პრაქტიკით შექმნილი მდგომარეობა დარჩა, ეს ხელს შეუწყობს მიწების თავმოყრას კულაკების ხელში, გლეხობის ნაწილის გაღატაკებას და მის დამონებას სოფლის შეძლებულ ელემენტების მიერ. სასტიკად უნდა იქნეს განსაზღვრული იჯარის წესები. ჩვენ ამ მხრივ არ გაგვაჩნია დაწვრილებით ჩამოყალიბებული კანონი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიცეს ამ მოკლე დროში, მიწის კოდექსის საფუძველზე.

ცაკის მომავალმა სესიამ ეს უნდა გაიხადოს თავის მუშაობის საგნად. ვის შეუძლია მიწის იჯარით გაცემა, რა ვადით და რა პირობებში, ამაზე მკაფიო დირექტივები უნდა იქნეს გამოქვეყნებული. გამოსავალი წერტილი აქ, ცხადია, იქნება მიწის ნაციონალიზაციის პრინციპის სრული ხელშეუხებლობა და სასოფლო მეურნეობის, კერძოდ მშრომელ გლეხობის მეურნეობის აღორძინება.

მაგრამ მარტო კანონებით და რეპრესიული ზომებით შეუძლებელია ფარული სყიდვა-გაყიდვის საბოლოო აღმოფხვრა. ვინ ჰყიდის ჩუმად მიწას, ვინ იძლევა მას „იჯარით"? რა თქმა უნდა, [illegible] და ღარიბი გლეხი, რომელთაც ფული ესაჭიროებათ და თავის მიწის დამუშავების საშუალება არ გააჩნიათ, არ მოეპოვებათ მუშა-ხელი და საწარმოო იარაღები. ამიტომ ღარიბ გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენა—საუკეთესო გზაა მიწის სყიდვა-გაყიდვის მოსასპობად. მშრომელ მოსახლეობის შეკავშირება, მისთვის საწარმოო მიზნით კრედიტის მიწოდება, ქვრივ-ობლების მიწების კოლექტიურად დამუშავება (აქ კერძოდ გლეხკომებს დიდი მოვალეობა აწევთ),—აი ის ღონისძიებანი, რომელნიც ბოლოს მოუღებენ ხსენებულ დაუშვებელ მოვლენას და ღარიბ გლეხობას გაანთავისუფლებენ კულაკების ეკონომიური გავლენისაგან. საბჭოთა ხელისუფლების მთელი საქმიანობაც აქეთკენაა მიმართული.

საბჭოთა მეურნეობა და სადღეისო ამოცანები

საბჭოთა მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ უკანასკნელ წლების განმავლობაში განვითარების დიდი მანძილი გაიარა. წარმოების მთელ რიგ დარგებში ჩვენ თითქმის უკვე მივაღწიეთ მშვიდობიანობის დროის დონეს. ზოგიერთებში კი ეს საზღვარი კიდევაც გადავლახეთ. ამ საერთო აღმშენებლობითი ზრდამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლების განმავლობაში საბჭოთა მეურნეობის ყოველ დარგში, თავის დადებით შედეგებთან ერთად, სხვათა შორის, შეჰქმნა ერთგვარი მავნე გადახრაც.

აღმშენებლობითი ციებ-ცხელებით გატაცებულნი ზოგიერთი ორგანოები ფართედ შლიდენ თავის შემდეგი მუშაობის გეგმებს და ამ გეგმების შედგენის დროს უფრო კეთილი განზრახვებით ხელმძღვანელობდენ, ვიდრე არსებულ რეალურ შესაძლებლობით. შესაძლებლობა კი ისეთია, რომ, მიუხედავათ წარსული წლების განმავლობაში მეურნეობის სწრაფი განვითარებისა, აღარ რჩება ჩვენი შემდეგი წინსვლისათვის ისეთივე ფართე გასაქანი. როგორც ეს აქამდე იყო.

აღორძინებითი პროცესის დასრულებასთან ერთად ამოიწურა ძველი ტეხნიკური შესაძლებლობანი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას მემკვიდრეობით დარჩა კაპიტალისტურ მეურნეობისაგან. ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით, ისე როგორც არასოდეს, წამოიჭრა ძირითად ტეხნიკურ კაპიტალის გაფართოება-გაუმჯობესების საკითხი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მეურნეობის შემდეგი განვითარების მიუცილებელ პირობას. ეს ამოცანა, იმ საკრედიტო ბლოკადის პირობებში, რომელშიაც იმყოფება საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანაა.

ამას თან ერთვის ის დაბრკოლებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს საგარეო ვაჭრობაში უახლოეს საოპერაციო ხნის განმავლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პურის უცხოეთის ბაზარზე გატანის საკითხი. აქ არ გამართლდა ადრინდელი იმედები. გარდა ამისა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ზრდამ გართულება გამოიწვია მეურნეობის სხვადასხვა დარგში. სათბობი მასალის ნაკლებობა, რომელიც ვერ აუდის მოთხოვნილებას, მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის არაჩვეულებრივი ზრდა და ამასთან დაკავშირებით ბაზრის დაშლა ქალაქის პროდუქციის ფართე მოთხოვნილების საგნებით,—აი ის მთავარი სიძნელენი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სამეურნეო ფრონტზე.

ცხადია, ასეთ პირობებში საჭიროა განსაკუთრებული მომჭირნეობითი და გეგმაშეზომილი მუშაობა, რომ თავი დავაღწიოთ შექმნილ სიძნელეებს და უზრუნველვყოთ მეურნეობის უმტკივნეულოთ განვითარება. აქვე უნდა ითქვას, რომ სამეურნეო დაბრკოლებები ბირველ ყოვლისა გამოძახილს პოულობენ ფულის ბაზარზე და ამნაირათ საშიშროებას უქმნიან წლიურ და დაგვით განმტკიცებულ საბჭოთა მანეთის ღირებულებას. ფართო აღმშენებლობითი მუშაობა კი მჭიდროთაა გადაჯაჭვული ფულის საკითხთან. სახელმწიფოს არ შეუძლია მეურნეობის მადაახსნილ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ ფულის ბეჭდვით. ეს იქნებოდა ჩვენი ფინანსიური პოლიტიკის დასამარება.

აქ საჭიროა მტკიცე კურსის აღება სახელმწიფოს შემოსავლის წყაროების გაზრდისათვის ერთი მხრივ და მეორე მხრივ სამეურნეო აღმშენებლობის ისეთი გზით წარმართვა, რომელიც შეეფერება ჩვენს დღევანდელ ეკონომიურ და ფინანსიურ შესაძლებლობას.

ამიტომაა, რომ მთელ რიგ წარმოებებში შეკვეცილია დღეს ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოების მიერ წინასწარ განზრახული ადგილობრივი საამშენებლო გეგმები. ეს გეგმები უმთავრესად შედგენილი იყო ადრინდელ განვითარების ტემპის მიხედვით და არ ითვალისწინებდენ იმ პირობებს, რომელნიც მოსალოდნელი იყო ჩვენი მეურნეობის შემდეგი წინმსვლელობისათვის.

ამასთან ერთად მთელ საბჭოთა კავშირში სადღეისო ლოზუნგათაა აღიარებული ეკონომიის მტკიცე რეჟიმი. ეს ლოზუნგი ურყევათ და კეთილსინდისიერათ უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიერ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითეული უსარგებლოთ გაცემული მანეთი, ყოველგვარი უმიზნოდ გაღებული ხარჯი მძიმე ტვირთად აწვება საბჭოთა სალაროს და აფერხებს სახელმწიფო რესურსების დაგროვებას, რაც ასე აუცილებელია შექმნილ სიძნელეთა დაძლევისათვის და ჩვენი მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის.

მთელი ჩვენი საკანტროლო აპარატი, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ხაზით, პრესა, მუშა და გლეხი კორესპონდენტები, პარტია და პროფკავშირები და პირველყოვლისა თვით სამეურნეო ორგანოები უნდა ამოძრავდენ ამ ლოზუნგის გარშემო და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ თანამდებობრივ დაუდევრობას, მფლანგველობას, ხელგაშლილობას, ფუფუნებას და ყოველივე იმას, რაც ზიანს აყენებს ჩვენს სალაროებს და ხელს უშლის სახალხო დოვლათის ზრდადაგროვებას.

რასაკვირველია, ბრძოლა მომჭირნეობისათვის ჩვენ ისე არ გვესმის, თითქოს აქ საქმე ეხებოდეს მხოლოდ რაიმე თანამდებობრივ ბოროტმოქმედებას ან ამა თუ იმ ორგანოს ხელმძღვანელთა ჯიუტობას, როცა ეს ჯიუტობა გამოიხატება შექმნილ მდგომარეობისათვის ანგარიშგაუწევლობაში. წვრილ ბოროტმოქმედებათა და ერთგვარ თავნებობასთან ერთად, საჭიროა საკითხის უფრო ფართედ დაყენება.

ზოგჯერ ეკონომიის მტკიცე რეჟიმი ირღვევა ჩვენი უთადარიგობით, საქმის არ ცოდნით ან მხოლოდ საკუთარ დაწესებულების ინტერესების ჩარჩოებში მუშაობით. აქ საჭიროა სისტემატიური კანტროლი ცენტრალურ რესპუბლიკანურ ორგანოების, საწარმოო თათბირების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივ ძალების მიერ.

სიძნელენი დიდია, მაგრამ განვითარების ყველაზე მძიმე პირობები უკანაა მიტოვებული, საბჭოთა ხელისუფლება მთელ მშრომელ მასასთან ერთად, ისე, როგორც მას არა ერთი ამაზე ბევრათ უფრო მძიმე განსაცდელისგან დაუღწევია თავი, შესძლებს შექმნილ დაბრკოლებათა უხიფათოდ გადალახვას.

ს. შ—ძე.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 30 მარტი. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილებების განხილვას გერმანიის საკითხის შესახებ.

კომპარტიის ცენტრალურმა ორგანომ „როტე ფანემ" გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობები კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წერილის გარშემო დაწყებული პარტიული დისკუსიის შედეგების შესახებ. გაზეთი სწერს, რომ **რუტ ფიშერის და მასლოვის ჯგუფის** საბოლოოდ დაშლის შემდეგ მემარცხენე მუშების უმრავლესობა გაიმიჯნა ამ ჯგუფის შეცდომებისაგან. ამ ჯგუფის დაშლასთან ერთად ჩაისახა პარტიისათვის საზიანო ლიკვიდატორული მიმდინარეობა. ეს ლიკვიდატორული ჯგუფი ცენტრში ჰქმნის ცალკე ფრაქციას **კორშის, შვარცის და როლფის** ხელმძღვანელობით, რომელნიც შეუდგენ თავისი მომხრეების დარაზმვას მთელს გერმანიაში.

„როტე ფანე" ნათელჰყოფს ანტილენინურ პოზიციას იმ ჯგუფისა, რომლის შეხედულებები, მიუხედავად უკიდურეს მემარცხენე ფრაზებისა, არაფრით არ განირჩევა მენშევიკების შეხედულებისაგან.

შეცდომაში შეყვანილი ამხანაგების სწორ გზაზე დაყენება და პარტიისათვის მტრული ელემენტების სრული იზოლიაცია—ასეთია, გაზეთის აზრით, კომპარტიის უახლოესი ამოცანა.

ბრიანის კაბინეტის ბედი

პროტესტი ბრიანის პოლიტიკის წინააღმდეგ

პარიზი, 30 მარტი. როცა დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა აპრილისთვის საბიუჯეტო ასიგნობების საკითხი სოციალისტებმა მოითხოვეს შემცირებული ყოფილიყო კრედიტები სირიის ექსპედიციაზე 1 მილ. ფრანკით, ვინაიდან ამით სურდათ მოეთხოვათ სირიის ევაკუაცია.

მიუხედავათ იმისა, რომ გამოთქმული იყო ამის საწინააღმდეგო აზრი მთავრობის მხრივ, **ეს წინადადება მიღებულ იქნა მემარცხენეების 268 ხმით მემარჯვენეების 265 ხმის წინააღმდეგ.**

კაბინეტს წყალი შეუდგა

პარიზი, 30 მარტი. მიუხედავათ იმისა, რომ დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ მიიღო **რაულ პე-**პროექტი, **ბრიანის კაბინეტის მომავალი ბედი მაინც დიდ შიშს იწვევს.** საფინანსო კომისიის ზოგიერთი მემარჯვენე წევრები აცხადებენ, რომ თუ მათ ხმა მისცეს გადასახადს აღებმიცემობაზე,—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაეჩქარებიათ საფინანსო პროექტის განხილვა დეპუტატთა პალატის მიერ.

სოციალისტების და რადიკალების უმრავლესობა უკმაყოფილოა საფინანსო კომისიის გადაწყვეტილებით.

მთავრობის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ ოპოზიციის დეპუტატების ნაწილს თავს შეაკავებინებენ კენჭისყრის დროს, რათა ამ გზით იხსნან ბრიანის კაბინეტი.

ბურჟუაზიულ ჯგუფების წევრები ყოველმხრივ მოწადინებული არიან თავიდან აიცილონ მთავრობის კრიზისი.

მემარჯვენეების კამპანია

პარიზი, 30 მარტი. **მემარჯვენეებმა გააძლიერეს კამპანია მთავრობის წინააღმდეგ**, რისთვისაც საბაბად იყენებენ სტუდენტ რიდარის მოკვლას. სტუდენტი რიდარი მოჰკლეს, როცა პოლიცია დაერია დემონსტრაციას, რომელიც პატრიოტულმა ახალგაზრდობის ფაშისტურმა ლიგამ მოაწყო შინაგან საქმეთა მინისტრის **მალვის** წინააღმდეგ.

რიდარი მოკვდა თავში დარტყმის გამო. მემარჯვენეები მთავრობას ბრალს სდებენ იმაში, რომ მან მოაკვლევინა პატრიოტი კომუნისტების გულის მოსაგებად; ისინი აგრეთვე პოლიციას უსაყვედურებენ, რომ მან ფაშისტურ დემონსტრაციას წაართვა ნაციონალური დროშა, ხოლო კომუნისტური დემონსტრაციისათვის, რომელიც წითელი დროშებით გამოვიდა ქუჩებში, მას ხელი არ შეუშლია.

პატრიოტულ ახალგაზრდობის ლიგის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ტეტენჟემ** ამის გამო შეკითხვა შეიტანა დეპუტატთა პალატაში.

ფაშისტების ზრახვები

ნიუ-იორკი, 30 მარტი. ამერიკაში სწარმოებს მუშაობა, **რომლის მიზანია ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მომზადება საფრანგეთში ფაშისტურ გადატრიალებისათვის.**

პარიზელი კორესპონდენტები, განსაკუთრებით ფინანსიურ ორგანოების კორესპონდენტები ხშირად იუწყებიან, რომ საფრანგეთის პარლამენტს არ ძალუძს ინფლიაციის თავიდან აცილება და ფინანსების განმტკიცება და რომ საჭიროა გაბედული ზომების მიღება.

საქმიან წრეების წარმომადგენლებს შორის ვრცელდება საიდუმლო ბიულეტენები, რომელშიაც აშკარადაა ნათქვამი, რომ **საჭიროა საფრანგეთში [illegible]**ლება.

მუშათა ბრძოლა

კომკავშირელები განაგრძობენ სიმშილობას

ვენა, 29 მარტი. კლაუზენბერგის ციხეში კომკავშირელთა სიმშილობა უკვე ხუთმეტი დღეა გრძელდება. მათ შეუერთდათ კომკავშირელთა ახალი ჯგუფი 17 კაცის შემადგენლობით, ასე, რომ ეხლა სულ სიმშილობაში მონაწილეობას იღებს 67 კაცი.

მიუხედავათ ამისა პროკურატურას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია პატიმართა მოთხოვნილება გამოძიების დაჩქარების და ტუსაღებისათვის კანონიერი უფლებების მინიჭების შესახებ.

კომკავშირელთა უმეტესი ნაწილი ავად გახდა სიმშილობისაგან, მაგრამ უარს ამბობენ ყოველგვარი საექიმო დახმარების მიღებაზე, **სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილებები.**

„სანამ სამუშაოს არ მივიღებთ"

ვარშავა, 30 მარტი. ლოძში **იმართებოდა უმუშევართა ფართო დემონსტრაციები, რომელსაც პოლიცია სისტემატიურად სდევნიდა.**

შრომის ბირჟის წარმომადგენელთა დაპირებების საპასუხოდ უმუშევრები აცხადებენ:

„კმარა დაპირება! მიუხედავად რეპრესიებისა, ჩვენ თავს არ დავანებებთ დემონსტრაციების მოწყობას, სანამ სამუშაოს არ მივიღებთ.

კომუნისტების გამარჯვება

პარიზი, 30 მარტი. პრესა განაგრძობს მსჯელობას პარიზის მეორე სექტორის არჩევნების შედეგების შესახებ.

მემარჯვენე გაზეთები ყოველმხრივ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ უწინდელი მემარცხენე ბლოკის მაგიერ იქნება გაფართოებული ბლოკი კომუნისტების მონაწილეობით. **კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ პარიზის არჩევნების შედეგი უპირველეს ყოვლისა, არის ფაშისტების დამარცხება.** ამასთანავე ერთად არჩევნების შედეგი აშკარავებს, რომ **ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია სახალხო მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობა, არის კომპარტია.** გადასახადით დატვირთული და ფრანკის დაცემით გაკოტრებული წვრილი ბურჟუაზია დარწმუნდა დაბოლოს, რომ ფაშისტებისაგან მას დაიცავს მხოლოდ კავშირი რევოლიუციონურ მუშებთან. გამარჯვება, მოწოდების თანახმად, წილად ხვდა კომპარტიას და აგრეთვე სოციალისტ და კომუნისტ მუშების ბლოკს, რომელსაც მხარი დაუჭირა წვრილი ბურჟუაზიამ. ეს მხარის დაჭერა მოხდა მიუხედავათ წვრილ-ბურჟუაზიული პოლიტიკოსების შერყეობისა.

დასასრულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ პარიზის არჩევნებში გამარჯვება უშედეგოთ დარჩება, თუ მას არ მოჰყვა პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანება მემარცხენე ბლოკის პოლიტიკით, უკმაყოფილო საშუალო ფენების დახმარებით და ხელშეწყობით.

ჩინეთის რეაქცია

პირველი შეხვედრა

ლონდონი, 29 მარტი. „მანჩესტერ გარდიენის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 19 მარტს მოხდა ჩინეთის და უცხოეთის წრეების წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა.

ამ შეხვედრის დროს უცხოეთის წრეების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მუნიციპალური საბჭო თანახმაა ჩინელებმა მონაწილეობა მიიღონ უცხოეთის კვარტალის მმართველობაში და აგრეთვე მოახდინოს საერთაშორისო შერეული სასამართლოს რეორგანიზაცია ისე, რომ ის ჩინეთის იურისდიქციას დაუმორჩილდეს.

პეკინთან

პეკინი, 30 მარტი. **ლი-ჩინ-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარებს აღარ განუახლებიათ იერიშები პეკინზე.**

ახალი შეთანხმება

პეკინი, 30 მარტი. სახალხო არმიის შტაბი იტყობინება, რომ შანსის პროვინციის სამხედრო გუბერნატორ იო-სი-შანისაგან მიღებულია დეპეშა, რომელშიაც უკანასკნელი იტყობინება ტატუნიდან ჯარების გამოყვანას და აცხადებს, რომ მას არავითარი მტრობა არ აქვს სახალხო არმიისადმი. ეს გარემოება სახალხო არმიას უკან დახევის დროს თავიდან აცილებს საფრთხეს ზურგიდან. ფიქრობენ, რომ ეს შეთანხმება შედეგად მოჰყვა სახალხო არმიის განცხადებას, რომ ის არ შეუტევს შან-სის.

„კომუნისტური აგიტაციისათვის"

პეკინი, 30 მარტი. **აქ მიღებულ ცნობების მიხედვით, ტიან-ძინში დახურეს სამ[illegible] კომუნისტური [illegible]ციის წარმოებისათვის.**

უცხოელთა კონცესიების ადმინისტრაციამ ტიან-ძინში შეადგინა ჟანდარმების სპეციალური რაზმი, რომელმაც წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს თეთრგვარდიელების ჯარების (ნეჩაევის რაზმის) გადმოსვლას კონცესიების ტერიტორიაზე.

პეკინის მთავრობის გასაჭირი

პეკინი, 30 მარტი. რადგან სესხის გამოშვება შეუძლებელი გახდა, **პეკინის მთავრობა ჩავარდა გამოუვალ ფინანსიურ მდგომარეობაში და გადასწყვიტა ფინანსიური დახმარება სთხოვოს უცხოეთის სახელმწიფოებს.**

ჩინეთის სააგენტოს ცნობით, ფინანსთა მინისტრს განზრახული აქვს გამოუშვას სახაზინო სავალდებულო ბილეთები. ამ პროექტის დაწვრილებით განხილვა მინისტრმა მიანდო დიპლომატიურ კორპუსს. რადგან, როგორც სჩანს, მისი დახმარების იმედი აქვს.

სააგენტოს ცნობით, ჰოლანდიის ელჩმა **უდენდაიკმა** ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ უცხოეთის სახელმწიფოები თანახმა არიან გაიღონ 500.000 დოლარი საბაჟოდან შემოსულ ზედმეტ შემოსავლიდან. პოლიციის ჯამაგირის გასასტუმრებლად და პრეზიდენტის დამცველ რაზმის შესანახად. ეს გადაწყვეტილება შედეგად მოჰყვა დუან-ძი-ჟუის მიმართვას უცხოეთის სახელმწიფოებისადმი. რომელშიაც ის აცხადებს, რომ ჯამაგირის გასტუმრების დაგვიანებამ შესაძლოა მღელვარება გამოიწვიოს ქვეყანაში.

ლი-ჩინ-ლინის ბონები

პეკინი, 30 მარტი. [illegible] ჯარებისათვის ჯამაგირების დასარიგებლად **ლი-ჩინ-ლინმა** [illegible] ბონები, რომელიც არაფრით არ არის უზრუნველყოფილი.

ლი-ჩინ-ლინის ჯარისკაცები ტიან-ძინის ვაჭრებს იძულებულს ხდიან მიიღონ ეს ბონები. ტიან-ძინის სავაჭრო პალატამ ლი-ჩინ-ლინს აცნობა, რომ ვაჭრები გაიფიცებიან, თუ ეს ბონები არ იქნა განაღდებული.

ინგლისის პოლიტიკა

ლონდონი, 31 მარტი. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **ლოკერ ლემპსონმა** თემთა პალატაში შეკითხვაზე განაცხადა, რომ საფრანგეთთან არ ყოფილა გამართული არავითარი მოლაპარაკება, რომელიც ინგლისს რაიმე ვალდებულებას აკისრებს განიარაღების მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით.

შეკითხვაზე, შეუძლია თუ არა მას ამჟამად მოახსენოს თემთა პალატას ოსმალეთის მთავრობასთან წარმოებულ მოლაპარაკების შედეგები ოსმალეთ - ერაყის საზღვრების შესახებ, ლოკერ ლემპსონმა უპასუხა, რომ ინგლისის ანგორელი ელჩი **ლინდსეი** ამჟამად ინგლისში იმყოფება და ეთათბირება მთავრობას. ლინდსეისათვის მისაცემი ინსტრუქცია შემუშავდება. ინსტრუქციის მიღების შემდეგ ელჩი გაემგზავრება ანგორაში და განაახლებს მოლაპარაკებას.

მოჯამაგირეთა შრომის შესახებ

უკანასკნელ წლებში მოჯამაგირეთა რიცხვი თანდათან იზრდება. ეს ზრდა აიხსნება ერთის მხრივ სოფლის სოციალურ ფენებად დაყოფით და მეორეს მხრივ იმით, რომ თანდათან მეტი მუშები ებმებიან საბჭოთა მეურნეობებში.

ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეძლევა მოჯამაგირეების ორგანიზაციულად დარაზმვას და მოჯამაგირეთა შრომის დაცვას.

მოჯამაგირეთა შრომის დაცვის საქმეს ართულებს ის, რომ სოფლად ძნელია შრომის კანონთა კოდექსის ნორმების სისწორით გატარება. ეს სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის არ შეგვეძლო წაუყენოთ დაქირავებული შრომით მოსარგებლე მეურნე-გლეხს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნილებები, მაგალითად ისეთი მოთხოვნილებები, რომელთაც უყენებთ სხვა წარმოებებს და დაწესებულებებს (არა სასოფლო-სამეურნეო ტიპის) ქალაქში.

ამიტომ აუცილებელი გახდა მოჯამაგირეთა შრომის უფრო ელასტიური მოწესრიგება: მაგ. საჭირო შეიქნა სამუშაო დროს ნორმის განსაზღვრა წლის სხვადასხვა დროის მიხედვით და სხვ.

ყველა ეს გამარტივებანი ჩამოყალიბებულ იქნა კანონმდებლობითი წესით და გამოქვეყნდა ეგრ. წოდებული „დროებითი წესები სოფლის მეურნეობებში დაქირავებული შრომით სარგებლობისათვის".

ამ „დროებითი წესების" ძირითადი პრინციპი: მოჯამაგირეთა შრომის პირობები გამომუშავებულ უნდა იქნეს მხარეების მიერ (მოჯამაგირე — დამქირავებელი) დადებულ ხელშეკრულებებში; კონფლიქტები მოჯამაგირესა და დამქირავებელს შორის განხილულ უნდა იქნეს ადგილობრივ აღმასკომებში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და სხვ.

ეს „დროებითი წესები", თავის თავად ცხადია, არ შეიცავს სოფლის მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა თავისებურობებს, მაგრამ ისინი საკმაოდ [illegible] ამისთვის, რომ სახელმძღვანელოდ გამოდგენ მოჯამაგირესა და დამქირავებლის ურთი-ერთობის მოწესრიგების დროს.

გარდა ამისა ეს „დროებითი წესები" შეუძლებლად ხდიან მოჯამაგირის შრომის ექსპლოატაციას.

იმ მდგომარეობაში, როცა ხელშეკრულების რეგისტრაცია და კონფლიქტის გარჩევა ხდება ადგილობრივ აღმასკომში, აღმასკომის როლი მეტად სერიოზულია.

მუშაობა ნაყოფიერი შეიძლება იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულების რეგისტრაციის დროს აღმასკომი არ დაუშვებს უკანონო მუხლებს ამ ხელშეკრულებაში და თუ კონფლიქტების გარჩევის დროს მხედველობაში მიიღებს, როგორც მოჯამაგირის, ისე დამქირავებლის ინტერესებს. ამას ჩვენმა აღმასკომებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ.

მეორეს მხრივ მოჯამაგირის შრომა დაცულ უნდა იქნეს შრომის სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო ინსპექციის და კავშირის მიერ.

უკანასკნელის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ კავშირი არის არა მარტო თავისი ადგილობრივი უჯრედების მუშაობის ხელმძღვანელი და მომწესრიგებელი ორგანო, არამედ კავშირის სახით მოჯამაგირეს უნდა ჰყავდეს თავისი უფლებების დამცველი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციების მოფიქრებულ და ენერგიულ მუშაობით მოჯამაგირის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება და გარდა ამისა, სწორი ორგანიზაციის პირობებში, მოჯამაგირეობა გადაიქცევა საკმაოდ მნიშვნელოვან ძალად, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს სოფლის ცხოვრებაზე.

ი. ილიაძე.

უკანასკნელი ცნობები

რუმინეთის ახალი მთავრობა

ვენა, 30 მარტი. შესდგა რუმინეთის ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—გენერალი **ავარესკუ**, (სახალხო პარტიის ბელადი), შინაგან საქმეთა მინისტრი—**გოგა**, (ცნობილი პოეტი), გარეშე საქმეთა მინისტრი—**მიტილინეუ**, (სახალხო პარტიის წევრი), სამხედრო მინისტრი—გენერალი **მირჩესკუ**, ბესარაბიის საქმეთა მინისტრი—**ნიცა** (რომელიც ყოველთვის აკრიტიკებდა ბრატიანუს პოლიტიკას ბესარაბიაში და მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან)

ავერესკუს კაბინეტის შედგენა არსებითად არ სცვლის რუმინეთში არსებულ რეჟიმს.

კომუნისტი დეპუტატები

პარიზი, 31 მარტი. გუშინ, დეპუტატთა პალატის სხდომის დარბაზში ახლად არჩეული ორი კომუნისტი დეპუტატის გამოჩენამ დიდი აურზაური გამოიწვია.

ინგლისი ყველაზე უკეთ არის შეიარაღებული

პარიზი, 31 მარტი. ლორდ ტომპსონმა, ავიაციის ყოფილ მინისტრმა მაკდონალდის კაბინეტში, განაცხადა მანჩესტერში, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნებს შორის ინგლისი ყველაზე უკეთ არის შეიარაღებული საჰაერო შეტევისა და თავდაცვის საწარმოებლად.

ახალი მთავრობა

პარიზი, 31 მარტი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, გენერალმა ავერესკუმ შეადგინა ახალი მთავრობა.

კამათი ფინანსიურ პროექტების გარშემო

პარიზი, 31 მარტი. დეპუტატთა პალატაში დღეს გაგრძელდება კამათი ფინანსიურ პროექტების გარშემო.

კომუნისტ სოხაცკის გამოსვლა

ვარშავა, 30 მარტი. პოლონეთის სეიმში აპრილის ხარჯთაღრიცხვის პროექტის პირველი წაკითხვის შემდეგ გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი სოხაცკი, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პოლონეთის სოციალისტურ პარტიასა და მემარჯვენეების შორის ახლანდელ კოალიციონურ მთავრობის შედგენის დროს დადებული შეთანხმება.

სოხაცკიმ აღნიშნა, რომ კოალიციონურმა მთავრობამ არ შეასრულა არც ერთი პირობა, რომელიც მან სოციალისტურ პარტიას მისცა.

სოხაცკი[illegible] რომ მიმდი[illegible] სწრაფ[illegible]ვლო გადასახადი აკრეფილი ყოფილიყოს სავსებით—735 მილ. ოქროს მარკის რაოდენობით.

დასასრულ სოხაცკიმ მოითხოვა ხარჯთაღრიცხვის პროექტის უარყოფა ნიშნად უნდობლობისა კოალიციური მთავრობისადმი.

„ვიზვოლენიე"-ს, გლეხთა პარტიის და გლეხთა დამოუკიდებელ პარტიების წარმომადგენლებმაც მხარი დაუჭირეს სოხაცკის.

სეიმმა ხმების უმრავლესობით უარჰყო სოხაცკის წინადადება.

ანარქისტულ ლიტერატურის საწყობი

ვარშავა, 30 მარტი. პოლიტიკურმა პოლიციამ ვარშავაში აღმოაჩინა ანარქისტული ლიტერატურის საწყობი.

ამ საქმის გამო დააპატიმრეს 8 კაცი, რომელთაც ანარქისტულ ორგანიზაციის წევრობას აბრალებენ.

რამეკი პრაღაში ჩავიდა

პრაღა, 30 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ავსტრიის პრემიერი რამეკი ჩავიდა პრაღაში, სადაც მას სადგურში შეხვდნენ ჩეხო-სლოვაკიის ხელისუფლების წარმომადგენლები ბენეშის მეთაურობით.

უერთდებიან კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილებებს

ბერლინი, 30 მარტი. კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტი 26 ხმით რუტ ფიშერ—მასლოვის ჯგუფის 7 ხმის წინააღმდეგ შეუერთდა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილებებს გერმანიის საკითხის შესახებ. კენჭისყრის დროს ერთმა თავი შეიკავა.

რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულ იქნა ამის გამო, კომიტეტი იწონებს კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკას, რომელმაც გაკიცხა კორშის, შვარცის და როლფის ჯგუფის არაბოლშევიკური შეხედულებები და ესალმება რუტ ფიშერ—მასლოვის ჯგუფის „ორმაგი ბუღალტერიის" დაგმობას.

კომიტეტი უერთდება კომინტერნის აღმასკომის გამოსვლას მემარჯვენე ჯგუფების წინააღმდეგ.

საოლქო კომიტეტის 12 წევრიდან, რომელნიც კრებას არ დასწრებიან, შემდეგში ოთხი შეუერთდა კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლიუციას.

რუტ ფიშერ—მასლოვის ჯგუფის 7 წევრი გამოვიდა ცალკე განცხადებით, მაგრამ შემდეგში მათ შორის ოთხმა უარი სთქვა მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებაზე.

ამის შემდეგ რუტ ფიშერ—მასლოვის ჯგუფმა შეიტანა თითქმის ისეთივე განცხადება, როგორიც ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე წარმოადგინეს პლატფორმის სახით.

ჩემბერლენი პარლამენტის კომისიის სხდომაზე

ლონდონი, 31 მარტი. გუშინ პარლამენტის ერთი ლიგის კომიტეტის სხდომას დაესწრო ჩემბერლენი. სხდომაზე იყო სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ასამდე წარმომადგენელი. სხდომის შესახებ ოფიციალური ცნობა არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ იუწყებიან, რომ ჩემბერლენი პასუხს აძლევდა ყველა შეკითხვებზე ჟენევის უკანასკნელი ამბების შესახებ და ფრიად გულღიათ ლაპარაკობდა საერთო მდგომარეობაზე.

უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინის წინადადება

ბერლინი, 31 მარტი. [illegible] უ-პეი-ფუ და ჩან-ძო-ლინი მილიონ დოლარს ჰპირ[illegible] ფინ-იუ-სიანს ბრძოლის შეწყვეტისათვის.

„დეილი ტელეგრაფი"-ს ცნობით, ამ თანხას გადაიხდის ჩინეთის ბანკი და შემოსავალთა ინსპექცია. რომლებიც ფიქრობენ, რომ ბრძოლის შეწყვეტა [illegible] ქვეყანაში და ხელს შეუწყობს ვაჭრობის აღორძინებას.

დაძირულ გემების ამოღება

ბერლინი, 31 მარტი. ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა ამოიღოს ომის დროს დარდანელის სრუტეში ჩაძირული 39 გემი.

ხანძარი ფაიფურის ფაბრიკაში

პარიზი, 31 მარტი. ლიმოჟში ცეცხლმა გაანადგურა ფაიფურის ფაბრიკის ნაწილი. ზარალი რამოდენიმე მილიონ ფრანკს უდრის.

ახალი არჩევნები იტალიაში

რომი, 31 მარტი. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ახალი არჩევნები შესდგება 25 მაისს მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა მიმართვა მოსახლეობისადმი.

კატასტროფა ქარხანაში

ხარკოვი, 21 მარტი. თოვის სახელმწიფო ქარხანაში ჩამოინგრა ფარდული, რომლის ქვეშ 18 მუშა იმყოფებოდა. დაჭრილია 13 მუშა, მათ შორის ოთხი მძიმედ და ერთი სასიკვდილოდ. ირკვევა, რომ ქარხნის გამგეობას სამხრეთის რკინის გზებიდან შეეტყობინა ყოვლად უვარგისი საშენი რელსები, რომელმაც ვერ გაუძლო ფარდულის სიმძიმეს, რასაც შედეგად მოჰყვა ჩამონგრევა.

ფაშიზმის კრიზისი

პარიზი, 31 მარტი. „ჟურნალ"-ის **რომის კორესპონდენტის ცნობით ფაშისტურმა დირექტორიამ ფარინაჩჩისადმი სოლიდარობის ნიშნად შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.** ახალი დირექტორიის თავმჯდომარეთ ასახელებენ ქალ. ბრეშიის დეპუტატს ტურატის.

საფრანგეთის ბიუჯეტი

ბრიანის „კაცთმოყვარეობა"

პარიზი, 30 მარტი. ბრიანმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მდგომარეობა მაროკოში გაუმჯობესდა და რომ ახლო მომავალში დაიდება ზავი, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიანობას.

მან დასძინა, რომ „კაცთმოყვარეობა" ნებას არ აძლევს დასტოვოს სირია, სადაც ფრანგების გასვლის შემდეგ ბევრი ღირსეული ხალხი დარჩება უმწეო მდგომარეობაში.

დე-ჟუვენელი იერუსალიმში

პარიზი, 30 მარტი. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში **დე-ჟუვენელი** იერუსალიმში ჩავიდა.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

ლონდონი, 31 მარტი. როგორც პარიზიდან იუწყებიან, **ბრიანის** თავმჯდომარეობით, სამხედრო მინისტრის **პენლევეს**, საფრანგეთის მაროკოს რეზიდენტის **სტეგის** და მარშალ **პეტენის** მონაწილეობით გაიმართა თათბირი, რომელზედაც მიღებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაროკოს შესახებ.

გადამწყვეტი კამათი

ლონდონი, 31 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი იმ ფინანსიურ კანონპროექტების გარშემო, რომელმაც უნდა გადასჭრას კაბინეტის ბედი.

სოციალისტების დამატების განხილვის დროს (სოციალისტები მოითხოვენ სულობრივ გადასახადის პროექტის დაბრუნებას საფინანსო კომისიაში), ფინანსთა მინისტრმა პერემ თანხმობა განაცხადა სატარიფო განაკვეთების შეცვლაზე. მაგრამ მოითხოვა, რომ განხილვა დამთავრებული იქნას 31 მარტამდე და მისი წინადადება ან მიღებულ, ან უარყოფილი იქნეს.

კაპიტაცია ე. ი. სულობრივი გადასახადი გაუქმებული იქნა საფრანგეთში 1789 წლის რევოლიუციის დროს და შეცვლილი იქნა მოძრავ ქონების და პირადი გადასახადით.

ამერიკა ვალებს მოითხოვს

ბერლინი, 31 მარტი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად სენატში დაიწყო კამათი იტალიის ვალების შესახებ. სენატორმა **რიდმა** და **რობინსონმა გაილაშქრეს მუსოლინის წინააღმდეგ.**

„თუ დამარცხებულმა გერმანიამ—განაცხადა რობინსონმა—უნდა გადაიხადოს წელიწადში 2½ მილიარდი დოლარი, ნუ თუ გამარჯვებულმა იტალიამ მხოლოდ 5 მილიონის მეტი არ უნდა გადაიხადოს.

რიდი მოითხოვდა იტალიასთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას და ახალი სესხის მი[illegible].

[illegible] თქმას, [illegible] სოთ-

[illegible] ინგლისის სექციის წევრებმა გამართეს დე-

ინგლისის ჩრდილო-აღ[illegible] რაიონში იმყოფება ყველ[illegible] ფოლადის ჩამომსხმელი

ნავთის კრიზისი სტამბოლში

სტამბოლი, 30 მარტი. მარტის შუა რიცხვებში ნავთის კრიზისი კონსტანტინეპოლში განვლილი იყო. გაზეთ „აქშამის" ცნობით კონსტანტინეპოლს ყოველდღიურად სჭირდება 100 ტონა ნავთი.

მარტის შუა რიცხვებში ნავთის სინდიკატის საწყობებში იყო მარაგი 500 ტონა, „სტანდარტ ოილის" საწყობში — 500 ტონა, ბათუმის კომპანიის —1330 ტონა, „პეტროლიუმ კამპანის" — 1.300 ბიდონი და ვიდევ სუტაოდენი ნავთის პროდუქტები წვრილ საწყობებში.

ნავთის პროდუქტების თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია 8 აპრილამდე, რის შემდეგ ძალაში შევა ნავთის მონოპოლია. მარტის შუა რიცხვებში ნავთის მონოპოლიის შტატები არ იყო შევსებული და მოსაწყობი იყო დიდი მასშტაბის საწყობები.

ვ. ლიბკნეხტის საფლავზე

ბერლინი, 30 მარტი, **ვილჰელმ ლიბკნეხტის დაბადებიდან 100 წლის** შესრულების გამო, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის და „ფორვერტსის" რედაქციის წარმომადგენლებმა შეამკეს მისი საფლავი გვირგვინებით.

შემდეგ ვილჰელმის შვილმა—თეოდორ ლიბკნეხტმა—დამოუკიდებელ სოციალ-დემოკ. პარტიის ლიდერმა აცნობა პარტიის პრეზიდიუმს, რომ მან განკარგულება გასცა მოხსნან პრეზიდიუმის და „ფორვერტსის" რედაქციის გვირგვინებს ლენტები წარწერებით. თეოდორ ლიბკნეხტის სიტყვით, **სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეხლანდელი პრეზიდიუმის და „ფორვერტსის" გვირგვინი შეურაცყოფს ვილჰელმ ლიბკნეხტის ხსოვნას.**

ამ განცხადებამ სენსაცია გამოიწვია.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სანატორიული ბანაკი ნორჩ პიონერთათვის

მოსკოვი, 30 მარტი. ნორჩ პიონერთა ცენტრალურმა ბიურომ მოახდინა ადგილების განაწილება რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მოწყობილ ნორჩ პიონერთა სანატორიულ ბანაკში.

ზაფხულის განმავლობაში ბანაკით ისარგებლებს 800 პიონერი. თვითეულ საგუბერნიო პიონერთა ორგანიზაციას ექნება 35 ადგილი.

რუსეთის ბიუჯეტი

მოსკოვი, 31 მარტი. 30 მარტს გაიმართა სრულიად რუსეთის ცაკის საბიუჯეტო კომისიის წევრთა თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა ლევინის და მილუტინის ინფორმაცია საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ.

არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშავოს დებულება ცაკის საბიუჯეტო კომისიის შესახებ და წარადგინოს იგი სრ. რუს. ცაკის საბიუჯეტო კომისიის უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

საკავშირო ავიო-სამდღეული

მოსკოვი, 31 მარტი. უცხოეთში გადაფრენათა მომწყობი ცენტრალური კომისია 1, 2 და 3 მაისს მთელს საბჭოთა კავშირში მართავს სამდღეულს საბჭოთა გადაფრენათათვის ხელის შეწყობის მიზნით.

ამ სამი დღის განმავლობაში მთელს საბჭოთა კავშირში მოხდება შემოწირულებათა შეგროვება ყულაბებით, მოეწყობა მასიური გასართობები და ავიო-კარნავალი.

სამდღეულის ჩატარებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირის და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა.

ახალი სატარიფო ქსელი

მოსკოვი, 31 მარტი. საბჭოთა და სავაჭროთა დაწესებულებათა მოსამსახურეების, განათლების მუშაკთა, მედსანშრომის და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა შეიმუშავეს ახალი სატარიფო ქსელი.

ახალი ქსელის შემუშავება გამოიწვია იმ მდგომარეობამ, რომ ამჟამად არსებული ქსელი არ შეეფერება თანამედროვე პირობებს და მრავალ გუბერნიაში ფაქტიურად დარღვეულია.

ახალი ქსელის თანახმად ისპობა სპეცგანაკვეთები და სპეც-ფონდები.

მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის შტაბისაგან

მოსკოვი, 31 მარტ. დანიის გაზეთ „ბერლინგსკე ტიდენდე"-ში 27 თებერვლის თარიღით და აგრეთვე უცხოეთის სხვა გაზეთებში დაბეჭდილი იყო შენიშვნა, რომელიც აფრთხილებდა კომერციულ გემებს არ შევიდნენ შავი ზღვის და აზოვის ზღვის ნავთსადგურებში.

ეს გაფრთხილება აიხსნება იმით, რომ საბჭოთა მთავრობამ, ვითომდა, თვითონ მოახდინა განკარგულება ასეთ ცნობის მოთავსების შესახებ, რადგან მას განზრახული აქვს ნაღმების ჩალაგება 12 მილის ზონაში და შესაძლებელია დახურული იქნას ეს [illegible] გაუფრთხილებლად.

ამავე შენიშვნაში, გარდა იმისა, რომ აღნიშნულია დაწესებული საერთაშორისო სიგნალები, ნათქვამია, რომ ნავთსადგურებთან მიახლოვებული უცხოეთის გემები ღამით განათებული უნდა იყონ წითელი შუქით. ნათქვამია ისიც, რომ ქარიშხლის დროს გემებს აკრძალული აქვთ ნავთსადგურებში შესვლა და რომ კარგი ამინდის დროს ნავთსადგურში შესვლა ნებადართულია მხოლოდ დასტურის მიღების შემდეგ, რადიოთ და სხვა. დასასრულ შენიშვნაში ნათქვამია, რომ გემები უნდა დაემორჩილონ ასეთ დადგენილებას, ან სრულიად თავი შეიკავონ შავი ზღვის ნავთსადგურებში შესვლისაგან.

ამის გამო მუშურ-გლეხურ წითელი ფლოტის შტაბი აცხადებს:

„რა თქმა უნდა საბჭოთა კავშირის ზღვებში შემოსული გემები ვალდებული არიან დაიცვან წესები, რომელიც უზრუნველყოფს გემთა მიმოსვლის ნორმალურ პირობებს, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა სახელმწიფოს ზღვებში. მაგრამ, ჯერ-ერთი **არავითარ ნაღმების ჩალაგება განზრახული არ არის. პირიქით მიღებულია ზომები, რომ ახლო მომავალში გაწმენდილი იქნას შავი და აზოვის ზღვები ნაღმებისაგან, რომელიც ჩალაგებულია იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების დროს.** მეორე, გემების მიმოსვლის წესები გამოქვეყნებულია ყველას საყურადღებოთ ჰიდროგრაფიულ სამმართველოს ცირკულიარებში, [illegible] გურებში შესვლით სხვა ქვეყნების წესებისაგან.

არავითარ ცნობას იმის შესახებ, რომ საჭიროა გემების წითელი შუქით განათება ღამით, რომ აკრძალულია ნავთსადგურში შესვლა ქარიშხალის დროს და სხვ., ამ ცირკულიარებში არ მოიპოვება. პირიქით, ცირკულიარებში გათვალისწინებულია ნავთსადგურებში დაუბრკოლებლად შესვლა და აღნიშნულია მხოლოდ საერთაშორისო წესები და სიგნალები. ჰიდროგრაფიულ სამმართველოს ცირკულიარები ეგზავნება სათანადო დაწესებულებებს საზღვარგარეთ და კერძოთ სტამბოლში და ამ ცირკულიარებით უნდა ისარგებლონ შავის და აზოვის ზღვის ნავთსადგურებში მიმავალმა გემებმა. ეს ცირკულიარები წარმოადგენენ ოფიციალურ გამოცემებს, რომლებშიაც მოყვანილია საჭირო სანაოსნო ცნობები საბჭოთა ზღვებში მიმოსვლისათვის და რომლებსაც ჰიდროგრაფიული სამმართველო ყველას საყურადღებოთ აქვეყნებს.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი

მოსკოვი, 31 მარტი. 30 მარტს გაიხსნა საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის **ბრიუხანოვის** მოხსენება საბჭოთა კავშირის 1925-26 წლის ბიუჯეტის შესახებ. ეს ბიუჯეტი მოწონებულია საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს მიერ.

თავის მოხსენების შესავალ ნაწილში ბრიუხანოვი შეეხო შეტანილ ბიუჯეტში ცვლილებებს. ბიუჯეტის ტექნიკურ საბჭოს ახასიათებს ორი ძირითადი მომენტი, რომელსაც აქვს უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა.

„პირველ, ამბობს მომხსენებელი, როდესაც მე საბიუჯეტო კომისიაში და ცაკის სესიაზე მოხსენება წავიკითხე ბიუჯეტის შესახებ, საჭირო იყო არსებითად ორი ბიუჯეტი წარმოდგენა: ჩერვონცებში და ოქროთი. წელს ჩვენ გვაქვს ერთიანი ბიუჯეტი, რომელშიაც გაერთიანებულია შემოსავალ-გასავალი, როგორც ჩერვონცებით, ისე უცხოეთის ვალიუტით და ოქროთი. **ეს ამტკიცებს წარმატებებს საერთო საფინანსო დარგში და აგრეთვე იმას, რომ შესაძლებელია დამყარებული იქნას გეგმიანი საფინანსო და სამეურნეო ურთიერთ დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებთან.**

მეორე მომენტს, რომელიც ახასიათებს 1925-26 წლ. ბიუჯეტს მდგომარეობს იმაში, რომ წარსული წლის ბიუჯეტთან შედარებით შემოსავალ-გასავლის ნაწილში ჩვენ შევიტანეთ საბიუჯეტო ანგარიშში ყველა ის გადასახადები, რომელიც ხმარდება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ საჭიროებებს. სახელმწიფო ბიუჯეტის ასეთნაირად შედგენით ჩვენ შეგვიძლია ნათლად დავინახოთ ამა თუ იმ გადასახადის, ამა თუ იმ სახელმწიფო შემოსავალის სიმძიმე იმათთვის, ვინც ამ გადასახადებს იხდიან.

ეხება რა სახ. კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტს, ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ შარშან ანგარიშების მიხედვით 3 მეოთხედის განმავლობაში და მეოთხე მეოთხედის წინასწარი ვარაუდით, კავშირის ბიუჯეტი უდრიდა 2.900.000.000 მანეთს. ამჟამად წარმოდგენილი ბიუჯეტი უდრის 4.001.000.000 მანეთს და გადიდებულია შარშანდელთან შედარებით 38%-ით. სახ. კომისარ. საბჭო ფიქრობს, რომ ბიუჯეტის ზრდის ასეთი ტემპი სავსებით რეალური და განსახორციელებელია.

„მაგრამ — ამბობს მომხსენებელი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემოსავალს ჩვენ ადვილად მივიღებთ. არა მარტო ფინანსიურ ორგანოებს, არამედ ყველას, ვინც ასრულებს განსაზღვრულ ფინანსიურ ვალდებულებებს საბჭოთა ხაზინის წინაშე, მოუხდებათ დიდი ენერგიის დახარჯვა ამ ვალდებულებათა შესასრულებლად".

დასასრულ ბრიუხანოვი შეეხო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილს.

შემდეგ მოსმენილი იქნა **ვაინშტეინის** მოხსენება 1923—24 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების და 1924—25წ. ბიუჯეტის წინასწარ ცნობების შესახებ.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი

მოსკოვი. 31 მარტი. 30 მარტს გაიხსნა მოსკოვის საბჭოს პლენუმი. პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომის გარდაცვლილი წევრის, მოსკოვის საბჭოს შრომის განყოფილების გამგის კუზნეცოვის ხსოვნას.

პლენუმმა მოისმინა მოხსენება სა[illegible] გამოცოცხლების [illegible]

წელს მოსკოვის საბჭოს მუშაობაში ჩაბმული იყო 40.520 მუშა და 39.704 გლეხი. **მიწის განყოფილების მუშაობის შესახებ წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მოსკოვის გუბერნიის დათესილი არე აღემატება 1914 წლ. დათესილ არეს 38%-ით.** საქონლის რიცხვი აღემატება 1914 წლ. რაოდენობას 56%-ით, წვრილფეხა საქონლის 58%-ით.

სხვადასხვა

— **ქარიშხალი.** ქალაქ ბოჰონზე ტეხასის შტატში გადაიარა გრიგალმა. დანგრეულია ბევრი სახლები. ბევრია ადამიანთა მსხვერპლიც. სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი შეწყვეტილია.

— **საგარანტიო ხელშეკრულება.** რამეკი ჩავიდა პრაღაში, სადაც თათბირი ექნება ბენეშთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ ავსტრიასა, ჩეხო-სლოვაკიასა, სამხრეთ-სლავიასა და, ალბად, პოლონეთს შორის.

— **ბრატიანუს მემკვიდრე.** ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის ახალი კაბინეტის შედგენა ავერესკუს დაევალა.

— **აზრთა თანხმობა.** ბერლინიდან მიღებული ოფიციალური ცნობების თანახმად, მოლაპარაკებამ, რომელიც რამეკმა გამართა ბერლინში ყოფნის დროს, ცხადჰყო, რომ ორივე მხარე ერთი აზრისაა ლოკარნოს და ჟენევის კონფერენციის გამო შექმნილ მდგომარეობაზე; თათბირის დროს ლაპარაკი იყო აგრეთვე ორივე ქვეყნის ეკონომიური ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე.

— **ხანძარი ესტონეთში.** პინსკში დაიწვა პოლონეთის სამხედრო ფლოტილიის სარემონტო სახელოსნოები მდინარე პინაზე და პრიპიატზე. ხანძარისაგან მიყენებული ზარალი რამდენიმე ათას მანეთს უდრის.

— **ბეწვეულის აუქციონი ლეიპციგში.** დამთავრდა ბეწვეულების აუქციონით გაყიდვა ლეიპციგში. **საბჭოთა პავილიონში გაყიდულია 800.000 დოლარის ბეწვეული,** რაც წარმოადგენს რეკორდს ბეწვეულის აუქციონისათვის ლეიპციგში. ყველაზე დიდი მოთხოვნილება იყო თრიაზე, რომელიც მთლიანად გაიყიდა 10 პროცენტით მეტ ფასებში, ვიდრე შარშან.

პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულება. ამ ცოტა ხნის წინათ განახლებული პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულება ამ სახელმწიფოების მიერ დადებულ იქნა საიდუმლოთ რამოდენიმე წლის წინად და შეიცავს ორივე სახელმწიფოს მხრივ აღმოსავლეთ საზღვრების „დაცვის" გარანტიას. ხელშეკრულების ვადა განგრძობილ იქნა ხუთი წლით.

— **სამინისტროს კრიზისი რუმინეთში.** ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, მეფემ ოპოზიციაში მდგარ პარტიებს წინადადება მისცა წარმოადგინონ მინისტრთა სია კოალიციონური მთავრობის შესადგენად. თუ კოალიცია შეუძლებელი გახდა, თვითეული პარტია საკუთარ სიას წარმოადგენს.

— **„დეილი მეილის" დელეგატები კულიჯთან.** ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, კულიჯმა თეთრ სასახლეში მიიღო გაზეთ „დეილი მეილის" მიერ გაგზავნილი ბრიტანეთის მუშათა მისიის წევრები.

— **ფარინაჩის გადადგომა.** რომიდან მიღებული ცნობით, დღეს გადადგა ფაშისტური პარტიის გენერალური მდივანი ფარინაჩი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

თევზის მრეწველობა

ბაქო, 31 მარტი. წითელი თევზის დაჭერა დაიწყო მარტის 20 რიცხვიდან. მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

მეთევზეთა კოოპერაცია „აზბალტიფტიფაკი" აწვდის ყველა საჭირო მასალებს და პროდუქტებს. ჯერ-ჯერობით დაჭერილია 2.141.000 ფუთი თევზი და მიღებულია 6.000 ფუთი ხიზილალა. დაიხარჯა 1.500.000 მანეთი.

ნავთის ფრონტზე

ბაქო, 31 მარტი. ბაქოს ნავთის მოედნებზე მოწყობილია 600 მცირე აუზი დახურული ექსპლოატაციისათვის. ნავთის სრული ჰერმეტიზაცია უნდა დამთავრდეს 2 წლის შემდეგ.

რაციონალიზაციის წყალობით ბენზინის და ნავთის ამოღება იანვარში გაიზარდა 4,42 პროცენტით, წარსული წლის იანვარში კი მხოლოდ 2,73 პროცენტით.

კომპრესორულ ექსპლოატაციის დროს ჰაერის მაგიერ თანდათან ხმარებაში შემოდის გაზოლინი. ბურღვის სფეროში ხდება დიდი გაუმჯობესება ავტომატიურ ბურღვაზე გადასვლის ლეონარდის, ჰაილდის და სკვორცოვის სისტემების მიხედვით.

სომხეთი

ახკორების თათბირი

ერევანი, 30 მარტი. გაზეთ „ავანგარდის" რედაქციამ მოიწვია ახკორთა თათბირი.

თათბირმა მოისმინა აზატიანის მოხსენება და რედაქცის ანგარიში.

დახმარება ლტოლვილებს

ერევანი, 31 მარტი. სომხეთის სახ. კომისართა საბჭომ არაზდაიანის რაიონში ლტოლვილთა 405 ოჯახისათვის გადასდო 24.549 მან. ამ თანხით ლტოლვილებმა 10 დღის განმავლობაში უნდა დახნან 300 დესეტინა მიწა.

რა ხდება უცხოეთში

ვინ გადაარჩინა ბეტლენის მთავრობა

ის აურ-ზაური, რომელიც გამოიწვია უნგრეთში ყალბი ფულების მკეთებელთა ორგანიზაციის აღმოჩენამ, მიყუჩდა. ბევრს ლაპარაკობდენ, პირველ დღეებში, ბეტლენის მთავრობის მდგომარეობის შერყევაზე, ბეტლენის მთავრობის აუცილებელ გადადგომაზე, მაგრამ სინამდვილეში მოხდა პირიქით. ბეტლენის მთავრობის მდგომარეობა თითქოს განმტკიცდა და უკანასკნელმა გააძლიერა რეპრესიები მუშათა ორგანიზაციების წინაამდეგ.

ვინ ეხმარება უნგრეთელ ყალბი ფულების მკეთებლების ამ ფაქტიურ მეთაურს—გრაფ ბეტლენს? ვისი იმედი აქვს, რომ ასე მედგრათ შეუტია არა თუ მუშათა ორგანიზაციებს, არამედ ბურჟუაზიულ ოპოზიციასაც?

ამ კითხვებზე პასუხს ვპოულობთ უცხოეთის უკანასკნელ გაზეთებში.

ყალბი ფულების მკეთებელთა საქმეში, როგორიც მკითხველებმა იციან დეპეშებიდან, ჩარეული აღმოჩნდა გრაფი ტელეკი. ეს ის ტელეკია, რომელსაც ბეტლენის მოადგილეთ ასახელებდენ. ეს ის ტელეკია, რომელიც ერთა ლიგის მიერ, ინგლისის წინადადებით მოსულში იყო გაგზავნილი, როგორც „ადგილობრივი პირობების კარგად მცოდნე პირი".

იმ სამსახურის და დახმარების სამაგიეროთ, რომელიც ტელეკიმ აღმოუჩინა ინგლისს მოსულის საქმეში, ინგლისის ელჩი უნგრეთში ყოველ ზომებს [illegible], რომ ჩამოეგდო ბეტლენის მთავრობა და ტელეკისათვის უზრუნველეყო პრემიერის პოსტი. თავისი მიზნის განსახორციელებლად ინგლისის ელჩი საფრანგეთის ელჩსაც იხმარიებდა. მაგრამ, როცა გამოირკვა, რომ ტელეკის წილი უდევს ყალბი ფულების მკეთებელთა საქმეში, მისი ოფიციალურად დაცვა ინგლისის ელჩის მიერ უხერხული შეიქნა და ტელეკი დროებით მიატოვეს.

მაგრამ ტელეკიმ არ დაყარა ფარხმალი. მას გამოექომაგა ამერიკის უძლიერესი ნავთის ტრესტი—„სტანდარტ ოილ კომპანი", რომლის წარმომადგენელი აღმოჩნდა ტელეკი. ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თუ როდის შევიდა ტელეკი „სტანდარტ ოილ"-ის სამსახურში—მაშინ, როცა იგი ინგლისის საქმეებს „აკეთებდა" მოსულში, თუ შემდეგ,—როცა ინგლისის ელჩმა მის მფარველობაზე ხელი აიღო. ასეა თუ ისე, ტელეკის აღმოუჩნდა მფარველი, უფრო ძლიერი, ვიდრე ინგლისის ელჩი.

მაგრამ ამ გარემოებამ მოულოდნელად განამტკიცა ბეტლენის მდგომარეობა. როცა გამოირკვა, რომ ტელეკის, ინგლისის ყოფილ კანდიდატს უნგრეთის პრემიერის პოსტზე მფარველობს „სტანდარტ ოილ კომპანი", რომელთანაც ინგლისის ნავთის ტრესტები სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ, ინგლისის ინტერესი უკვე აღარ მოითხოვდა ბეტლენის გადადგომას და ინგლისმა ფრონტი იცვალა.

ინგლისის ბანკის დირექტორმა მონტეგიუ -ნორმანმა აშკარათ განუცხადა „უნგრეთის ნაციონალური ბანკის" წარმომადგენლებს, რომ თუ გადადგა ბეტლენის მთავრობა, ინგლისი იძულებული იქნება შეწყვიტოს სესხის მიცემა უნგრეთელ აგრარიებისათვის. ამ [illegible] აღაფრთოვანა უნგრეთელი მონარქისტები, [illegible] ფაქტიურად შესძლეს ყალბი ფულების მკეთებელთა საქმის მიფუჩეჩება.

როგორ იქნა დამტკიცებული ინგლის-ირაქის ხელშეკრულება

ოსმალურ გაზეთ „მილიეთ"-ში აწერილია ირაქის „პარლამენტის" ის სხდომა, რომელზედაც „ერთხმად" იქნა დამტკიცებული ინგლის-ირაქის „მეგობრული" ხელშეკრულება.

მომხსენებლათ გამოვიდა ქალ. ბასსორის დეპუტატი, რომელმაც მოითხოვა ინგლის-ირაქის ხელშეკრულების დამტკიცება სასწრაფო წესით და უკამათოდ.

ამ წინადადების წინაამდეგ გაილაშქრა მოსულის დეპუტატმა იბრატი-ქემალმა.

„ინგლის-ირაქის ხელშეკრულება,—განაცხადა მან,—იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ მის შესახებ დადგენილების გამოტანა უკამათოდ, შეუძლებელია. რა საჭიროა ეს აჩქარება? ჩვენ მოვითხოვთ მნიშვნელოვანი ხელშეკრულების გულდასმით განხილვას".

თავმჯდომარე.—რეგლამენტი ჩვენ უფლებას გვაძლევს უკამათოდ გადავსჭრათ ეს საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარე.—მე შემიძლია განვმარტო რით აიხსნება ეს სისწრაფე. ასეთია სურვილი ინგლისელების, რომლებიც საჭიროებენ ხელშეკრულების სასწრაფოთ დამტკიცებას, რათა უზრუნველყონ საბოლოო გამარჯვება მოსულის საკითხში.

თავმჯდომარე.—ყველა განმარტებები მოცემულია საბჭოს თავმჯდომარის მიერ. კამათის გაგრძელება აღარ არის საჭირო.

ქვლავ გამოდის სიტყვით დეპუტატი მეხაზიმ, რომელიც აღნიშნავს, რომ ლიგის მიერ მოცემულია 6 თვის ვადა ინგლის-ირაქის ხელშეკრულების დასამტკიცებლად. ამრიგად ინგლისელებისა და მათი ირაქელი მეგობრებისათვის კიდევ 5 თვე არის და შეიძლება ხელშეკრულების დეტალურად განხილვა. ამრიგად, აჩქარებისათვის არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

თავმჯდომარე.—რაც საჭირო იყო უკვე ითქვა. წინადადებას ვაძლევ კრებას სთქვას, მზად არის თუ არა ის დაამტკიცოს ხელშეკრულება. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ინტერესები მოითხოვენ შევსწყვიტოთ კამათი ამ საკითხზე.

ოპოზიცია სასტიკ პროტესტს აცხადებს. კრების თავმჯდომარე ამაოთ ცდილობს წესრიგის აღდგენას. ოპოზიციის დეპუტატები სტოვებენ სხდომის დარბაზს და პროტესტის ნიშნათ ხევენ ინგლის-ირაქის ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც მათ სხდომის წინ ჩააბარეს. დარბაზიდან გასვლის წინ ყვიროდნენ: „ინგლისის მიერ მოსყიდულო მოღალატენო".

დარბაზში რჩება ინგლისის მომხრე 58 დეპუტატი, რომლებიც უკამათოდ და ერთხმად ამტკიცებენ ხელშეკრულებას.

კომინტერნში

ინგლისის კომპარტიის მუშაობა

ინგლისის კომპარტია დღითი-დღე ძლიერდება. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია კამპანია, რომელიც ჩატარებულ იქნა 12 დაპატიმრებული კომუნისტის განთავისუფლების სასარგებლოდ. სულ მცირე დროის განმავლობაში კომპარტიამ შეკრიბა—300.000 ხელისმოწერა პარლამენტში შესატან პეტიციისათვის.

მეორე უფრო საყურადღებო მომენტს კომპარტიის უკანასკნელი დროის მუშაობაში წარმოადგენს მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ორგანიზაცია.

მემარცხენე ფრთას უკანასკნელ დრომდის არ ჰქონდა ხელმძღვანელი ცენტრი და ეს დიდათ აბრკოლებდა მის მუშაობას. ამ ცენტრის შექმნისაკენ იყო მიპყრობილი კომპარტიის მთელი ყურადღება. იანვრის კონფერენციაზე, რომელზეც წარმოდგენილი იყო 53 ორგანიზაცია, არჩეულ იქნა „მემარცხენე ფრთის ლონდონის დიდი მოქმედების კომიტეტი". ამ კომიტეტის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს მემარცხენე მოძრაობის შეკავშირება. თავის-თავად ცხადია, კომპარტია ენერგიულ მონაწილეობას იღებს კომიტეტის მუშაობაში.

კომიტეტის მუშაობამ უკვე გამოიღო ერთგვარი შედეგები. მუშათა პარტიის 97 ადგილობრივმა ორგანიზაციამ უარი სთქვა მუშათა პარტიის ლივერპულის კონგრესის დადგენილების შესრულებაზე—კომუნისტების გამორიცხვაზე პარტიიდან. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის სამხრეთ-უელსის ორგანიზაციამ კი მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მუშათა პარტიის გაერთიანებას კომპარტიასთან.

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის შეკავშირებულ მუშაობის გარდა, კომპარტია აწარმოებს ასეთივე საორგანიზაციო მუშაობას პროფკავშირებში. მან თითქმის ყველა პროფკავშირებში შექმნა კომუნისტური ფრაქციები, რომლებიც პროფკავშირების მემარცხენე ფრთის ფაქტიურ ცენტრებს წარმოადგენენ.

ინგლისის კომპარტიას დიდი მიღწევები აქვს აგრეთვე საორგანიზაციო დარგშიც.

საორგანიზაციო საკითხებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს პარტიის რიცხობრივი ზრდის საკითხი. თუმცა სწორი ცნობები პარტიის რიცხობრივი ზრდის შესახებ ც. კ. არ მოეპოვება, მაგრამ წინასწარი ცნობებიდან სჩანს, რომ პარტიის წევრების რიცხვი სამრეწველო ცენტრებში უკანასკნელი თვეების განმავლობაში 30-დან 40%-დი გაიზარდა. შესამჩნევად გაიზარდა აგრეთვე პარტიული მასის აქტივობა.

კომპარტია ენერგიულ ზომებს იღებს აგრეთვე ქალების ჩასაბმელად თავის რიგებში. ქალთა საერთაშორისო დღეს მთელ ინგლისში აღინიშნა მუშა-ქალების მასიური მიტინგებით, რომლებიც კომპარტიამ მოიწვია. პარტიულ ორგანოებში ქალთა განყოფილებას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

დამთავრდა პარტიის რეორგანიზაცია სამრეწველო უჯრედების საფუძველზე.

საქარხნო უჯრედების მუშაობას უნდა მიეწეროს, რომ ცენტრალურ პარტიულ ორგანოს „უორკერს უიკლის" ტირაჟი 40 ათასიდან 60 ათასამდი გაიზარდა.

რაც შეეხება პარტიულ მომზადებას, ამას უდიდესი ყურადღება ექცევა. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები მიზნად ისახავენ, რათა პარტიის თვითეული წევრი გაცნობილი იყოს ლენინიზმის საფუძვლებთან. ამ მიზნით ლონდონში დაარსებულია 34 მოსამზადებელი წრე. მეცადინეობის მსურველთა რიცხვი იმდენათ დიდია, რომ ც. კ. დაისვა ახალი წრეების დაარსების და მომზადებულ ლექტორთა კადრის შერჩევის საკითხი.

ასეთია დღეს ინგლისის კომპარტიის მდგომარეობა.

ეკონომიური ცხოვრება

მივბაძოთ მოსკოვის მაგალითს

(შინა-მრეწველობის განვითარებისათვის).

ჩვენი ბაზარი რევოლიუციამდეც კი ნაწილობრივად შინამრეწველობის ნაწარმოებით იკვებებოდა. დღეს, როცა მსხვილი მრეწველობა ვერ აუდის მოსახლეობის გაძლიერებულ მოთხოვნილებას, შინამრეწველობის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს შინამრეწველებს.

რუსეთში დიდი ნაწილი შინამრეწველებისა შეკავშირდენ და შექმნეს მძლავრი ორგანიზაციები კოოპერატივების სახით.

ასეთივე მუშაობა სწარმოებს დღეს ცალკე ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკებშიაც. ყველგან არიან დაარსებული შინამრეწველთა კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროები, რომლებიც აწარმოებენ შესაფერ მუშაობას და შეძლებისდაგვარად აწყობენ შინამრეწველთა კოოპერაციის მდაბიო ფორმას—არტელებს (ნადს).

რუსეთში, გარდა მთავრობისა, რომელმაც მთელი რიგი დადგენილებები და სპეციალური კანონები გამოსცა შინამრეწველთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოსკოვის საბჭომ თავის დადგენილებებით აურიცხელი შეღავათები მისცა შინამრეწველებს. გამოჰყო შინამრეწველთა ხელისშემწყობი კომიტეტი, რომელიც იმუშავებს სხვადასხვა ზომებს მათი ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჯერ კიდევ 1924 წელში მოსკოვის საბჭომ მისცა დიდძალი თანხა გრძელვადიანი სესხით საგუბერნიო კოოპერატივთა ორგანიზაციებს. 1925 წლის 1 ოქტომბერს ეს სესხი ავიდა 1.300.000 მანეთამდე. 1925—26 წლის ბიუჯეტით განზრახულია დაიხარჯოს 1.000.000 მანეთი შინამრეწველთა კოოპერაციაზე.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1925 წლის 25 ენკენისთვის დადგენილებით შინამრეწველთა შვილები სამოსწავლო ფულის გადახდის საქმეში გაუთანასწორა მუშების და საბჭოთა მოხელეების შვილებს, რომლის მიხედვითაც, თუ შინამრეწველის (რომელიც დაქირავებული შრომით არ სარგებლობს) შემოსავალი არ აღემატება 75 მან. თვეში, ის სავსებით თავისუფლდება სწავლის გადასახადისაგან, და თუ აღემატება, იხდის იმ ნუსხით, რომლითაც მუშის და საბჭოთა მოხელის შვილები.

ასეთივე შეღავათები იქნა მიცემული საექიმო დახმარებაშიაც. იმავე პრეზიდიუმის 1925 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებით, მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა, იმ შინამრეწველებზე და მათ ოჯახებზე, რომლებიც დაქირავებული ხელით არ სარგებლობენ, აღმოუჩინათ ყოველი სახის საექიმო დახმარება, რომლითაც კი სარგებლობენ დაზღვეული მუშა-მოსამსახურენი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შინამრეწველი იხდის თვიურად 1 მანეთს, დანარჩენს კი მოსკოვის საბჭო იღებს თავის თავზე.

ამ საკითხებში ჩვენი შინამრეწველები ძლიერ დაინტერესებული არიან და ზედმეტი არ იქნება, თუ ამას ყურადღებას მიაქცევს ის, ვისაც ეს ეხება.

ა. კ.

ტრანსპორტის მდგომარეობა თებერვალში

(საქ. საგეგმო კომისიის კონიუნქტურულ მიმოხილვიდან)

რკინის გზა

რკინის გზების ტვირთბრუნვა, რომელიც იანვარში 8,3 პროც. შემცირდა, საანგარიშო თვეში კვლავ იზრდება (5,2 პროც.). იანვარში დაიტვირთა 10.208 რონოდა, თებერვალში კი—11.132; გაიგზავნა მეზობელ რესპუბლიკებში იანვარში—4.242, თებერვალში—3.980; მიღებულია მეზობელ რესპუბ. იანვარში 4.595 რონ., თებერვალში—4.917 რონ. სულ იანვარში—19.045, თებერვალში—20.029 რონ. ტვირთ-ბრუნვის ზრდა გამოწვეულია ადგილობრივ დატვირთვის გაზრდით (9,1 პროც.) და მეზობელ რესპუბ. საქონლის მიღებით.

ადგილობრივ დატვირთვის გაძლიერება თითქმის საყოველთაო ხასიათს ატარებს, ყველა მთავარ საგნებისათვის. შემცირებას იძლევა მხოლოდ შეშისა და ტყის მასალის დატვირთვა (22,9 და 5,1 პროც.). საანგარიშო თვეში დაიტვირთა პურეული 250 რონოდა, ხილი—95, ღვინო—468, ხე-ტყის მასალა—317, დან. საამშენებლო მასალა—703, შავი-ქვა—2.583, ქვა-ნახშირი—464, შეშა 1.107; სულ 10.208 რონოდა.

1925 წ. თებერვალთან შედარებით დატვირთვა 25,1 პროც. არის გაზრდილი—ცალკე საგნებიდან ყველაზე დიდი მატება მოგვცა ხე-ტყემ და დანარჩენმა საამშენებლო მასალამ.

მუშაობაში მყოფ რონოდების დღე-ღამის გარბენა უდრის 296,250 ვერსს, წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 15,4 პროც.

ნავთსადგურები

ბათომის, სოხუმის და ფოთის ნავთსადგურების საერთო ტვირთ-ბრუნვა უდრის 9,3 მილ. ფუთს. იანვართან შედარებით 7,9 პროც.-ით არის გაზრდილი, ხოლო 1925 წ. თებერვალთან შედარებით 38,8 პროც.-ით.

იანვრის კაბოტაჟური გატანა უდრის (ათასი ფუთობით) 500,6 ხოლო შემოტანა 502,6,—სულ 1093,2.

უცხოეთში გატანა (ათას ფუთობით) უდრის 7166,6, ხოლო შემოტანა 387,5,—სულ 7554,1; მთლიანად გატანა უდრის 7.667,2, ხოლო შემოტანა 980,1,—სულ მთელი ტვირთ-ბრუნვა უდრის 8647,3 ათ. ფუთ.

საურმე გზები

საურმე გზების ტვირთ-ბრუნვა საანგარიშო თვეში მხოლოდ თბილისში შემოტანილი საქონლის სახით გვაქვს წარმოდგენილი. ხუთი მთავარ საქონლის ჯგუფიდან შემოტანა 5,1 პროც. გაიზარდა თებერვალში.

თბილისში თებერვალში შემოტანილია საურმე გზებით პურეული—2.6 ათ. ფუთი, ბოსტნეული—36,0 ათ. ფ., ხილეული—6,5 ათ. ფ., რძის ნაწარმოები—6,6 ათ. ფ., კვერცხი—108,5 ათ. ცალი, ღვინო—10,3 ათ. ფ. შემორეკილა საქონელი—2,7 ათ. სული. შემოტანილია თივა და ბზე—35,2 ათ. ფ., ნახშირი—39,9 ათ. ფ. შეშა—5,5 ურემი.—სულ 126,8 ათ. ფუთი. იანვარში შემოტანილი იყო—120,1 ათ. ფ.

ამრიგათ საანგარიშო თვეში ტვირთ-ბრუნ. იზრდება რკინის გზებზე—5.2 პროცენტით, ნავთსადგურებში—7,9 პროც. და საურმე გზებზე—5,1 პროცენტით.

ტყავეულობის დამზადება

ს. მ. უ. ს. ტყავის ქარხანას ყოველწლიურად სჭირდება 70.000 ცალი ტყავი. ვინაიდან აღნიშნული რაოდენობის დამზადება [illegible] საკმაოდ დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული იქნა სათანადო ზომები ქარხნის ტყავეულობით უზრუნველსაყოფად. კამეჩის ტყავის ბაზრის მოწესრიგების და საგლეხო ლანჩების გაიაფების მიზნით შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული იქნა მტკიცე ფასები კამეჩის ტყავზე.

საქონლის დაკვლა უმთავრესად ხდება მსხვილ ქალაქებში, რაც საშუალებას აძლევს რესპუბლიკების ტყავის ტრესტებს სასაკლაოები გამოიყენონ ნედლი ტყავის დასამზადებელ ადგილებად.

საჭირო ტყავეულობის 50 პროც. მზადდება დიდ ქალაქებში; პატარა ქალაქებში და სოფლებში დაკლულ საქონლის ტყავი კი უმეტეს შემთხვევაში ტყავის ტრესტამდე არ მიდის. მათი გადამუშავება სწარმოებს ადგილობრივ შინა-მრეწველთა მიერ. აზერბაიჯანის ტყავის ქარხნები ამუშავებენ, უმთავრესად, აზერბეიჯანის და საქართველოს ნედლ ტყავეულობას. ამას გარდა ა.-კ. ტყავის ყველა ტრესტებს სჭირდებათ სალანჩო ტყავი, რომელიც ამიერ-კავკასიაში არ იშოვება, საჭიროა მისი სხვა რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანა.

ამას წინათ ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შესდგა თათბირი, რომელზედაც საკავშირო ტყავის სინდიკატის წარმომადგენლებმა წინადადება შეიტანეს, რომ ტყავეულობის დამზადება ამიერ-კავკასიაში გადაეცეს საკავშირო ტყავის სინდიკატს. თათბირმა მიზანშეწონილად სცნო აღნიშნული წინადადების დაკმაყოფილება, იმ პირობით, თუ ამიერ-კავკასია უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ნედლეული მასალით.

თათბირზე გამოირკვა აგრეთვე, რომ მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ამიერ-კავკასიაში დამზადებული იქნა 74.820 ცალი მსხვილი და 132.656 წვრილი ტყავი. ამას გარდა, საქართველოში დამზადებულია კიდევ 31.473 ფუთი ტყავი.

აგურის დამზადება

ამჟამათ თბილისის აღმასკომს აქვს 6 აგურის ქარხანა. სწარმოებს მუშაობა კიდევ ერთი ქარხნის ასაგებათ, რადგან არსებული ქარხნები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს.

აგურის ქარხნების სამმართველომ ხელშეკრულება დასდო სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებთან 10 მილიონი ცალი აგურის დამზადების შესახებ. მიმდინარე სამშენებლო სეზონში განზრახული იყო 15 მილ. ცალი აგურის დამზადება, მაგრამ გეგმა გადიდებული იქნა 5 მილიონით, ასე რომ დამზადდება 20 მილიონი ცალი აგური.

აღსანიშნავია, რომ წელს აგურის თვისება საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამას ამტკიცებს დასკვნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო-ტექნიკურ სექციისა, რომელმაც დამაკმაყოფილებლად სცნო აგურის ქარხნების მდგომარეობა და აგურის ხარისხი. განზრახულია მომავალი წლიდან, გადიდდეს აგურის ზომა გერმანული სისტემის აგურების მსგავსად. ყველა ქარხნებში წელს იმუშავებს 500 მუშა. გაუმჯობესებულია მუშაობის მდგომარეობაც. ახალი ხელშეკრულების ძალით მუშების ხელფასი 12 პროცენტით არის გადიდებული.

პარტიული ცხოვრება

ბიუროების გადარჩევა

1-ლ აპრილიდან დაიწყება უჯრედების ბიუროების გადარჩევა. ამას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორგანიზაციისათვის. აქ გამოირკვევა სისწორით ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რა მდგომარეობაშია წევრთა აღმზრდელობითი მუშაობა, ქალთა შორის მუშაობა, კომკავშირზე ხელმძღვანელობა, როგორ მიმდინარეობს უპარტიო მუშებში და გლეხებში მუშაობა და რა გავლენა აქვს უჯრედს უპარტიოებში, როგორ მუშაობენ უჯრედის მიერ გამოყოფილი კომისიები და სხვა.

ყველა ეს საკითხები აუცილებლად უნდა გაშუქდეს უჯრედების ბიუროების გადარჩევის დროს. ადგილი არ უნდა ქონდეს სუსტი მხარეების მიჩქმალვას, მიფუჩეჩებას. ყველაფერი სწორად და ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული. ჩვენ არ გვჭირია ჩვენი ნაკლოვანებების დამალვა. დღეს იმდენათ ძლიერი კი ვართ, რომ აშკარათ ვთქვათ ჩვენი უარყოფითი მხარეები.

შემდეგ, ბიუროებმა უსათუოდ უნდა აღნიშნონ ფაბრიკა-ქარხანაში რა მდგომარეობაშია შრომის ნაყოფიერება და რა ზომებს იღებს უჯრედი ამ მნიშვნელოვან საკითხის მოსაგვარებლად. ერთი სიტყვით ბიურომ ყოველ მხრივ უნდა გააშუქოს თავისი წარსული მუშაობა უჯრედის სხდომაზე.

არჩევნების დროს უსათუოდ დაცული უნდა იქნეს შინა-პარტიული დემოკრატია. დღეს ეს საკითხი, რასაკვირველია, ყველასათვის ნათელია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ამაზე მოაგონოს ზოგიერთებს. უჯრედის ყოველ წევრს საშუალება უნდა მიეცეს გამოსთქვას თავისი აზრი ბიუროს მუშაობაზე, აღნიშნოს უარყოფითი მხარეები. ყოველი შენიშვნა მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში.

საჭიროა, რომ ყურადღება მიექცეს კომისიების მუშაობას: შემთხვევაა, რომ უჯრედი ირჩევს კომისიას და შემდეგ მას არავინ სთხოვს, თუ რა გააკეთა და როგორ მუშაობს.

გარდა ამისა უნდა გამოირკვეს, თუ როგორ მიმდინარეობს ქალთა შორის მუშაობა და რამდენათ სწორათაა დაყენებული იგი. ჩვენ ვიცით, რომ თბილისის ორგანიზაციაში ქალთა რიცხვი მხოლოდ 8 პროცენტს უდრის. ეს უსათუოდ მცირე რიცხვია მთელ ორგანიზაციასთან შედარებით. ამიტომ საჭიროა ახალ ბიუროებს დაევალოს ეს მუშაობა გააცხოველოს და მეტი ყურადღება მიაქციოს მუშა-ქალების ჩაბმას პარტიაში.

უჯრედმა დეტალურად უნდა გაარჩიოს ყველა ეს საკითხები და გამოიმუშაოს ახალი უჯრედისთვის მომავალი მუშაობის გეგმა.

ი.

თბილისის ორგანიზაციის ზრდა

უკანასკნელ წლებში ჩვენი პარტიული ორგანიზაცია თვალსაჩინოთ გაიზარდა. ეს აშკარა იქნება, თუ მოვიყვანთ ზოგიერთ ციფრებს წარსულიდან. 1922 წელში თბილისის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 1787 წევრი და კანდიდატი; 1923 წლის ოქტომბერში ეს ციფრი გაიზარდა 2866-მდი. 1924 წლის იანვარში ჩვენ ორგანიზაციაში ირიცხება 3069 წევრი. 1925 წ. იანვარში უდრის 6113 და 1926 წ. კი ჩვენს ორგანიზაციაში ითვლება 7990 წევრი. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ დაწყებული 1922 წლიდან თბილისის ორგანიზაცია თანდათანობით იზრდება. ამ ხნის განმავლობაში ის 4½-ჯერ გაზრდილა.

აქ უნდა შევეხოთ ჩვენი ორგანიზაციის სოციალურ შემადგენლობას. 67% თბილისის ორგანიზაციისა შესდგება მუშებისაგან, 27,6 პროცენტი მოსამსახურეებისაგან, 5,4% კი გლეხებისაგან. შედარებით ოქტომბერთან მუშათა რიცხვი შემცირებულია, მოსამსახურეების კი გადიდებული. ეს აიხსნება პირველად ყოვლისა მით, რომ პარტიის წევრები გადაყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე; შემდეგ, უჯრედში წევრად მიღების დროს სწორად ვერ საზღვრავენ, თუ რა სოციალური შემადგენლობისაა ესა თუ ის ახლად მიღებული წევრი. ხანდახან მუშათ რიცხავენ მოსამსახურეს და სხვ.

პირდაპირ წარმოებაში ჩაბმულ კომუნისტების რაოდენობა უდრის 4291 კაცს, ე. ი. 53,7%-ს.

ქალთა რიცხვი თბილისის ორგანიზაციაში უდრის 699-ს, რაც შეადგენს 8,7 პროცენტს მთელი ორგანიზაციისას. ეს რასაკვირველია ძლიერ მცირე რიცხვია და ყოვლად შეუძლებელია ის ჩვენ დამაკმაყოფილებლად ვიცნოთ. ამიტომ პირველად ყოვლისა ჩვენმა რაიკომებმა მთელი ყურადღება უნდა მიაქციოს ქალთა შორის მუშაობას და მათ ჩაბმას ჩვენს რიგებში.

შ. ჩხაიძე

ქალთა შორის

ქალთა დღის აღნიშვნა

(შორაპნის მაზრა, ქვედა საზანოს თემი)

6 მარტს მოწვეული იქნა ქვედა საზანოს აქტიური ქალების, კომუჯრედის ლ. ა. კომუნისტური კავშირის წევრების გაერთიანებული კრება, სადაც გამოყოფილი იქნა 8 მარტისთვის მომხსენებლები და მომწყობი კომისია, რომელშიც შევიდენ როგორც ქალებიდან ისე ყველა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან. არჩეულები შეუდგენ მზადებას 8 მარტისთვის.

8 მარტს, ქვედა საზანოს თეატრში შეიკრიბა ხალხი, როგორც ქალები ისე მამაკაცები და კომკავშირელები დროშებით. თეატრის დარბაზში 8 მარტის საზეიმო სხდომა გახსნა ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რის შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ადგილობრივი კომუჯრედიდან, ქალთა ორგანიზაციიდან, ლ. კ. კ., აღმასკომიდან, და ადგილობრივ 7-წლედის სასწავლებლიდან. საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ ჩატარებულ იქნა უფასო წარმოდგენა ქალთა ორგანიზაციის მიერ; წარმოდგენილი იქნა „ახალი ცხოვრება" და „ვარდია". წარმოდგენის შემდეგ ახალგაზრდა მოწაფე ქალები მისალმენ [illegible] ქალებს. შემდეგაც იყო აუქციონი. ეს მეორეთ არის, რაც დაბლა საზანოს ქალებმა იდღესასწაულეს ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი.

გლეხის ქალი.

8 მარტი ტყიბულში.

ტყიბულის სარაიონო პარტიული კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა რაიონის სხვადასხვა ადგილებზე კვირას 7 მარტს საზეიმო სხდომები და დაგზავნილი იქნა მომხსენებლები დღის ჩასატარებლად.

თვით მაღაროებში კი დღესასწაული ჩატარებულ იქნა 8 მარტს. მაღაროების უპარტიო ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ქალმა გახსნა საზეიმო სხდომა და მიესალმა მშრომელ ქალებს, შემდეგ 8 მარტის მნიშვნელობაზე სიტყვა წარმოსთქვეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. რაიპარტკომიდან, კ. კ. რაიკომიდან, კ. კ. უჯრედიდან, პროფკავშირიდან და პიონერებიდან.

შემდეგ გაიმართა უფასო წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობდენ ქალები. წარმოდგენის შემდეგ ქალებისაგან შემდგარ კომისიამ მოაწყო ვახშამი.

ამგვარად, ტყიბულის რაიონში ქალები ამ დღეს [illegible] შეხვდენ, განსაკუთრებით კი მაღაროებში.

პარტკორი შალ.

ქალთა შორის მუშაო[illegible] არის დაყენებ[illegible]

(სუფსა, გურია)

სუფსის რაიონში ქალთა შორის [illegible] თავის სიმაღლეზე სდგას. 1925—2[illegible] დელეგატ-ქალთა შემადგენლობა უდრის 114 ქალს. დელეგატთა კრებები ხდება სისტემატიურად ორჯერ თვეში. დელეგატი-ქალები ანგარიშს აძლევენ თავის ამომრჩევლებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ რაიონის ორ თემში დაარსებულია ორი ჭრა-კერვის სკოლა, რომლებშიც სწავლობს 73 უღარიბეს გლეხის ახალგაზრდა ქალი; მათში 4[illegible] წერაკითხვის არმცოდნეა, ამისათვის [illegible] ლიკვიდაციო სკოლა [illegible] სასწავლებელში. გარდა ჭრა-კერვისა და ხელსაქმისა, მოწაფეებში სწარმოებს გაზეთის ხმამაღალი კითხვა ყოველ დღიურად თითო საათი, პოლიტიკური საგნები და ბუნების მეტყველების შესწავლა, რითაც უღარიბეს გლეხის ახალგაზრდა ქალიშვილებს ეძლევა საშუალება ჭრა-კერვის შესწავლისა და აგრეთვე გათვითცნობიერებისა პოლიტიკურ საკითხებში. 8 მარტის ქალთა საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის დღესასწაული ჩატარებული იქნა სუფსის რაიონის ყველა თემებში. მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობა 60 პროც.—70 პროც. უდრის და ქალები საბჭოებში წევრებად 15 პროც. გავიდა.

ორბელი.

სასოფლო მეურნეობა

სამიწათმოქმედო ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობისათვის

5 აპრილს, ქ. თბილისში შეიკრიბება სრულიად საქართველოს სამიწადმოქმედო ორგანიზაციათა წარმომადგენლების პირველი ყრილობა. სასოფლო და სატყეო მეურნეობის აღდგენა-განვითარების ერთიანი და მიზანშეწონილი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ასეთი ყრილობის მოწვევის საკითხი დიდი ხანია მომწიფებულია. საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს ჯერ კიდევ 1924 წლის მიწურულში ჰქონდა განზრახვა მოეწვია მიწად-მოქმედების დარგში მომუშავეთა ფართო თათბირი, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებას დღემდე წინ ეღობებოდა უსახსრობა და ბევრი სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი.

დღემდე საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი შეძლებისდაგვარათ აძლევდა საერთო მიმართულებას ჩვენი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებას. ამ მიზნით წარსული ერთი წლის განმავლობაში მოხდენილი იქნა ადგილობრივი გამოკვლევანი, შეგროვდა მასალები და შემუშავდა სათანადო გეგმები. სამიწადმოქმედო ორგანიზაციების მუშაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. მაგრამ ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენი მუშაობა უნაკლო იყოს და ადგილი არ ჰქონდეს ჩვენი ქვეყნის გლეხური მეურნეობის აღდგენის საქმისათვის ხელშემშლელ გარემოებათ.

მიუხედავათ ზოგიერთ ასეთ ხელშემშლელ პირობებისა, სამიწადმოქმედო ორგანოების მუშაკთა წყალობით სასოფლო-სამეურნეო საქმეში დიდ მიღწევებს აქვს ადგილი. ხუთი წლიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებიდან აღნიშნული მუშაკნი ეწევიან ჩვენი სასოფლო და სატყეო მეურნეობის გასაჯანსაღებლად მძიმე უღელს. ამ მუშაობის დროს მათ შეიძინეს საკმაო გამოცდილება. ამის გარდა ხანგრძლივ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების დროს განადგურების კარამდე მისულ სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების შესაძლებლობანი ამ ხნის განმავლობაში ნათლად ჩამოყალიბდენ; რის გამოც მათი სრული გამართვის ღონისძიებათა დასახვა დღეს შედარებით უფრო ადვილად შესაძლებელია.

ჩვენი სოფლის მეურნეობის განსავითარებლად მიმართული ღონისძიებანი—დღეს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის გზით მიმდინარეობენ. სასოფლო და სატყეო მეურნეობის სწრაფი განვითარების მიზნით იმ ღონისძიებათა შეთანხმება, რომლებსაც იღებენ ცენტრალური და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოები, და სამიწადმოქმედო აპარატის მუშაობის გაჯანსაღება და გაცხოველება—ყრილობის ერთ მთავარ მიზანს შეადგენს.

ყრილობის პროგრამაში დასმულია სერიოზული საკითხები; მათ შორის რამოდენიმე წმინდა პრაქტიკულ ხასიათს ატარებს.

ის გარემოება, რომ მიწადმოქმედების დარგში მომუშავეთა მომავალ ყრილობას ჩვენ შევხვდებით სათანადო გამოცდილებით და ცოდნით, გვაფიქრებინებს, რომ ყველა ეს საკითხები გაშუქებული და გადაჭრილი იქნება ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესები.

გ. მ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინასწარი ცნობებით, კამპანიის დაწყებიდან მიმდინარე წლის 15 მარტამდე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამ.-კავკასიაში შემოვიდა 3.943.384 მანეთის რაოდენობით, ე. ი. დავალება შესრულებულია 75,03 პროც.-ით.

ცალკე რესპუბლიკებს შორის შემოსული თანხა ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოში—1.202.454 მ. (79,14 პროც.), სომხეთი—735.009 მანეთი (77,81 პროც.) და აზერბეიჯანი—2.005.921 მანეთი (71,[illegible] პრ.).

ამავე დროს განმავლობაში გასული წლის გადასახადის ნარჩენები და საურავი შემოვიდა: საქართველოში—155.536 მან., სომხეთში—17.114 მანეთი და აზერბეიჯანში—159.873 მანეთი.—სულ მთელს ამიერ-კავკასიაში—323.523 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

თბილისში შესდგა განსაკუთრებულ კომისიის სხდომა, რომელიც აწყობს გლეხობის ექსკურსიას ამიერ-კავკასიის მე-2 სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინადადება საგამოფენო კომიტეტთან განსაკუთრებულ საექსკურსიო ბიუროს მოწყობის შესახებ.

კომისიამ გამოარკვია, რომ გამოფენაზე შეიძლება გატარდეს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებიდან 5.000 კაცამდე. საექსკურსიო ხარჯების ნახევარს კისრულობს სახელმწიფო, მეორე ნახევარს კი ადგილობრივი დაწესებულებანი.

გამოყოფილ იქნა მუშათა კომისია ექსკურსიების გეგმის შესამუშავებლად.

— 6 აპრილს გაიმართება საგამოფენო კომიტეტის პლენუმი რესპუბლიკების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

— ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე უკვე დაიწყო ფარდულების აშენება.

ახლო მომავალში დაიბეჭდება „გამოფენის მაჩვენებელი".

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოებული ვაჭრობა განთავისუფლებული იქნება სახელმწიფო სარეწაო გადასახადისაგან.

მეცხვარეობის გამოკვლევა

ა.-კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით შარშან დასრულებული იყო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია მატყლის ღირებულება ა.-კავკასიაში. შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად შემუშავებული იქნა გამოკვლევის პროგრამა, რომლის განხორციელება დაევალა ცალკე რესპუბლიკებს.

ამ პროგრამის მიხედვით განზრახული იყო გამოკვლევა ჩატარებული ყოფილიყო საქართველოს სამ რაიონში, სომხეთის ორ რაიონში და აზერბეიჯანის ორ რაიონში. ჯერ-ჯერობით გამოკვლევა ჩატარდა—დუშეთის, შირაქ—ახალქალაქის და ბორჩალოს რაიონებში, სომხეთში—ერევნის და აზერბეიჯანში—ზაქათალის რაიონებში. გამოკვლევა გრძელდება. მუშაობის დამთავრება განზრახულია ახლო მომავალში.

გლეხებზე გადაცემული ტყეების რაოდენობა

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობით—1925 წლის დამლევამდე მშრომელ გლეხობისათვის გადაუციათ 110 ათასი დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები. 1926 წლის იანვრიდან მარტამდე გლეხობის ხელში გადავიდა 14.239 დესეტინა ყოფილ მემამულეების ტყეები, 610 დესეტინა სამონასტრო ტყეები, 3.600 დესეტ. სახაზინო და 15.585 დესეტ. საგლეხო ტყე. სულ 1925—26 წლის განმავლობაში გლეხების ხელში გადასულა 142.199 დესეტინა ტყე.

ზემო-სვანეთის ტყეები

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელში ტყეების მოწყობის მიზნით შეუდგეს ზემო-სვანეთის სატყეო რაიონების ყოველმხრივ შესწავლა-გამოკვლევას. განყოფილება ამ სამუშაოებისათვის ზემო-სვანეთში გზავნის ტყის მომწყობ სპეციალისტებს, რომლებსაც დავალებული აქვთ შეისწავლონ და გამოიკვლიონ სვანეთის სატყეო რაიონები.

ამავე დროს გამოკვლეულ იქნება ის ადგილები, სადაც გაყვანილი უნდა იქნას გზები დამუშავებულ ხე-ტყის მასალის გამოსატანათ.

სატყეო განყოფილების ცნობით, ზემო-სვანეთის სატყეო რაიონებს უჭირავს 120 ათასი დესეტინა სივრცე. [illegible] ხეები. ტყეები მდიდარია აგრეთვე [illegible] მასალით. გარდა ამისა არის [illegible] და ფიჭვი [illegible] ღირებულებას აძლევენ სვანეთის ტყეებს.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განზრახული აქვს [illegible], ან ჯვარში, ან სხვა რომელიმე ადგილას ქაღალდის დამამუშავებელ ქარხნის აგება. ქარხანას ნედლი მასალით უზრუნველყოფს მარტო სვანეთის ტყეები.

სატყეო განყოფილების კომისია გამოარკვევს ამავე დროს, თუ რამდენათ და როგორ იქნება შესაძლებელი [illegible] ენგურის საშუალებით [illegible].

ქაღალდის ქარხნის გარდა ზემო-სვანეთის ტყეების მოწყობა-დამუშავებას [illegible] დიდი მნიშვნელობა აქვს ზემო-სვანეთის გლეხობისათვის, რომელიც [illegible] საგრძნობლად [illegible] ტყეების ექსპლოატაცია და ამ მიზნით [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე

ელისაბედ ჩერქეზიშვილს წელს 45 წელი შეუსრულდა, რაც განუწყვეტლივ მუშაობს ქართულ სცენაზე.

არ გვეგულება ისეთი ქართველი, რომელსაც ლიზა ჩერქეზიშვილი ერთხელ მაინც არ ენახოს სცენაზე და არ დამტკბარიყოს მისი მადლიანი თამაშით.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი ეკუთვნის იმ მსახიობთა პლეადას, რომელმაც ქართულ თეატრს შეუნარჩუნა ქართული სახეობა და, ათასნაირ დაბრკოლებათა მიუხედავათ, ხელოვნების წმინდა ალამი დღევანდლამდე პირნათლად ზიდა.

ლიზა ჩერქეზიშვილი გამოვიდა იმ დროს, როდესაც ქართულ მსახიობს, და მით უმეტეს ქართველ ქალს, სასცენო მოღვაწეობისთვის ესაჭიროებოდა არა მარტო ნიჭი და ხელოვნებისადმი სიყვარული, არამედ დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა.

როცა ელისაბედ ჩერქეზიშვილი 1882 წელს, 1-ლ დეკემბერს პირველად გამოვიდა დიდ სცენაზე, ეს გამოსვლა არ იყო პატარა მსახიობის პირველი ნაბიჯი, არამედ უკვე დასრულებულ მსახიობის ნამდვილი დებიუტი: იგი ამ საღამოს ასრულებდა „ხანუმა“-ში ორ პასუხსაგებ როლს: [illegible]ას და ქაბატოს.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი თავიდანვე, მაშინვე, პირველ ხმის ამოღებისთანავე—პრესამ და ხალხმა მიიღო და იცნო, როგორც იშვიათი ნიჭით დაჯილდოვებული მსახიობი.

და მას აქეთ არ დარჩენილა თბილისში და მთელ საქართველოში ისეთი მიყრუებული კუთხე, სადაც ლიზა არ ყოფილიყო მიწვეული და ეს დღე საზეიმო დღეობათ არ გადაქცეულიყო.

ლიზა ჩერქეზიშვილი ამ ხნის განმავლობაში გამოსულა 322 პიესაში და უთამაშნია 56 სხვადასხვა თეატრში.

ლიზას ამპლუა მრავალგვარია: მისი კაპასი კნეინა, დარბაისელი აღმზრდელი, გაიძვერა მაჭანკალი, ჩიფჩიფა ბებია თუ აშარი დედამთილი—უკვდავი სახეებია ჩვენს სასცენო ხელოვნებაში.

საკმარისია გავიხსენოთ ის, რომ იგი მუშაობდა არამც თუ მარტო დიდ სცენაზე ჩვენი კორიფეების გვერდით, არამედ ყველგან და ყველასთან, სადაც კი სცენა დაიდგმებოდა და ფარდა გაიხსნოდა, თვითონ კი ხალხში შეიტანა კულტურის ნაპერწკალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიზა ჩერქეზიშვილის მოღვაწეობა მუშათა რაიონებში და სახალხო თეატრებში.

ლიზა ჩერქეზიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე და ემედია, საქართველოს

მშრომელი ხალხი მის ორმოცდახუთი წლის ნაყოფიერ მუშაობას, შესაფერისი პატივისცემით აღნიშნავს.

იუბილე დანიშნულია თბილისში ამ წლის 7 აპრილს, ოპერის თეატრში.

საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე: განათლების სახალხო კომისარი—**დავით კანდელაკი.**

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე: **ი. გედევანიშვილი.**

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი: **ნინო ნაკაშიძე.**

საიუბილეო კომიტეტის მდივანი **მარიჯან.**

წევრნი:

აბაშიძე ვასო, აბაშიძე ტასო, ამირეჯიბი ნინო, არაყიშვილი დ., ანდრონიკაშვილი კონ., ალიხანიანი ი.ს., გოგიბერიძე ჭ., გომართელი ივ., გოცირიძე ნიკო, გრიშაშვილი, ევლახიშვილი ს., ელბაქიანი ლ., ეული სანდრო, თოდრია ს., კანდელაკი სერგო, მარჯანიშვილი კოტე, მაყაშვილი კოტე, მაისურაძე ოლ., სიდამონ-ერისთავი ვალ., სეიფი, სუხიშვილი ლადო, ფალიაშვილი ივ., შარაბიძე შ., შესტოვი ნიკ., შიუკაშვილი ნიკო, ყურულაშვილი გ., წერეთელი ირაკლი, წუწუნავა ალექ., ხუტულაშვილი ჯავაირ, ჯაბაური გ., ჭიაურელი მიხ.

საკურორტო სეზონისათვის

დასასვენებელი სახლები სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით სამხრეთ-ოსეთში—ჯავაში შენდება დასასვენებელი სახლი, რომლის აგება-მოწყობაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველო.

სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასკომმა შეადგინა სახლის გეგმა, რომელიც უკვე განიხილა სოციალურ დაზღვევის სამმართველომ. გეგმის მიხედვით ჯავაში აშენებული იქნება ქვითკირის სახლები. ჯერჯერობით ამ მიზნისათვის გადადებულია 23 ათასი მანეთი.

ამასთანავე, სამხრეთ-ოსეთის ცენ. აღმასკომმა სოც. დაზღვევის სამმართველოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა სახლის ასაგებათ თანხის გადადების შესახებ. სამმართველოს აზრით ჯავაში ქვიტკირის შენობის აგება არ არის მიზანშეწონილი, იქ გაცილებით უკეთესია ხის სახლის აგება. მით უმეტეს, რომ საამშენებლო ხე-ტყის მასალას უფასოდ იძლევა ცენტრ. აღმასკომი. თავის მხრივ სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასწყვიტა ჯავას დასასვენებელ სახლის ასაგებათ გადასდოს 5 ათასი მანეთი. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი კისრულობს სახლის მოწყობას.

აღსანიშნავია, რომ ეს დასასვენებელი სახლი პირველია სამხრეთ-ოსეთში და მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ჯავას მიდამოების მშვენიერი ჰაერი და მდებარეობა დიდად შეუწყობს ხელს ოსეთის მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს.

საგარანტიო დაზღვევა

სახელმწიფო საგარანტიო დაზღვევა ა.-კავკასიაში ვითარდება ჩქარი ტემპით. თუ როგორ ფართე ხასიათს იღებს საგარანტიო დაზღვევა, ეს ჩანს შემდეგი ციფრებიდან: გასული წლის პირველ ოქტომბრიდან ამ წლის პირველ მარტამდე მთელ ამიერ-კავკასიაში დაზღვეული იყო 223 ერთეული 3.560.000 მან. თანხით. აღნიშნულ დაზღვეულ ქონებას ემსახურებოდა 725 საგარანტიო თანამშრომელი, რომელნიც გატარებულნი იყვნენ სატესტატო სარეგისტრაციო ბიუროში.

როგორც ვიცით, საგარანტიო დაზღვევის დროს პასუხისმგებლობას კისრულობს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო.

მაგალითად, თუ რომელიმე დაწესებულება დააზღვევს თავის მოლარეს მისთვის ჩაბარებულ ფულის საშუალო ციფრის მიხედვით, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო ამ დაწესებულებას უნაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც იმავე მოლარემ ფულის გაფლანგვით ან სხვა რაიმე სახით შეიძლება მიაყენოს დაწესებულებას.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საგარანტიოთ აზღვევს ისეთ პირებს, რომელნიც წინასწარ იქნებიან გატარებულნი სამმართველოსთან არსებულ სატესტაციო და სარეგისტრაციო ბიუროში და ამავე დროს საკმაოთ იქნება გამორკვეული მათი ვინაობა და კეთილსინდისიერება. ერთი სიტყვით თუ დაზღვეულმა თანამშრომელმა რაიმე ზარალი მიაყენა დაწესებულებას, ამ ზარალს სამმართველო უნაზღაურებს დაწესებულებას.

დღემდე ამ ვალდებულებებს, თითქოს ასრულებდენ პასუხისმგებელი შრომის არტელები, მაგრამ სინამდვილეში ეს შეუძლებელი ხდებოდა. პირიქით, იყო შემთხვევები, როცა ამ არტელების მიერ წარგზავნილ პირებმა ჩაიდინეს ბოროტ-მოქმედებანი და არტელებმა არა თუ აუნაზღაურეს დაწესებულებებს ზარალი, არამედ უბრალო პასუხისმგებლობაც ვერ იკისრეს, როცა საქმე მიდგა ვალდებულების შესრულებაზე.

ამრიგათ საგარანტიო დაზღვევამ შექმნა მტკიცე ნიადაგი და მოკლე ხანში სრულებით ბუნებრივად მოისპობიან პასუხისმგებელთა არტელები.

რ.

წითელ ჯარში

მეთაურთა და პოლიტიკურ სკოლების შეკრებისათვის

მოკლე ხანში მოხდება გამოშვება ქართულ მეთაურთა და პოლიტიკურ სკოლებიდან. ჩვენ ამთავითვე უნდა მივიღოთ ზომები სკოლების შესავსებათ ახალი ამხანაგებით.

ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება ადგილობრივი პარტორგანიზაციების, რომლებმაც ამ სკოლებისათვის უნდა გამოგზავნონ ამხანაგები.

როგორც გამოირკვა, ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობაში ამ უკანასკნელ ხანში მეტად იზრდება მისწრაფება სამხედრო სკოლებში შესვლისაკენ.

აუცილებლად საჭიროა, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა ამხანაგების გაგზავნის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი მოსაზრებებით:

უპირველესად ყოვლისა საჭიროა სკოლებში გამოიგზავნონ ისეთი ამხანაგები, რომლებიც უფრო მეტად აქტიური არიან.

სამხედრო სკოლების ახალი კურსანტებით შევსების დროს უნდა საგრძნობლად მოიმატოს სკოლების პარტიულმა შემადგენლობამ და მაშასადამე, პარტიულ ორგანოებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ამოცანის შესრულებას.

გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე სამხედრო სკოლების შემადგენლობაში სჭარბობდა გლეხური ელემენტი. ამიტომ ადგილობრივმა პარტორგანოებმა უნდა აწარმოონ ენერგიული მუშაობა მუშურ მასაში და უნდა ეცადონ, რომ სკოლებში გაძლიერდეს მუშური ელემენტი. აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ნაციონალურ უმცირესობათა წრიდან აქტიურ ამხანაგების გამოყოფას და მათი სამხედრო სკოლებში გაგზავნას.

აქაც საჭიროა დახმარება პარტორგანიზაციების და მათი თაოსნობით აღნიშნულ სკოლების მოგვარება.

ა.

[illegible] ჩვენი სამხე[illegible]

[illegible] დრო კუთხე. გამგეთ გამოყოფილია ადგილობრივ სახელოსნოს მუშა. კუთხეს გამოშუშავებული აქვს თვიური სამეცადინო გეგმა; აქვს კავშირი ლეგიონის კლუბთან და სამკითხველოსთან.

კუთხეში სისტემატიურად სწარმოებს სამხედრო ხასიათის წიგნების და გაზეთების ხმამაღლა კითხვა ახსნა-განმარტებით. გვაქვს აგრეთვე საცნობო მაგიდა. კითხვა პასუხის [illegible].

კუთხესთან არსებობს სამხედრო ცოდნათა წრე, რომელშიაც ირიცხება 28 წევრი.

ჩამოსული გლეხობა ყოველთვის ხალისიანად დაიარება სამხედრო კუთხეში, ეცნობა მის საქმიანობას, ათვალიერებს გამოფენილ სამხედ. ხელსაწყობს. არის შემთხვევები, როცა გლეხები იძენენ სამხედრო ხასიათის წიგნებს სახლში წასაღებათ.

კ. დევაძე.

ჩვენი კავშირი
(1-ლი ლეგიონი)

ლეგიონს მჭიდრო კავშირი აქვს სამოქალაქო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაწილის დამოკიდებულება თბილისის ტყავტრესტის მუშათა და ამიერ-კავკ. საგ. ვაჭრობის კომისარიატის კომუჯრედთან.

ამის გარდა გვაქვს გაბმული კავშირი დილომის თემის გლეხებთან.

ლეგიონის ბიურო-კოლექტივს გამოყოფილი ჰყავს ამ საქმისათვის ერთი წევრი. ყოველ ასეულის უჯრედებიდან გამოყოფილნი არიან წარმომადგენლები და მიმაგრებულნი სხვადასხვა ორგანიზაციებზე.

ლეგიონი დიდ შრომას ეწევა აღნიშნულ ორგანიზაციების გასამხედროებისათვის. თითქმის ყველგან გვაქვს სამხედრო კუთხეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ [illegible] მომზადებული ამხანაგები.

ლეგიონის საკავშირო კომისია ხშირად გზავნის მოკავშირე ორგანიზაციებში [illegible] მოხსენებლებს. [illegible]

თბილისი ზაჰესის ენერგიის მოლოდინში

გუშინ, საღამოს ქ. თბილისის აღმას. კომუნალური განყოფ. სახელით ამხ. ასრიევმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ზაჰესის დამთავრებასთან დაკავშირებით თბილისის ელექტრო-ქსელის გადაკეთება-გარდაქმნის შესახებ.

ხელშეკრულება დადებულია სააქციონერო საზოგადოება „ელექტროსტროი“-სთან, რომლის სახელითაც მას ხელი მოაწერა საზოგადოების რწმუნებულმა ინჟ. მელკუმიანმა.

ხელშეკრულების ძალით „ელექტროსტროი“ ვალდებულია თავისი მასალით და მუშა ხელით გადააკეთოს თბილისის ბინებში სანათური წერტილები და შეუფარდოს იგი ზაჰესის ელექტროდენის ნორმებს, რომელსაც გამოიმუშავებს ქალაქის ელექტრონის მომწესრიგებელი განყოფილება („რუის“) სულ თბილისში გადაკეთებულ უნდა იქნეს 40 ათასიდან 120 ათასამდე წერტილი.

„ელექტროსტროი“-ში აქციონერათ შედის შვეციის სააქციო საზოგადოება „ასეა“ („ASEA“).

აღნიშნული ხელშეკრულების დადება უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ დიდ მიღწევად თბილისის ელექტროფიკაციის საქმეში.

საბინაო კოოპერატიული მშენებლობა

საბინაო კოოპერატივთა რაოდენობა

ამჟამად ამიერ-კავკასიაში აღრიცხულია 33 საბინაო საამშენებლო კოოპერატივი: აქედან საქართველოში არის—20, აზერბეიჯანში—6 და სომხეთში—7, წევრთა საერთო რაოდენობა უდრის—1.484 კაცს. კოოპერატივებს აქვთ საკუთარი თანხა 91.400 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა, ა.-კ. რკინისგზეზე მოწყობილია 7 საამშენებლო კოოპერატივი, რომელთაც ჰყავთ 630 წევრი.

საბინაო საიჯარო ამხანაგობები

გასულ წელს წარმოიშვა და გაძლიერდა აგრეთვე საბინაო-საიჯარო ამხანაგობები, მაგ. საქართველოში მოეწყო 200-მდე ასეთი ამხანაგობა—6 ათასი წევრით, აზერბეიჯანში 620 ამხანაგობა—16 ათასი წევრით და სომხეთში 10 ამხანაგობა.

ბანკების სესხი მშენებლობისათვის

გასულ საბიუჯეტო წელს ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა ა.-კ. კოოპერატიულ საბინაო მშენებლობისათვის გაიღო 2.095 ათასი მანეთი სესხი. მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის,—წინასწარი ცნობების თანახმად გადადებული იქნება ამავე ბანკის მიერ 4 მილიონი მანეთი—გრძელვადიანი სესხის სახით.

საბინაო გადასახადისაგან შემოსული თანხები

გასულ წელს საბინაო აღმშენებლობისათვის თანხების გასაძლიერებლად ფინანსიურ ღონისძიებათა გატარება ადგილებზე მეტად ბრკოლდებოდა. საბინაო-მიზნობრივი გადასახადი ბევრ ქალაქში ვერ იქნა შეკრეფილი, ზოგ ადგილას კი შეიკრიფა, გათვალისწინებულზე ნაკლები. სულ ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში საბინაო გადასახადებისაგან შემოვიდა 862.343 მანეთი.

საბინაო კოოპერაციის სხვა საშუალებანი

გარდა ზემოხსენებული თანხებისა, საბინაო კოოპერაციას თანხებს აწვდიდენ ადგილობრივი აღმასკომები. მაგ. გასულ წელს თბილისის აღმასკომმა საბინაო მშენებლობისათვის გაიღო 84 ათასი მანეთი, ბაქოს აღმასკომმა 500.000 მანეთი, ერევნის 100 ათასი მანეთი, ა.-კ. რკინისგზათა სამმართველომ—89.000 მანეთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, „აზნავთი“-ს დახმარება, რომელმაც გასულ წელს ბაქოს მუშათა ახალშენებისათვის გაიღო 4 მილიონი მანეთი.

დაზღვეულთა საქიმო დახმარება

შრომის სახ. კომისარ. ორგანობის მიერ დამამუშავებელი მასალების მიხედვით დაზღვეულთა საქიმო დახმარების საქმის მდგომარეობა ა.-კ. ცალკე რესპუბლიკებში ერთგვარ დონეზე არა სდგას.

საამბულატორიო დახმარება

საამბულატორიო დახმარება ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში თანდათან ფართოვდება, მაგრამ ამბულატორიების ნაკლულოვანება უმთავრესად ის არის, რომ ამბულატორიების უმრავლესობას აკლია ინსტრუმენტები, შესახვევი მასალა და სამეურნეო ინვენტარი. გარდა ამისა ამბულატორიები ზომაზე მეტად არიან დატვირთულნი.

სტაციონალური დახმარება ყველა რესპუბლიკებში საჭიროებაზე ნაკლებია.

წამლების მიწოდება ავადმყოფებისათვის

დაზღვეულებისათვის წამლების მიწოდების საქმე ყველგან ერთნაირად არ არის დაყენებული. მაშინ, როცა აზერბეიჯანის და სომხეთის ქალაქებში დაზღვეულებს წამლებს აძლევენ ყველა აფთიაქებიდან, საქართველოში დაზღვეულთათვის წამლების გაცემა ხდება განსაკუთრებულ აფთიაქებიდან, რომელნიც მეტის-მეტად დატვირთულნი არიან და დროზე ვერ ამზადებენ შეკვეთილ წამლებს.

სანიტარული საკურორტო მკურნალობა

სანიტარულ-საკურორტო მკურნალობას ყველა რესპუბლიკებში შედარებით წინა წლებთან დიდი დაწინაურება ეტყობა. ყოველ წლობით იზრდება სანატორიუმებსა და აგარაკებზე გაგზავნილ ავადმყოფთა რაოდენობა.

პროფკავშირებში

მუდამ გაუგებრობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს

1925 წელს სატრანსპორტო კავშირის ინიციატივით და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილებით დაარსდა ა.-კ. ფარგლებში დატვირთ-გადმოტვირთვის სააქციონერო საზოგადოება „ზაკპოგრუზ“-ი. ეს უკანასკნელი შეუდგა მუშაობას 1925 წ. მარტის 15-დან. მის ამოცანას შეადგენდა, რათა ყოველივე დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეები აელო ხელში მთელ ა.-კავკასიაში, როგორც არის: ა.-კ. რკინის გზა, შიგნით ყველა ქალაქებში, სანაპირო საქმეები, როგორიცაა გემებიდან გადმოტვირთვა და დატვირთვა, საბაჟოები და სხვა.

რა ქნა მან ერთი წლის განმავლობაში და რა სამუშევრების აღება მოახერხა? მან აიღო ამიერ-კავკასიის რკინისგზის დატვირთ გადმოტვირთვის საქმე თბილისის, ბაქოს ჯულფის და ლენინკანის საბაჟოები, ბათომის და ფოთის სანაპირო სამუშევრები. ყველა ქალაქების შიგნით სამუშევრები და აგრეთვე შავი ქვის (მარგანეცის) გადატვირთვა შოროპანში.

ამჟამად „ზაკპოგრუზ“-ი აერთიანებს 4550 მუშა-მოსამსახურეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადერბეიჯანის რკინისგზის ხაზს და სოხუმის მტვირთავ მუშებს დაახლოვებით 1500 კაცს, რომლებიც სულ მოკლე ხანში უნდა იქნენ შემოერთებული „ზაკპოგრუზ“-სთან თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს პლენუმის დადგენილებისა.

როგორია თვით ამ დარგის ადმინისტრატიული განწესრიგება.

არის გამგეობა, ხუთი კაცისაგან შემდგარი; აქვს სამი განყოფილება რესპუბლიკანურ მასშტაბით, სამივე რესპუბლიკებში, (როგორიცაა: საქართველო, ადერბეიჯანი და სომხეთი:) ამ რესპუბლიკანურ განყოფილებებს აქვთ თავიანთი ფილიალური განყოფილებები და უბნები როგორც რკინისგზაზედ, ისე ქალაქებში და სანაპიროებში.

სად არის მტკივანი მხარეები?

ჩვენდა საუბედნიეროდ, ჩვენ დარგში ძალიან ბლომად მოგვეპოვება მუშკორები და ამ უკანასკნელების საშუალებით თქვენ ძალიან ხშირად ნახავთ გაზეთ „მუშა“-ში ან „კომუნისტ“-ში აუარებელ უკმაყოფილებებს. უმთავრესად ეს ეხება რკინისგზის მტვირთავ მუშებს. მუშკორთა შენიშვნებში აღნიშნულია: **„სამგზავრო ბილეთებს აღარ გვაძლევენ“, „ზედმეტ გასამრჯელოს არ გვაძლევენ“, „შტატში არ გვრიცხავენ“, „ხელფასი მცირეა“, „ბინები არ გვაქვს“, „ჯამაგირებს თავის დროზე არ ვღებულობთ“ და სხვა მრავალი.**

მარტო საქართველოში გვაქვს 85 სადგურამდე, სადაც გვყავს 2, 3, 4, 5 მუშამდე. ყველა ამ სადგურებში ახალი ბინების აშენება ძალიან ძნელია. ასეთი საგრძნობი თანხა ძალიან შორს წაგვიყვანს, რის საშუალება არამც თუ „ზაკპოგრუზ“-ს არა აქვს, არამედ თვით რკინის გზის სამმართველომაც ვერ შესძლო. მაგრამ ჩვენ შეძლებისდაგვარად, ვაძლევთ ბინებს ყველა სადგურში.

ჯამაგირების დაგვიანება.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ 6—7 დღის მეტი დაგვიანებულიყოს ხელფასის დარიგება. ისიც ძალიან იშვიათად. შემთხვევაა როცა თვით გამგეობას უჭირს რკინისგზის სამმართველოდან გამოტანა თავიანთი ხვედრის.

საერთოდ ამიერ-კავკასიის მუშების მდგომარეობა გამოსარკვევია და ერთხელ და სამუდამოთ მოსაგვარებელი.

ყველასათვის ნათელია, თუ როგორია დღეს ხელისუფლების პოლიტიკა მეურნეობის აღსადგენათ ჩვენი ფულის კურსის განსამტკიცებლად, რისთვის ხელისშეწყობა ყველა ჩვენთაგანისათვის საჭიროა და სავალდებულო.

მაგრამ ისმება კითხვა, განა მარტო მტვირთავ მუშების ზურგზედ უნდა აშენდეს მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი?—არა, მე მგონია, ყველამ უნდა გაიღოს წვლილი და ოფლი გამოიღინოს საერთო საქმის ასაყვავებლად.

დატვირთო-გადმოტვირთვის ჯილდო ფუთზე ძალიან მცირეა, არც ერთ სამეურნეო დარგს არა აქვს საშუალება საქმე აწარმოვოს ისე, რომ მუშა მას საშუალოდ კმაყოფილი ყავდეს და ამდენ საჩივრებს არ ქონდეს ადგილი.

„ზაკპოგრუზ“-მა დასდო კომერციული ხელშეკრულება ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოსთან. უკანასკნელი, რამდენიც შეიძლებოდა, წავიდა დათმობაზე, მაგრამ მდგომარეობა მაინც იღებს ძალიან სერიოზულ ხასიათს, როდესაც ჩვენ ვდებთ კოლექტიურ ხელშეკრულებას კავშირთან.

აი მაგალითიც, მე როგორც ზემოდ მომყავს, 85 სად., სადაც 2, 4, 6 კაცი გვყავს, ასეთ სადგურებში შემოსავალია 10-15 მან., გასავალი კი 120—240 მანეთი. თავის თავად ცხადია რომ ასეთ პირობებში მუშაობა არ შეიძლება. მეორე ციფრობითი მაგალითი:

საქართველოს რკინისგზის შემოსავალი:
აღებული საუკეთესო შემოსავლიანი თვეები:

სექტემბერი	70.108 მან.
ოქტომბერი	72.253 „
ნოემბერი	77.539 „
დეკემბერი	85.788 „
საშუალოთ	76.422 „

გასავალი ერთი თვისა

(ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებულია სამ-ცვლიანი მორიგეობა და რეალური ზედმეტი საათები:)

1) ხელფასი და ზედმეტი საათ.	75940 მან.
2) დაზღვევა 16%	12150 „
3) ადგილკომის 2%	1518 „
4) კულტ-კომისიის ერთი პრ. 1%	759 „
5) დასასვენებელი სახლები	190 „
6) სტიპენდიანტები	200 „
7) სპეც-ტანისამოსი	1300 „
8) შვებულება 6%	4556 „
9) დამხმარე ძალა	12000 „
10) სამალარიო 5%	756 „
11) შინ. ხარჯ. საკანცელ. და სხვა	4302 „
სულ	113672 „

ამ გვარად დეფიციტი უდრის 37.000 მანეთს თვიურად.

ვინაიდან ასეთი მდგომარეობა შეიქნა, ამ საქმის და საერთოდ როგორც „ზაკპოგრუზ“-ზის ისე რკინისგზის მტვირთავ მუშების მდგომარეობის გამოსასწორებლად და თავის დონეზე დასაყენებლად იყო შექმნილი კონფლიქტი რკინისგზის კავშირსა და „ზაკპოგრუზ“-ის შორის.

აღარ დარჩა [illegible] ორგანო, როგორც საქართველოში, ისე [illegible] ამიერ-კავკასიაში, რომ ეს საკითხი არ ყოფილიყოს დასმული, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საუკეთესო მოწინავე ამხანაგები ღებულობდნენ ამ საქმეში მონაწილეობას—მაინც ეს საკითხი ვერ არის სავსებით მოგვარებული.

მე თვითონ ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი ვარ და ასეთი მდგომარეობა მაყენებს ძალიან უხერხულ და გამოუვალ მდგომარეობაში, როგორც მუშების, ისე მთავრობის წინაშე და ამისათვის ამ საქმეს მოსაგვარებლად დაკვირვებით და გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ ყოველ წელიწადს ასეთი მოვლენა არ იქნეს.

შინაგან ვაჭრობის კომისარიატმა, ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველომ და კავშირმა მთავრობასთან ერთად ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოუღონ ასეთ მოვლენებს ბოლო, ხელი შეუწყონ ახლად შექმნილ საზოგადოება „ზაკპოგრუზ“-ს, რომ ერთხელ და სამუდამოთ, როგორც მუშებმა, ისე ორგანიზაციებმა თავისუფლად ამოისუნთქონ, გაიგონ რომ ეს დარგი ჩამოყალიბებულია ერთხელ და სამუდამოდ.

ვ. ხუნდაძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

— **პროფკავშირთა სრ. საქ. მე-5 ყრილობის რეზოლიუციებისა და ანგარიშების გამოსაცემად.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. **სიმ. გოდაბრელიძის** მოხსენება პროფ. სრ. საქ. მე-5 ყრილობის რეზოლიუციებისა და ანგარიშების გამოცემაზე. რეზოლიუციები გამოცემული იქნება ერთი კვირის ვადაში, ხოლო ანგარიშები (ქართულ-რუსულ ენებზე—ერთი თვის განმავლობაში.

— **წარმომადგენელთა შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა სხვა და სხვა ორგანოებში წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ. დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას შეადგინოს იმ წარმომადგენელთა-დაწესებულებათა სია, რომლებშიც წარმომადგენლების გაგზავნა აუცილებელია.

— **პრეზიდიუმის მორიგი სხდომები.** [illegible] პრეზიდიუმის მორიგი სხდომები [illegible]

— [illegible]

[illegible] რებაზე. თათბირმა მიიღო მრავალი დადგენილებები და დაავალა სამეურნეო ორგანოებს სკოლისთვის დასახმარებელ თანხის გამონახვის შესახებ.

პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროში

— **პროფკომების მოწყობა.** პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ქართულ მუშფაკის აღმასკომთან მოაწყოს პროფკომები.

— **კულტმუშაობის გასაცხოველებლად.** დაევალა ამხ. ტუტუნჯიანს მიიღოს ენერგიული ზომები სტუდენტთა პროფორგანიზაციის კულტმუშაობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით ახლო ხანში მოწვეული იქნება კულტთათბირი.

ფეიქართა კავშირში

— **ლიტერატურის შეძენა.** [illegible]

საბჭოთა საქართველო

ახალი სადგური

ფოთი, 31 მარტი. ეხლანდელი რკინის გზის სადგურის მაგივრად, რომელიც ნავთსადგურიდან $1\frac{1}{2}$ ვერსით არის დაშორებული, **ახლო მომავალში დაიწყება სადგურის აშენება ნავთსადგურის მახლობლად.**

ქალაქის ახალი საბჭო

ფოთი, 31 მარტი. ორი კვირის მუშაობის შემდეგ დამთავრდა ქალაქის ახალი საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სხდომა.

საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა შრომის სახ. კომისარმა ამხ. **მიქაძემ.** მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მთავრობის მუშაობას.

ქალაქის აღმასკომის $1\frac{1}{2}$ წლის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარე ბესარიონ გოგიამ, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა აღმასკომის მიერ შესრულებული დიდი მუშაობა, როგორც მაგალითად: რკინის ხიდის აგება რიონზე, მალთაყვის ხიდის დამთავრება, ქალაქის ელექტროფიკაციის გაუმჯობესება, სახელმწიფო თეატრის და ქუჩების კაპიტალური შეკეთება და სხვ.. 1926 წლისათვის განზრახულია მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება ჭაობების ამოსაშრობათ და ქაღალდის ფაბრიკის ასაგებათ.

სხდომამ აღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნო. ქალაქის ახალ აღმასკომში არჩეულია 21 წევრი და 7 კანდიდატი, აქედან 21 კომუნისტი, 7 უპარტიო და 2 ქალი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ოზურგეთი, 31 მარტი. საფინანსო განყოფილების ცნობით, 30 მარტამდე შემოტანილია 18.561 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ნაშთი—10.140 მანეთი და საურავი—1.022 მანეთი.

საბჭოთა სამაზრო ყრილობა

ონი, 30 მარტი. დღეს, საღამოს გაიხსნა საბჭოთა სამაზრო ყრილობა, რომელსაც 24 დელეგატი ესწრება.

საქართველოს მთავრობის სახელით მოხსენება წაიკითხა ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. **კუჭაიძემ,** რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა საბჭოთა მთავრობის მნიშვნელოვანი მიღწევები სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის დარგში.

ავადმყოფთა მოძრაობა

გორი, 31 მარტი. თებერვლის განმავლობაში ქალაქის ამბულატორიაში ყოფილა 4,445 ავადმყოფი.

ნამყენების სათბური

თელავი, 31 მარტი. საზოგადოება „კახეთმა“ დაამთავრა ნამყენების ახალი სათბურის აგება თელავის სადგურიდან. განზრახულია ნახევარი მილიონი ნამყენის დამზადება.

აჭარისტანი

ტრაქტორები ამიერ-კავკასიისათვის

ბათომი, 31 მარტი. ამ დღეებში საზოგადოება „ტრანსპორტ“-ის მისამართით **საზღვარგარეთიდან მოდის „ფორძონის“ სისტემის 300 ტრაქტორი. ტრაქტორები მოხმარდება ამიერ-კავკასიის საჭიროებას.**

აგრონომიული საბჭოები

ბათომი, 31 მარტი. აჭარისტანის **მაზრებში დაწყებულ აგრონომიულ საბჭოების მოწყობა.**

სასოფლო-სამეურნეო მანქანები აჭარისტანისთვის

ბათომი, 31 მარტი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა აჭარისტანის საკრედიტო კოოპერატიულ-ამხანაგობებს მისცა კრედიტი 450 სასოფ.-სამეურნეო მანქანების შესაძენად.

ყვავილი მოისპო

ბათომი, 31 მარტი. ყვავილით ავადმყოფობა, რომელიც შემჩნეული იყო მარტის დასაწყისში, ამჟამად მოისპო.

ქალაქის გაჯანსაღება

ბათომი, 31 მარტი. წყალთა მეურნეობის განყოფილება შეუდგა ჭაობების ამოშრობას არდაჰანის ყაზარმებთან.

ამოსაშრობი მუშაობა ახლო მომავალში დამთავრდება.

გემების მიმოსვლა

ბათომი, 31 მარტი. 28 მარტს ბათომში მოვიდა: მარსელიდან—გემი „იმერეთი“, რომელმაც მოიტანა 250 ტონი სხვადასხვა ტვირთი და დაბრუნდა ჩენ ნავთსადგომებიდან „მაია“ და „ვოლეტრი“, რომელნიც წაიღებენ ნავთის პროდუქტებს.

ასიგნოებები

ბათომი, 31 მარტი. სახელმწიფო მრეწველობის განსავითარებლად მიღებულია კრედიტი 280,000 მანეთის რაოდენობით.

აჭარისტანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 135,00 მანეთი გადასდო მაზრების ტელეფონიზაციისათვის.

ბათომის სარკინისგზო კვანძის საამშენებლო საჭიროებისათვის მიღებულია 60,000 მანეთი.

შავი ზღვის ნაპირის გამაგრება

ბათომი, 31 მარტი. ა.-კ. რკინისგზათა სამმართველომ დაამთავრა მუშაობა შავი ზღვის ნაპირის გასამაგრებლად რკინის გზის გასწვრივ ბათომიდან ქობულეთამდე.

წყალსადენი სოფლად

ბათომი, 31 მარტი. ხულოს მაზრაში დაიწყო მუშაობა წყალსადენის გასაყვანად. წყალსადენის სიგრძე იქნება 20 ვერსი.

მუშკორების თათბირი

ბათომი, 31 მარტი. შესდგა მუშკორთა თათბირი, რომლის მიზანია ზომების შემუშავება მუშკორების [illegible] დევნისაგან დასაფარავად.

თათბირმა გამოჰყო ამხანა[illegible], რომლებმაც კავშირი უნდა ი[illegible] პარტკომთან და პროკურატურა[illegible]

ყუთები საკერავ მანქანებისთვის

ბათომი, 31 მარტი. აჭა[illegible] სატყეო სამმართველომ [illegible] ლება დასდო „მოსკვოშვეიპ[illegible]“ [illegible], რომელმაც 2 მილიონი კვადრ. ფანერი უნდა გამოგზავნოს საკერავი მანქანების ყუთების დასამზადებლად.

აჭარისტანის სავაჭრო-მრეწველო სამმართველოს შემოსავალი

ბათომი, 31 მარტი. აჭარ[illegible] სავაჭრო-სამრეწველო [illegible] შემოსავალი გასული წლის განმავლობაში 75.000 მანეთს უდრიდა.

◆

დავეხმაროთ მევენახე გლეხებს

სოფლათ ეხლა დიდი მოთხოვნილებაა გოგირდზე, შაბიამანზე, წამლის სასხურებელ მანქანებზე და მათ მოწყობილებაზე. შეძლებულ გლეხკაცობამ თავის დროზე იზრუნა ყოველივე ამისათვის და მას წინდაწინვე მომარაგებული აქვს ვენახის დასამუშავებელი წამლეულობა და იარაღები. სამაგიეროთ ასეთი არ არის ღარიბ გლეხების მდგომარეობა.

კერძო ვაჭრები სარგებლობენ ამით და ნისიათ, მაგრამ მამასისხლათ აძლევენ გლეხებს ვენახის დასამუშავებელ წამალს და იარაღებს. აქ საჭიროა კოოპერატივებმა მეტი ფხიანობა გამოიჩინონ. უნდა ამოძრავდენ გლეხკომებიც. ამ ორგანიზაციის თაოსნობის ქვეშ კოოპერატივებმა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებმა უნდა ჩამოაცალონ გლეხკაცობას კერძო ვაჭრები და თვით მიაწოდონ მათ სესხის სახით ვენახის დასამუშავებელი საჭირო მასალები.

თუ ეს ასე არ მოხდა, გვიანღა იქნება შემოდგომაზე იმის შესახებ ლაპარაკი, რომ კერძო პირები წყალის ფასად იგდებენ ხელში გლეხობის მონაგარს ღვინოს და არაყს. წარსულ შემოდგომაზე, როგორც ვიცით ასეთ შემთხვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი.

გარდა იმისა, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში დაინტერესებულნი ვართ გლეხებმა კოოპერაციასთან დაიჭირონ საქმე და თავისი მოსავალი მხოლოდ კოოპერაციის საშუალებით გაავრცელონ, არის სხვა მოსაზრებებიც, რომელთა მხედველობიდან გაშვება არ შეიძლება: ესაა სოფლის მეურნეობის საერთო წინსვლაზე და განსაკუთრებით ღარიბ გლეხთა მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

ჩვენ არა ერთი ისეთი შემთხვევები ვიცით, როცა ღარიბი გლეხი მოკლებული ვენახის მოსავლელ საშუალებათა შეძენას, ან სრულიად უწამლოთ სტოვებს ვენახს, ან და იმდენათ მცირე წამალს უშხურება, რომ ნამყენები, არა თუ მარტო მცირე მოსავალს იძლევიან, არამედ ზოგჯერ სამუდამოთ ზიანდებიან.

ამიტომ, სანამ კიდევ დრო არის, უნდა იქნას მიღებული ყოველივე ზომები მევენახე ღარიბ გლეხობის წამლეულობით და სხვა ხელსაწყოთი დასაკმაყოფილებლათ.

მეველე.

მუშათა ცხოვრება

ფოსტა-ტელეგრაფის კურსანტების მდგომარეობა

ამიერ-კავკასიის სახ. კავშ. ოლქის სამმართველომ გახსნა 1 დეკემბერს ფ.-ტელეგრაფის გამგეების კურსები, სადაც სწავლობენ ოთხი ეროვნების კურსანტები: ქართველები, სომხები, რუსები და თათრები. კურსების მიზანია მომზადება კურსანტების ფ.-ტ. განყოფილების თანამდებობაზე სოფლად და ამასთან ერთად გამოცდილების მიღება იმაზე, თუ როგორ უნდა გლეხის საჭირბოროტო კითხვებს მიდგომა, რასაც აქვს დიდი მნიშვნელობა სოფლისა და ქალაქის შორის კავშირის განმტკიცებისათვის.

კურსანტები უმეტესად არიან კომკავშირელები, არიან პარტიულებიც და უპარტიონიც. კურსანტები განიყოფებიან ორ ჯგუფად: 1 ჯგუფი სცხოვრობს საერთო საცხოვრებელში, ესენი ღებულობენ 33 მ. თვიურად. 2 ჯგუფი კი, რომელნიც საერთო საცხოვრებელში ადგილის უქონლობის გამო სცხოვრობს კერძო ოთახებში—იღებს 38 მ.

მართალია საერთო საცხოვრებელს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა შეურიგდეთ მდგომარეობას, ვინაიდან უკეთესი ბინა ჩვენ ამ. კავ. ოლქის სამ. არ მოეპოვება.

ამ კურსების გამგედ დანიშნულია მოქ. პრელაშვილი. მეცადინეობა კურსებზე სწარმოებს სრული სამი საათიდან საღამოს 8 საათამდის. მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. მასწავლებლების მხრივ სწავლის შეფერხებას ადგილი არ აქვს. ყველა მასწავლებლები დიდის გულმოდგინებით გვიხსნიან საგნებს.

სწავლა სწარმოებს რუსულ ენაზე, რაც პირველად სხვა ენის კურსანტებს ძალიან უჭირდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეჩვივენ და ეხლა თითქმის ყველა კარგად ერკვევა მასში.

გამგე, მოქ. პრელაშვილი დიდი გულმოდგინებით ეკიდება ჩვენს მეცადინეობას. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე კურსანტი ვერ იგებს რუსულ ენაზე საგანს, ის მთელ გაკვეთილს ქართველებს ხელმეორეთ აგვიხსნის.

დიდ მზრუნველობას იჩენს ჩვენი მოხუცი მასწავლებელი მოქ. მიხეილ სიროტკინი, რომელსაც სწორეთ, რომ მიზნათ აქვს დასახული თავისი ცოდნა ჩვენ ჩაგვაბაროს, იგი არ ზოგავს ენერგიას, რომ ჩვენ ვისწავლოთ და ამით პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა.

კურსების მეცადინეობა დასრულდება მარტის ბოლოსს. შემდეგ დავრჩებით ორი თვე პრაქტიკაზე და მერმეთ კი სოფლებში, სადაც ვეცდებით პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი. ფ.-ტ. კურსანტები [illegible]

ამ „ექიმს“ უნდა მოეთხოვოს სასტიკი პასუხი
(ჯანმრთელობის სახალხო კომისრის საყურადღებოდ).

ქუთაისში არის ექიმი ასათიანი, რომელიც „სტაჟიან დოქტორ აკუშორ“-ს უწოდებს თავის თავს. ის ექიმობდა ავადმყოფს და დამტკიცებულია უკვე დაუშვა მიუტევებელი შეცდომა „ზეზგრამოტნოსტ“ მედიცინაში, რის მსხვერპლი გახდა თვით ჩემი ცოლი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალი და დაშალა სიცოცხლით სავსე ბედნიერი ოჯახი. ფრიად საინტერესოა, გამორკვეული იქნას: ასათიანმა განზრახ დაუშვა ასეთი ბოროტება, თუ მას არავითარი წარმოდგენა არ აქვს მედიცინაში. ჯან-სახკომმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ ექიმბაშებს.

ასათიანი უნდა წარსდგეს მედიკური სამსჯავროს წინაშე და თუ მას უვიცობა დაუმტკიცდება უნდა ჩამოერთვას დიპლომი. მისი დანაშაულობრივი ქმედობა მზად ვარ და წვრილებით წარუდგინო სასამართლოს.

პირველ ქართ. დივიზიის პ.—გ. უფ. მოადგილე ვ. თავართქილაძე.

ასე ტრანსპორტს მუდამ ზარალი ექნება

ამა წლის მარტის თვის 1-ს მოხდა მარცხი. მატარებელ № 340 სად. ნავთლუღში. ეს მატარებელი მოჰყავდა თბილ. დეპოს მემანქანე ჩახავას, (რომელმაც წასულ წელში მოახდინა მარცხი,—აჟღალის გადასარბენზე).

საქმე შემდეგშია: ზემოხსენებულ მატარებელს მოჰყვებოდა მიმწოლი ორთქლმავალი № 3340 მემანქანე ბარდაველიძე, რომელმაც შეამჩნია სად. ნავთლუღის ნიშნის სვეტს რომ იგი დაკეტილია, იმ წუთშივე ჩამორჩა და მისცა საყვირით გასაჩერებელი ნიშნები. მაგრამ აღნიშნული მატარებელი მაინც შევიდა სადგურში და მოახდინა მარცხი; ამაზე დაკითხვის დროს მემანქანე, ბარდაველიძემ უჩვენა სისწორე. საქმის გამორკვევის შემდეგ, დამნაშავედ ცნობილ იქნა მემანქანე ჩახავა და იგი დაატუსაღეს.

ამაზე ასტეხეს დიდი აურ-ზაური დიდი საყვედური ზოგიერთმა თბილისის დეპოს მემანქანეებმა ზემო ხსენებული მიმწოლ ორთქლმავალის, მემანქანის ბარდაველიძის წინააღმდეგ: თუ შენ რად სთქვი ნიშნის სვეტი იყო დაკეტილიო, ან რად მიეცი საყვირით ნიშნებიო! ამით შენ დაღუპე ჩვენი ამხანაგი ჩახავაო. შენ უნდა მხარი დაგეჭირა მისთვის.

არ მისცეს საშუალება ბარდაველიძეს თავისუფლად დეპოში გავლის, ხან აქ შემოესიონენ და ხან იქ.

ჩემის აზრით, რკ. გზის [illegible]

მეტი ყურადღება უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად
(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ)

ამ ბოლო ხანებში თითქმის ყოველ დღე იწერება გაზეთებში ტრამვაის მიმოსვლის დროს მომხდარი უბედურ შემთხვევების შესახებ. გაჭყლეტა, დასახიჩრება და მისთანები: აი შედეგი ტრამვაის მიმოსვლის მოუწესრიგებლობისა. მართალია ამ მხრივ დიდ ბრალი მიუძღვის გაუფრთხილებლობას თვით ქალაქის მოსახლეობის, აგრეთვე—რონოდის ვატმანებსაც ვაგონის თავის დროზე შეუჩერებლობისათვის. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ქალაქ თბილისის გეოგრაფიულ მდებარეობასაც, და იმ აღმართ-დაღმართებს, სადაც ხდება ტრამვაის მოძრაობა, მაშინ უნდა ითქვას, რომ რაგვარ ყურადღებითა არ უნდა იმუშაონ ვატმანებმა, ქალაქის მოსახლეობა ასი პროცენტით მაინც ვერ იქნება დაზღვეული უბედურ შემთხვევებიდან.

საჭიროა უფრო რადიკალურ ზომების მიღება.

ერთ-ერთ ასეთ ზომად შეიძლება ჩაითვალოს რონოდების წინ ბადეების გაკეთება, როგორც ეს არის მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. აგრეთვე ტორმოზების სასტიკი მეთვალყურეობა მისი ვარგისიანობის მხრივ, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი ტრაგიკული შემთხვევები მაინც, როგორიც არის რონოდის ბორბლებში მოყოლა და სხ.

დირექცია ვალდებულია ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს და ტრამვაის საერთო გაუმჯობესების პარალელურად გაუმჯობესებულ იქნას ზემო-მითითებული მდგომარეობა.

მუშკორი: პ. ჩხიკვაძე

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ოპერა მუშებისათვის.** 23 მარტს, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში სახელ ოპერა—„კარმენი“. მონაწილეობა მიიღეს ოპერის შემდეგმა მსახიობებმა: ვოლჩანეცკაიამ, ვლადისლავსკაიამ, სინიცკამ, ალექსაშინმა და სხ. ოპერას დაესწრნენ ბევრი მუშები და მათი ოჯახის წევრები. მსახიობები გულმოდგინედ ასრულებდენ თავიანთ როლებს და აუდიტორია დიდად მადლიერი დარჩა მათი.

მუშკორი ნ. ჯ.

— **სახლი ინგრევა.** ლენინის უბ. აუზის ქ. სახლი № 32 დიდის შეუკეთებლობისა და სიძველისა გამო თავზე გვენგრევა. სახლის პატრონი [illegible] მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სახლის კედლები მეტად დაზიანებულია. [illegible] ზომები.

მუშა—მუშკორი [illegible]

[illegible]ზე ბინძურად იგინებიან და გამვლელ-გამოვლელ ხალხს შეურაცხყოფას აყენებენ. მილიციავ, მიიღე ზომები!

მუშა—მუშ-რი.

— **შეგნებული მუშები მუშის ობლებს ეხმარებიან.** ქ. თბილისის ტრამვაის ერთ მუშას ამხ. იზმაილოვის სიკვდილის შემდეგ უპატრონოდ დარჩა ობლები, მაგრამ ტრამვაის შეგნებულმა მუშებმა—ვატმანებმა და კონდუქტორებმა თავიანთ შორის შეაგროვეს ფული—45 მანეთი და გადასცეს გარდაცვალებული ამხანაგის ობლებს.

მადლობა გულკეთილ მუშებს!

მუშკორი კარგი

— **უდიერი ხელოვანი.** ჭიათურის აკად. თეატრის გამგე ძალზე უდიერად და უხეშად ეპყრობა მუშა-მოსამსახურეთ. მას არ ესალმება და არ მოსწონს, როდესაც მას ვინმე მიმართავს „ამხანაგის“ სახელწოდებით. ამგვარ მიმართვას იგი უდიერობად სთვლის და ემუქრება გულუბრყვილო მუშებს სამსახურიდან მოხსნით.

ასწავლეთ ჭკუა ამ „ხელოვანს“!

ჭიათურელი

— **ამ ვაჟბატონსაც ჭკუა უნდა ასწავლოთ.** სად. ბორჯომის ადგილკომის [illegible] ვინმე ხაჩიძე ტექნიკურ მდივნად, რომ[illegible] თითქმის არაფერს აკეთებს. საქმეები და ქაღალდები ჯიბით დააქვს. მუშა-მოსამსახურეებს რათ თავხედურად და უდიერად ეპყრობა.

აუცილებლად ჭკუა უნდა ასწავლოთ ამ ვაჟბატონს.

მუშათა ქრონიკა
(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **მიღწევათა აღრიცხვა.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაუგზავნა საწარმოო კომისიებს სპეციალური [illegible] ამ კომისიების და საწარმოო [illegible] მიღწევათა აღსარიცხავად.

— **მეექვსე ყრილობა.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირების მეექვსე ყრილობა დგება ლენინაკანში 20 მაისს.

— **შენობის გადიდება.** სადგურ. ზესტაფონის საწარმოო თათბირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურს გადიდონ [illegible] სადგურ ზესტაფონში.

— **„შმო“ და საწარმოო კომისიები.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა „შმოს“ საგზაო ბიუროს, დაავალოს ადგილობრივ უჯრედებს, რათა [illegible] დენ მოხსენებებს საწარმოო [illegible]

— **მასსებთან დაახლოვების** [illegible]

[illegible]

საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე
(წერილი ლეჩხუმიდან)

16 მარტს, გაიხსნა ლეჩხუმის მაზრის საბჭოთა მეხუთე ყრილობა. ყრილობა გახსნა **ამხ. გორგასლიძემ,** მან თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა სამაზრო აღმასკომის მიღწევები და ნაკლულევანებანი წარსულში. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ უპარტიო გლეხები, რომლებიც კმაყოფილებას გამოსთქვამდენ ხელისუფლების საქმიანობით. მისასალმებელი სიტყვების დამთავრების შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია და სამდივნო. საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად აირჩიეს: **სტალინი, რიკოვი, ზინოვიევი, კალინინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ცხაკაია და კახიანი.**

რეგლამენტის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ვრცელი მოხსენება საქ. მთავრობის მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ამხ. **კ. ხომერიკმა.** მისი მოხსენების ირგვლივ იყო მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა გასცა ამომწურავი პასუხი. ყრილობამ მთავრობის მუშაობა მოიწონა და უსურვა მომავლისათვის ნაყოფიერი საქმიანობა მშრომელთა საკეთილდღეოთ.

მაზრაღმასკომის საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ირაკლი ქურასბედიანი.** მისმა მოხსენებამ გასტანა 3 საათზე მეტი. კამათი, რომელიც [illegible] მაზრაღმასკომის მოხსენების გარშემო, [illegible]ტათ საქმიანი იყო. ყრილობის [illegible] რადღება მიქცეული იყო გზის საკი[illegible] მომავალ აღმასკომს დაევალა, რომ მა[illegible] გზათა აღმშენებლობის საქმეში ხელი [illegible]წყოს გლეხობის აქტივობას. მაზრაღმ[illegible] მის მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლათ სცნა.

რევოლიუციური კანონიერების შეს[illegible] მოსმენილ იქნა პროკურორ წერეთელის [illegible] ხსენება. მომხსენებელმა გააცნო ყრ[illegible] ჩვენი კანონიერების მიზანი და დანიშ[illegible]ბა. ყრილობამ დაადგინა, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს მფლანგველობას და სხვა [illegible]გვარ მოვლენებს.

დაბოლოს მოხდა არჩევნები.

ახალ აღმასრულებელ კომიტეტში [illegible] ლია სულ 40 კაცი. ამათში 31 წევრი და [illegible] კანდიდატი.

იმ დღესვე საღამოს შესდგა პლენარული სხდომა, სადაც აღმასკომის თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. **მაღრაძე,** მოადგილეთ ქურასბედიანი.

პ. ფრ[illegible]

მოგვეცით ექიმი
(გომბორი, გარე კახეთი)

ფშავ-ხევსურები ჯერ კიდევ მამა პაპური წესებით სცხოვრობენ; მათში ძლიერ აქვს ფეხი მოკიდებული ცრუმორწმუნეობას და ექიმბაშობას. კარგი სახელ განთქმული ექიმი თუ არ არის ძნელია, რომ მას ფშავ-ხევსურმა საექიმოთ მიმართოს. თემი სრულიად მოკლებულია ექიმს.

გომბორში არსებობს საბჭოთა აფთიაქი და სამკურნალო პუნქტი. ამ უკანასკნელს განაგებს **რუსი ფერშალი, რომელმაც ქართული სრულებით არ იცის** და მასთან მოსულ გლეხებს სჭირდებათ თარჯიმანი. ექიმი კი, რაღაც მიზეზით წარსული წლის დეკემბერში მოხსნეს და გადაიყვანეს ეროწოს რაიონში. [illegible] მაგივრათ დღემდის არავინ იგზავნება; გლეხობა განიცდის დიდ გაჭირვებას. ზოგი ერთი უექიმობამ კიდევაც იმსხვერპლა, ზოგს ჭირდება უხდება მძიმე ავათმყოფის 60 ვერსზე წაყვანა თბილისში.

გარდა ამისა, თემში მრავლათ არიან დაავადმყოფებული ქალები. გლეხის ქალს მეტათ საძრახისათ მიაჩნია, რომ ის მივიდეს და მამა კაცს ეჩვენოს გასასინჯათ და ამ გვარად ბევრი მათგანი უექიმობით იღუპება.

საჭიროა ამ გარემოებას ჯანმრთელობის განყოფილების მიერ მიექცეს ჯეროვანი და სასწრაფო ყურადღება. გომბორის თემში უნდა იქნეს დანიშნული ერთი გამოცდილი ექიმი და ერთიც ბებია ქალი.

კ. გიორგიძე.

მიხედეთ მესხეთის სიძველეებს
(წერილი ახალციხიდან)

მესხეთი ცნობილია ისტორიულ სიძველეთა სიმდიდრით, ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე, ხევ-ხუევებში და ტყე-ღრეში, შეხვდებით აუარებელ ძველ ძეგლებს; ციხე-კოშკებს, ეკლესია-მონასტრებს, საკერპოებს, კლდეებში გამოქვაბულებს, ნასოფლარს, ნასაფლავებსა, ნახიდარებსა, მიწაში [illegible] საცხოვრებელ დარნებსა ([illegible]) სხვას. ერთი სიტყვით, [illegible] არქეოლოგიურ სა[illegible]

აქამდე ამ სიძვე[illegible] მიქცეული დიდ[illegible] მრავალი ძეგლები[illegible] უვიცების მიერ. [illegible] ნასტრები დაინგრ[illegible] თალი და ჩუქ[illegible] ლების[illegible] მასა[illegible]

[illegible]ოტი. რეიტე[illegible]ობით, ირლანდიის [illegible] სახელმწიფოს სატახტო [illegible] ერთ-ერთ კე[illegible] ჩხრეკის [illegible] ჩენილია იარაღის [illegible] ყუთებში აღმოჩნდა [illegible] ასაფეთქებელი მასალა, [illegible]ბარა, 18.000 დეტონატორი რევოლვერებისა და ვაზნების [illegible] რიცხვი.

ამერიკის კაპიტალი საზღვარგარეთ

ვაშინგტონი, 31 მარტი. შეერთებულ შტატების სავაჭრო სამინისტრო იუწყება, რომ საზღვარგარეთ დაბანდებულია 10.500 მილიონი დოლარი. ამ თანხაში არ შედის ის სესხი, რომელიც შეერთებულ შტატების მიერ მიცემულია სხვა სახელმწიფოებისათვის მსოფლიო ომის დროს.

კატასტროფა რკინისგზაზე

ნიუ-იორკი, 31 მარტი. ბოგოტა-ჟირარდოს რკინისგზის ხაზზე (კოლუმბიაში, ჩრდილოეთი ამერიკა) სასწრაფო მატარებლის დაჯახების დროს საბარგო მატარებელთან მოკლულია 20 კაცი, დაჭრილი 20. სას[illegible]

[illegible]ჯდომარემ ხარაბაძემ, ტაძ[illegible] დაანგრიეს, რომ მიწი[illegible] რევა და შენობელი. სანამდი დე[illegible] დაანგრიე[illegible] მიიღებდა ფინან[illegible] [illegible] პროექტს, პალატის სხდომაზე გამოვიდა პარიზის მეორე სექტორიდან ახლად ამორჩეული კომუნისტი დეპუტატი ფურნიე, რომელმაც გამოაქვეყნა მანიფესტი ფინანსიურ პროექტის და დეპუტატთა პალატის წინააღმდეგ.

რადგან მემარცხენე ბლოკი წინდაწინ ხედავდა, რომ დამარცხდებოდა, წინადადება მისცა სოციალისტებს, ერთად ემოქმედათ. რენოდელმა განაცხადა, რომ სოციალისტებმა კვირას არჩევნებში ხმა მისცეს კომუნისტებს იმიტომ, რომ დაემარცხებიათ რეაქცია. პარტია განაგრძობს თავის რესპუბლიკანურ პოლიტიკასო.

მონოპოლია ნავთზე და შაქარზე

ბერლინი, 1 აპრილი. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა ფინანსიური კანონპროექტი, დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის მონოპოლიას შაქარსა და ნავთზე.

ვანდერველდე — პესიმისტი

პარიზი, 1 აპრილი. ჟურნალისტებთან საუბარში ერთა ლიგის სესიის გამო, ვანდერველდემ განაცხადა, რომ უკანასკნელი კრიზისი ერთა ლიგისა შეაფერხებს მისი განვითარების საქმეს. ის შიშს გამოსთქვამს, რომ მაისში და სექტემბერ[illegible]

[illegible] როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი გლეხობა. გარდა ამისა—ეს თემი ცნობილია ხილის მოსავლით, არის ახლო-მახლო კუთხეებში აგრეთვე მადნეულიც, რომლის დამუშავებაც შეიძლება გაფართოვდეს გზის გამოყვანის შემდეგ. ამასთან ერთად შემოქმედს გარშემო აკრავს მრავალი პირველ ხარისხოვანი საგარაკო ადგილები.

ყოველივე ამის გამო ოზურგეთ-შემოქმედის ტრამვაის, უაღრესი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა ექნება. ამიტომ არის, რომ ამ ბოლო ხანს თემი ასეთი გაფაციცებით და გულმოდგინეობით შეუდგა [illegible]

[illegible] თან თემის სახელ[illegible] მოლაპარაკებ[illegible] რთავად. ბიუროში სხვა ამხანაგებთან არჩეულნი არიან საპატიო თავმჯდომარეებათ შემოქმედის თემის მკვიდრნი: ამხანაგი **ფილიპე მახარაძე და ამხ. ალ. ერქომაიშვილი.** საქმიან წევრებათ ბიუროში არჩეულ იქნა ამხანაგები: ის საბაშვილი, დ. დუმბაძე, გ. მეულუა, ტრ. თოდრაძე და ა. შილაკაძე.

ახალ ბიუროს დაევალა ახლო მომავალ[illegible] უფრო გაფართოებულ კრების მოწვევა და ოზურგეთ-შემოქმედის ვიწრო გზის გაყვან[illegible] შესახებ ამომწურავ ცნობების შეკრება.

კორია

სოფლის ქრონიკა

— **რაჭის** მაზრის სოფლებში შეუდგენ სასოფლო-სამ. ამხ-ბების დაარსებას.

— **სოფ. პატარა-ონის** აღმასკომმა დაადგინა ააგოს კოოპერატივის შენობა.

— **სურამის** აღმასკომი შეუდგა საზაფხულო კლუბის აგებას.

— **ხიდი.** ქარელის აღმასკომი მდ. სამწერისზე აგებს ხიდს.

— **შორაპნის** მაზრაში დასრულდა ინვალიდთა არტელების რეორგანიზაცია, რის შემდეგ დატოვებული იქნა მხოლოთ 7 არტელი.

— **[illegible]ურჯანის** აღმასკომმა დაადგინა ვაჩნაძისეული ძველი შენობა გამოიყენოს ადგილობრივ სკოლის საჭიროებისათვის.

— **გზის გაყვანა.** ღუხუნიდან აგარა[illegible] (რაჭა) გზის გასაყვანად რაჭის საზრო აღმასკომმა გადასდო 10 ათასი მან.

— **წყალსადენი.** სოფ ბაკურციხეში ქვემო მაჩხაანში და წითელ წყაროში გლეხები შეუდგენ წყალსადენის გამოყვანას.

— **ახალი აღმასკომი.** ბორჩალოში შესდგა საბჭოთა სამაზრო ყრილობა, რომელმაც აამორჩია ახალი სამაზრო აღმასკომი.

— **აფთიაქი სოფლად.** რაჭის სამაზრო აღმასკომი სოფ. [illegible]-ღლეში ხსნის აფთიაქს.

[illegible] ფციტი, არამედ მისი შემოსავალი ჭარბობს გასავალს ასი მილიონი მანეთით.

[illegible] სახელმწიფო [illegible] ვით ამისა ჩვენ [illegible] ორ სახოვან სისტემის [illegible]

[illegible] ფიქრობ საჭიროა და[illegible] სხოს შეძლებულ ელემენტებს, დასასრულ განსაკუთრებით აღსა-

[illegible] ცალკე რესპუბლიკების და ადგილობრივი [illegible] ტო ბიუჯეტები.

[illegible] ყოფილი ჯიხაიშიდან გადასული [illegible] ბანდები. ამჟამად უკვე სავსებით ჩაქრობილია ნისიშიან-ჯიზრე-მოდიატის რაიონში.

[illegible] ინგლისელებზე თავდასხ-

ლონ[illegible] „რემედას“-ის ინგლისის სექციის უმუშევარმა წევრებმა გამართეს დე-

[illegible] ულფასად კვირაში 3 გირ. სტერლ[illegible] დაწესდეს.

ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში იმყოფება ყველაზე დიდი ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები.

ეროვნული

ქალაქის კეთილმოწყობა

[ვ]ერის რაიონის დასაცავად

[ქ]ალაქის აღმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილების გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის გაზაფხულზე ვერის მთაწმინდის მაღლობებზე [illegible] იქმება ნიაღვრის შესაკავებელი ჯებირები ვერის რაიონის დასაცავად.

კომუნარების ბაღი

დღეებში დაიწყებენ მუშაობას კომუნარების ბაღის შესაკეთებლად და კეთილმოსაწყობად. განზრახულია ახალ ნერგების დარგვა თავისუფალ ადგილებზე, საყვავილე კლუმბის მოწყობა, საბავშო მოედნების მოწყობა, გზების ახალ გეგმაზე გაყვანა და სხვა. მუშაობა დამთავრდება მაისისთვის.

თბილისის სადგურის გადაკეთება

ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სამმართველოს კომისიამ განიხილა თბილისის რკინის გზის გადაკეთების და [illegible] პროექტი. კომისიამ პროექტი მოიწონა და განსახილველად გაუგზავნა სამმართველოს განყოფილებათა უფროსებს.

დეზერტირის ბაზრის გადაკეთება

უკანასკნელ დრომდე დეზერტირის ბაზარი ყურადღებას იპყრობდა თავის მოუწყობლობით, უწესრიგობით და თავისი ანტისანიტარულ მდგომარეობით. კეთილმოწყობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე ხანში გააუქმოს დეზერტირკის ბაზრის ამ სახით არსებობა და სამაგიეროთ მოაწყოს ახალი გადახურული ბაზარი.

ახალი ქუჩა მტკვრის პირზე

კეთილმოწყობის განყოფილებამ დაამუშავა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ახალი ქუჩის გაყვანის პროექტი. პროექტით ქუჩა გაყვანილი უნდა იქნეს ელბაქიძის (ვერის) ხიდიდგან ყოფილ ნიკოლაევის ხიდამდე.

საზოგადოებრივ ბაღების და ქუჩების გამშვენიერება

კეთილმოწყობის განყოფილების შეკვეთით, ავჭალის სანერგეში მზადდება დეკორატიული ხეები და ძვირფასი ბუჩქები, რომელიც გადმორგული იქნება თბილისის საზოგადო ბაღებსა და ქუჩებზე მთ. გასამშვენიერებლად.

საბაღო სექციამ ბათომიდან გამოიწერა აგრეთვე სუბტროპიკული მცენარეები თბილისის ბაღებისათვის.

ამ მოკლე ხანში სექცია შეუდგება შუაბაზარში ხეების დარგვას.

ქრონიკა

მისალოცი დეპეშები.

[illegible] პრეზიდიუმმა მისალოცი დეპეშები [illegible] მარტყოფის თემის საბჭოთა ყრილობას, ახალციხის სამაზრო საბჭოთა ყრილობას, [illegible] ზუგდიდის სამაზრო საბჭოთა [illegible].

[illegible]თის მროვნული ელფერის მისაცემათ

◆ ქალ. აღმასკომმა ამ დღეებში მიიღო [illegible] საყურადღებო დადგენილება, რომ[illegible] ყოველგვარი [illegible] აგებული უნდა [illegible] მდგომარეობის შესახებ.

არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშავოს დებულება ცაკის საბიუჯეტო კომისიის შესახებ და წარადგინოს იგი სრ. რუს. ცაკის საბიუჯეტო კომისიის უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

საკავშირო ავიო-სამდღეული

მოსკოვი, 31 მარტი. უცხოეთში გადაფრენათა მომწყობი ცენტრალუ[illegible]

სხვადასხვა.

— ამიერ-კავკასიის ცაკის თაოსნობით ახლო ხანში თბილისში მოწვეული იქნება მალიარიის საწინააღმდეგო ყრილობა.

— ქუჩის უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომიტეტის სალაროში დღემდე გამოწვევით შემოვიდა 5.499 მანეთი.

რკინის გზებზე.

— რკინისგზელთა მე-8-ე ყრილობა მოწვეულია 20 მაისისათვის ლენინაკანში.

— ა.-კ. რკ.-გზების პროფკავშირთა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს წინაშე ძველ დამსახურებულ რკინისგზელთა დასაჯილდოებლად.

პროფესიონალური საკითხების გასა[illegible] ა.-კ. რკ.-გზათა პროფკავშირი [illegible] წიგნებს ყველა ადგილზე [illegible] არსებული ქსელი რკ.-გზ. პროფ[illegible] კინო-[illegible] თანამედროვე [illegible] კინო[illegible]

[illegible] გამოჩენა.

ახალი ქსელის [illegible] გლეხმა ვანო [illegible]

მუშურ-გლეხური წითელი ფლო[ტის] შტაბისაგან

მოსკოვი, 31 მარტ. დანიის გაზეთ „ბერლინგსკე ტიდენდე“-ში 27 თებერვლის თარიღით და აგრეთვე უცხოეთის სხვა გაზეთებში დაბეჭდილი იყო შენიშვნა, რომელიც აფრთხილებდა კომერციულ გემებს არ შევიდნენ შავი ზღვის და აზოვის ზღვის წყალსადგურებში.

ეს გაფრთხილება აიხსნება იმით, რომ საბჭოთა მთავრობამ, ვითომდა, თვითონ მოახდინა განკარგულება ასეთ ცნობის მოთავსების შესახებ, რადგან მას განზრახული აქვს ნაღმების ჩალაგება 12 მილის ზონაში და შესაძლებელია დახურული იქნას ეს [illegible] გაუფრთხილებლად.

ამავე შენიშვნაში, გარდა იმისა, [illegible] ამას ადგილი აქვს სხვა სახელმწიფოს ზღვებში. მაგრამ, ჯერ-ერთი **არავითარ ნაღმების ჩალაგება განზრახული არ არის. პირიქით მიღებულია ზომები, რომ ახლო მომავალში გაწმენდილი იქნას შავი და აზოვის ზღვები ნაღმებისაგან, რომელიც ჩალაგებულია იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების დროს.** მეორე, გემების მიმოსვლის წესები გამოქვეყნებულია ყველას საყურადღებოთ ჰიდროგრაფიულ სამ[illegible] ცირკულიარებში [illegible] გურებში შესვლით სხვა ქვეყნების წესებისაგან.

არავითარ ცნობას იმის შესახებ [illegible]

[illegible]ზულადის ყაზარმა თბ. აღმასკომმა [illegible] ბავშვთა [illegible]. ყაზარმა გადაკეთებული იქნება შესაფერისად.

◆ უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ განზრახული ლატარიის მოწყობაში თბ. აღმასკომმა გადაწყვიტა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა და ლატარიის წინასწარ ხარჯებისათვის გადასდო შესაფერი თანხა.

◆ მე-8-ე საავადმყოფოს შეკეთებას თბ. აღმასკომის დადგენილებით შეუდგებიან ამ [illegible].

[illegible] კომისარიატში.

[illegible]ვალის საავადმყოფოს ჯანსახკომი [illegible] 40 საწოლით.

[illegible] დაავადმყოფებულთა სამ[illegible] ჯანმრთელობის კომისარიატს [illegible] აქვს გინეკოლოგიურ ინსტიტუტში გახსნას ცალკე განყოფილება.

[illegible] ხაქრო ჩოდრიშვილი, 7) ძიძო ბოქორიძე, 8) აბელ ენუქიძე, 9) გიორგი თელია, 10) სტეფანე მაუმიანი, 11) ალიოშა ჯაფარიძე.

წიგნაკი შეიცავს 60 გვერდს და 13 სურათს, ღირს 40 კაპ.

შემთხვევები.

◆ **ცეცხლი.** 30 მარტს სასტუმრო „მალის“ გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლსაქრობელმა რაზმმა.

◆ **შეპყრობა.** 30 მარტს ქურდობისათვის შეიპყრეს ნიკოლოზ ივანოვი.

◆ **ეტლის ქვეშ.** 30 მარტს კომუნარების ბაღთან ეტლმა გაიტანა გიგო გოჩიანცი და სასიკვდილოდ დაშავა. მეეტლე მუსერიძე შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** პუშკინის ქ., № 25, გაქურდეს შაროშიძის სავაჭრო.

— 30 მარტს პლეხ. პრ., № 91, გაქურდეს სერგეი მაისურაძის ბინა.

ხელოვნება

პიროგოვის გასტროლი. „თავადი იგორი“.

სახელმწიფო წარმოდგენაში გასტროლიორმა გამოიჩინა თავისი სცენიური ნიჭის მრავალფეროვნება. ორივე პარტია (თავადი ვლადიმერ გალიცკი და ხანი კონჩაკი), რომელნიც თავისი ხასიათით დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, კარგად იყო შესრულებული. არტისტის ხმა არ განირჩევა დიდი მოქნილობით, მაგრამ მას ის თავისუფლად ხმარობს და იძლევა ბევრ ლამაზ ფრაზას და მკაფიო შტრიხებს.

დანარჩენ პარტიების შემსრულებლებმა საერთოდ ხელი შეუწყვეს კარგი შთაბეჭდილების შექმნას. იაროსლავნას მღეროდა **სიდელკო**: მეორე აქტის სცენაში (სიზმარის მოთხრობა), განსაკუთრებით, დიალოგში ვლადიმერ გალიცკისთან და ფინალში მომღერალმა ქალმა მოგვცა ძლიერი ტემპერამენტი. განსაკუთრებით იყო შესრულებული „იაროსლავნას ტირილი“. საცენო კონჩაკოვნა **ვოლჩანეცკაია**. მუსიკალურად, მკაფიო ბგერებით და ალაგ-ალაგ ტემპერამენტით შესრულებული იყო **ქარცივაძის** მიერ იგორის პარტია.

ლამაზად და მდიდრულად იყო დადგმული ბალეტი (პოლოვეცთა ბანაკი): კარგია ჭაბუკიანი, ჩიკვაიძე, კოზინეცი, რატუშნენკო, გარხუდაროვი, გულულოვი. საერთო ლამაზ ფონს არღვევს დიმიტრიევი ორიგინალობის გამოჩენის ცდით (არ არის დაცული საერთო ერთფეროვნება კოსტიუმებში). ასეთი მოურიდებლობა არ შეიძლება დაშვებულ იქნეს სერიოზულ სცენაზე.

ვ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

სახელმწიფო დრამის საგასტროლო მოგზაურობა.

მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ აპრილის მეორე ნახევრიდან, სახელმწიფო დრამის დასი მართავს **დაბა-ქალაქებში** დიდ საგასტროლო მოგზაურობას მთელი თავისი შემადგენლობით, საკუთარი დეკორაციებით და ტანისამოსებით. მარშრუტი: სამტრედია, აბაშა, სენაკი, ფოთი, ქიათურა, ქუთაისი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ბათომი, სოხუმი, ზუგდიდი, ხაშური, სურამი და თელავი. მოგზაურობა გასტანს პირველ ივლისამდე. რეპერტუარი—საუკეთესო ახალი დადგმები მიმდინარე სეზონისა: „ჰამლეტი“ (ორივე შემადგენლობით), „დეზერტირკა“, „ლამარა“, „ვირის ჩრდილი“ და სხვ.

◆ „თამარ ცბიერი“. 6 და 8 აპრილს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ორიგინალური ოპერა „თამარ ცბიერი“. დადგმა წუწუნავასი. დირიჟორი — სტოლერმანი. კოსტიუმები და დეკორაციები დ. შევარდნაძის.

◆ **გლაზუნოვის კვარტეტის** პირველი კონცერტი გაიმართება რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში 4 აპრილს.

◆ **საოპერო სტუდიის** მიერ დღეს რუსთაველის თეატრში ქართულ ენაზე პირველად წარმოდგენილი იქნება ოპერა „**ჯამბაზები**“.

დღეს კინოებში.

◆ არფასტო, სოლეი და აპოლო — „ნათელა“.

კინო

„ნათელა“.

კინო-სურათი 8 ნაწილად, სცენარი და დადგმა რეჟისორ ბეკ-ნაზაროვის.

ამჟამად თბილისის კინო-თეატრებში უჩვენებენ საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის მორიგ გამოშვებას—კინოსურათს „ნათელა“-ს.

მებატონეებისაგან შევიწროვებული გლეხობის ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის—აი რა აქვს აღებული თემად „ნათელა“-ს სცენარის ავტორს. ამ ძირითადი დედა-აზრის ხორცშესასხმელად ავტორს ამოუკრეფია მასალა სამეგრელოს გლეხობის აჯანყებიდან მე-19-ტე საუკუნის სამოციან წლებში.

თემა მარტივი და გარკვეულია. მიუხედავად ამისა, თემა სათანადოთ ვერ არის დამუშავებული და სიუჟეტის მხრივ დასრულებული. მასში ბევრია ზედმეტი მასალა, რომელიც არა თუ არკვევს ძირითად დედა-აზრს, არამედ აბნელებს მას. ბრძოლა თავგასულ მებატონეების წინააღმდეგ—აი ამ ღერძის გარშემო უნდა ტრიალებდეს ცალკე პირთა დამახასიათებელი მომენტები, თვით მოქმედებათა ხასიათი, რომელიც იწვევს პერსონაჟების შეხლა-შემოხლას; ამავე იდეას უნდა ნათელჰყოფდეს ცალკე დეტალები, რომელნიც განსაზღვრავენ მომენტების აზრსა და სიმძლავრეს. სწორედ ეს თვისებები აკლია „ნათელა“-ს სიუჟეტს და ამიტომ იგი ვერ ახდენს სათანადო შთაბეჭდილებას.

გლეხთა უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზები: ძარცვა-რბევა, აუტანელი ბეგარა, [illegible]ხთა ქალების გატაცება და გაყიდვა [illegible]ლეთის ბაზარზე,—ეს საკმაო პლასტიკური მასალათ არის მოცემული, მაგრამ შემდეგი განვითარება—გლეხების [illegible], ბრძოლის პროცესის გამწვავება,—[illegible] განსახიერებული.

[illegible]ში მეტად მკრთალად ჩანს, თუ [illegible] მთავარ მომქმედ პირთა მოქმედე[illegible]ის დროს, რა როლს თამაშობს [illegible] ნათელა, ან რაში გამოიხატება მიქავას მხრით აჯანყებულ გლეხების ხელმძღვანელობა, როგორ გამოხმაურებას პპოულობს მომხდარი ამბები მომქმედ პირთა სულისკვეთებაში, ან რა გავლენას ახდენს მათი ყოფა-ქცევა ამბების განვითარებაზე.

თუმცა სურათს „ნათელა“ ეწოდება (ანუ „მეჭედლე მიქავა“), მაგრამ სურათს არა ჰყავს მთავარი მომქმედი პირი, რომლის ბედი უნდა იწვევდეს მაყურებლის განსაკუთრებულ ინტერესს. იქნება აჯანყებული გლეხობის მასა არის მთავარი მომქმედი ძალა (რაც უფრო საინტერესო იქნებოდა), მაგრამ სურათში ვერა ვხედავთ მასის აქტივობას. სურათი წარმოადგენს ცალკე ეპიზოდების არაორგანიულ დაკავშირებას და მოკლებულია მთლიანობას. თვით მოქმედებას აკლია თანდათანობითი გამძაფრება, მიმდინარეობს მოდუნებულად და არ იტაცებს მაყურებელს. სურათში უხვად არის სცენები, რომელთაც მნიშვნელობა არ აქვთ მოქმედების განვითარებისათვის (ნათელას თავგადასავალი მოტაცების შემდეგ, ქალის ბაზარი, ჰარამხანას ყოფა-ცხოვრება და სხვ.), თუმცა თავის-თავად საინტერესო სანახავს წარმოადგენენ. სურათში ბევრია შეუსაბამო და ფსიქოლოგიურად ყალბი ადგილები (საშინელი გრიგალის დროს დარაჯების ძილი და ტყვე ქალთა გაპარვა, ჰარამხანას ცხოვრებასთან შეგუებულ ნათელაში სწრაფი გარდატეხა, სიდუს გატაცება მონასტერში, როცა ომერ-ფაშას ბანაკი უშიშარ ადგილს წარმოადგენს, მიქავას სულგრძელობა თავისი სატრფოს მკვლელის მიმართ და სხვ.).

მიუხედავად ამ ნაკლულევანებებისა, სურათის ნახვა მაინც ღირს, რადგან შიგ უხვად არის ბუნების წარმტაცი სურათი, ისტორიული ნაშთები და ალაგ-ალაგ მსახიობ ქალების მოხდენილი თამაში.

ვ. წ.

[ფ]იზიკური კულტურა

ფეხბურთი

[ჩეხოსლ]ოვაკიის ფეხბურთელები თბილისში

[ამიერ]-კავკასიის ფიზკულტურის უმაღ[ლესმა] საბჭომ მოსკოვიდან მიიღო დეპეშა, [რომელ]შიაც ნათქვამია, რომ მიმდინარე წლ. [illegible] ამიერ-კავკასიაში ჩამოვლენ ჩეხო[სლოვაკ]ის გიმნასტები და ფეხბურთელები [illegible] 22 კაცი.

[illegible] თბილისში ჩატარებული იქნება [illegible] ცილობა, რომელშიაც მონაწილეობას [illegible] ჩეხო-სლოვაკელი სტუმრები.

ჩეხო-სლოვაკიის ფეხბურთელები ამიერ-კავკასიაში გამართავენ სამ შეჯიბრს: ბაქოში, თბილისში და შეჯიბრს ბათომის გუნდთან თბილისში.

ჩეხო-სლოვაკიელი სტუმრები ამიერ-კავკასიაში დარჩებიან 12 დღე.

„დურუჯი“—„პოლიტეხნიკუმი“.

კვირას, 4 აპრილს, ლენინის სახელობის სტადიონზე „არსრაიონის“ და „პოლიტეხნიკუმის“ შეჯიბრების მაგიერად გაიმართება „დურუჯი“-ს და „პოლიტეხნიკუმი“-ს შეჯიბრი.

დასაწყისი დღის 12 საათზე.

გუნდების შემადგენლობა:

„დურუჯი“: პა[illegible], ფრუიძე, თაყაიშვილი, ხევსურიანი, [illegible]იმნაძე, ქუთათელაძე, ნიკო ამბოკაძე, გუ[illegible], ისიდორე თურქია, ვაჩნაძე და ქებაძე.

„პოლიტეხნიკუმი“: გასპაროვი, კახაჩენკო, ნიგრებეცკი, მნაცაკანოვი, ფლოროვი, სტრელკოვი, მამიტოვი, ოჩკო, ოუსიძე, მალოეიჩკო და ბალდოვი.

„დინამო“—„ლენრაიონი“.

პირველი მატჩის შემდეგ გაიმართება „დინამო“-ს და „ლენრაიონი“-ს შეჯიბრი:

„დინამო“: [illegible], ფედეევი, პიტერსკი, ბლანკმანი, [illegible], გონელი, ვან-ამბოკაძე, [illegible], [illegible]ბერინი, ჟორდანია და [illegible].

„ლენრაიონი“: პარასოჩკინი, ზუბიევი, გლ[illegible]ენკო, ლენისენკო, მანკულოვი, ჩერეპანენკო, პაპოვი, მოროზოვი, შიშოვი, დავიდოვი და ნოვიკოვი.

მარულა ზუგდიდში.

მიმდინარე წლის 1 მაისს ქალ. ზუგდიდში გაიმართება დიდი სეირნობა მარულაში. საუკეთესო მოჯირითეებისათვის დანიშნულია ჯილდო. იმავე დღეს გაიმართება აგრეთვე ველოსიპედისტების შეჯიბრება, ფეხბურთობა და ბევრი სხვადასხვა ჯილდოებით.

ცილობა ძალოსნობაში.

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის საბჭო მართავს ცილობას ძალოსნობაში. მოსკოვიდან მოდიან გამოჩენილი ძალოსნები, რომლებმაც მსოფლიო პირველობა აიღეს.

ცილობაში ისინი მონაწილეობას მიიღებენ კონკურსს გარეშე.

სასამართლო

წყალსადენის სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

გუშინ აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ხარაბაძის** თავმჯდომარეობით დაიწყო წყალსადენის სამმართველოს ტექნიკის პანტურიას, ბუხჰალტერის ქავჟარაძის, მოლარე **ჯაველიძის**, აღმასკომის მოლარე დერძიბაშევის და მონადარიშე გაგოშიძის საქმის გარჩევა.

პანტურიას ბრალად ედება სახელმწიფო თანხის 3.000 მან. გაფლანგვა, ქავჟარაძეს ამ ბოროტმოქმედებისადმი ხელის შეწყობა და ყალბი საბუთების შედგენა, დანარჩენ ბრალდებულებს — მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობა.

ბრალს სდებს პროკურორი **გაბუნია**, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ხედგინიძე, ბარათაშვილი, ქვათარაძე, დადიანი და გელაზაროვი.

გამოწვეულია 17 მოწმე და ექსპერტები.

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ.

საღამოს სხდომაზე სასამართლო შეუდგა მოწმეთა დაკითხვას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 14.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

გირავნობის მოწმობის გაცემისა და სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ**:

დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული წესები გირავნობის გაცემისა და სარგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

წესები

გირავნობის მოწმობის გაცემისა და სარგებლობის შესახებ.

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 90 მუხლის 1 შენიშვნაში გათვალისწინებული გირავნობის მოწმობა უზრუნველჰყოფს სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, აგრეთვე შრომის არტელისა და კოოპერატივის ხელშეკრულების აღსრულებას. ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ მიღებულ ასეთ მოწმობას აქვს სამოქ. სამართლ. კოდექსის 30 მუხლის თანახმად ნოტარიული წესით ქმნილი გირავნობის აქტის ძალა.

2. გირავნობის მოწმობა გაიცემა დასაგირავებელი ქონების (შენობისა ან აღნაგობის უფლების) პატრონის თხოვნისამებრ იმ ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებიდან, რომლის რაიონშიაც მდებარეობს ეს ქონება; ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს სადერბო წესები და სანოტარო მოქმედების სასყიდლის ნიხრი; ასეთი მოწმობის წარდგენა შეიძლება 1 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებასა და საწარმოში მხოლოდ 6 თვის განმავლობაში დღიდან მისი გაცემისა. ამ ვადის განმავლობაში არ გამოყენებული გირავნობის მოწმობა ჰკარგავს ძალას.

3. გირავნობის მოწმობის გაცემის დროს სანოტარო განყოფილებას გამორკვეული უნდა ჰქონდეს, დასაგირავებელი ქონება მთხოვნელს ეკუთვნის და იგი მოახდენს ცნობას სათანადო სანოტარო დავთრებში ყადაღისა და უფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ. ამის გარდა, სანოტარო განყოფილებამ უნდა მოითხოვოს ცნობა: ა) ადგილობრივი კომუნალური განყოფილებისაგან ქონების შეფასების შესახებ და თავისუფალია იგი თუ არა მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაციისაგან და რა გადასახადი ითვლება ქონებაზე და ბ) ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებისა და იმ სახალხო მოსამართლისაგან, რომლის რაიონშიაც მდებარეობს ეს ქონება: აღძრული ხომ არ არის რაიმე დავა ამ ქონების გამო. ყველა ეს ცნობა [illegible] აღნიშნოს გირავნობის მოწმობაში.

შენიშვნა: უკეთუ სანოტარო არქივში არ აღმოჩნდება არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ დასაგირავებელი ქონება დამგირავებელს ეკუთვნის, ამ უკანასკნელმა უნდა წარადგინოს სათანადო კომუნალური განყოფილების მოწმობა, რომ ქონება მას ეკუთვნის.

4. უკეთუ გირავნობის მოწმობა წარედგინა 1 მუხლში აღნიშნულ რომელიმე დაწესებულებას ან საწარმოს არა იმ დღეს, როდესაც ეს მოწმობა იყო გაცემული სანოტარო განყოფილების მიერ, არამედ მეორე დღეს და უფრო გვიანაც, დაწესებულებას ან საწარმოს შეუძლიან მოსთხოვოს დამგირავებელს ამ გირავნობის მოწმობასთან ერთად სანოტარო განყოფილების განსაკუთრებული მოწმობა იმის დასადასტურებლად, რომ დღიდან გირავნობის მოწმობის გაცემისა და დამატებითი ცნობისა ან განსაკუთრებული მოწმობის გაცემის დღემდე, ქონებას ახალი რამ ყადაღა არ დასდებია.

5. გირავნობის მოწმობის გაცემისთანავე სანოტარო განყოფილება სდებს ამ მოწმობაში აღნიშნულ ქონებას ყადაღას, რომლის მოხსნა შეიძლება მოლოდ იმ შემთხვევაში: 1) უკეთუ მოწმობა არ იქნა გამოყენებული და დაბრუნებულია. 2) უკეთუ იმ დაწესებულებამ ან საწარმომ, რომელსაც ეს მოწმობა წარედგინა ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად (1 მუხ.), დააბრუნა და ზედ თავისი წარწერით აღნიშნა, რომ მოწმობა გამოყენებულია; 3) უკეთუ აღნიშნული დაწესებულება ან საწარმო აცნობებს სანოტარო განყოფილებას ყადაღის მოხსნას; 4) ან უკეთუ სასამართლო დაადგენს ყადაღის მოხსნას.

6. ამა წესდების 1 მუხლში აღნიშნული დაწესებულება ან საწარმო, რომელიც მიიღებს გირავნობის მოწმობას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ვალდებულია აცნობოს ეს სათანადო სანოტარო განყოფილებას, თანაც სიწორით აღნიშნოს უზრუნველსაყოფი ხელშეკრულება, დამგირავებლის ვინაობა და ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილი თანხა და მოსთხოვოს მას (სანოტარო განყოფილებას) ამ ქონებაზე ყადაღის დადება.

7. გირავნობის მოწმობა აიღება, როგორც იმ დაწესებულებისა ან საწარმოს აღნიშვნით, სადაც იგია წარსადგენი, ისე უამისოდაც. პირველ შემთხვევაში ასეთი გირავნობის მოწმობა არ შეიძლება წარედგინოს სხვა დაწესებულებას ან საწარმოს, ხოლო მეორე შემთხვევაში გირავნობის მოწმობა შეიძლება წარედგინოს 1 მუხლში გათვალისწინებულ ამა თუ იმ დაწესებულებას ან საწარმოს. ხოლო, უკეთუ მოწმობა წარედგინება ერთ რომელსამე დაწესებულებას, მეორე დაწესებულებისათვის იგი აღარ გამოიყენება.

8. ქონების მესაკუთრის მიერ პირველი გირავნობის მოწმობის აღებისა და გამოყენების შემდეგ სანოტარო განყოფილებას შეუძლიან მისცეს მას მეორე მოწმობაც. ხოლო ამ მოწმობის გამოყენების შემდეგ—მესამე და სხვ. ამასთანავე თვითეულ მოწმობაში აღნიშნულ უნდა იქნეს მერამდენეა იგი მოწმობათა გაცემის რიგის მიხედვით.

9. უკეთუ მესაკუთრემ დაჰკარგა პირველად ან შემდეგ მიცემული გირავნობის მოწმობა, მას დაკარგული მოწმობის დუბლიკატი აღარ მიეცემა. ხოლო სანოტარო განყოფილებას შეუძლიან ქონების მესაკუთრის თხოვნით მოხსნას მის ქონებას დაკარგული მოწმობის მიცემის გამო დადებული ყადაღა შემდეგი პირობების შესრულებით:

ა) როდესაც დაკარგულია ისეთი გირავნობის მოწმობა, სადაც აღნიშნულია ის დაწესებულება, რომლისათვისაც იგი უნდა წარედგინათ (მუხ. 7), ამგვარ მოწმობის გამო ქონებაზე დადებული ყადაღა მოიხსნება, უკეთუ ქონების მესაკუთრე წარადგენს ამ დაწესებულების მოწმობას, რომ ეს ქონება მასთან არ არის დაგირავებული და არც აღნიშნული გირავნობის მოწმობაა მასთან; ბ) ხოლო როდესაც დაკარგულია ასეთი გირავნობის მოწმობა, სადაც აღნიშნული არ არის დაწესებულება ან საწარმო, რომლისთვის იგი უნდა წარედგინათ, ქონების მესაკუთრე [illegible] სანოტარო განყოფილების წინაშე [illegible] განთავისუფლების შესახებ და თანაც გამოაცხადებს ადგილობრივ ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში, როგორც ამ მოწმობის დაკარგვას, ისე იმასაც, რომ აღძრულია სანოტარო განყოფილებაში სათანადო თხოვნა აღნიშნული მოწმობის გაცემის გამო დადებული ყადაღის მოხსნის შესახებ. ერთი თვის შემდეგ დღიდან განცხადებისა, ხოლო არა უადრეს 7 თვისა დღიდან დაკარგულ მოწმობის გაცემისა, სანოტარო განყოფილება მოახდენს ცნობას სანოტარო აქტების დავთრებში—თავისუფალია თუ არა ეს ქონება სხვა ყადაღებისაგან, ან ხომ არავის შემოუტანია ყადაღის მოხსნის საწინააღმდეგო განცხადება, და თუ დარწმუნდება რომ ქონების მესაკუთრის შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, განთავისუფლებს ქონებას დაკარგული მოწმობის გამო დადებულ ყადაღისაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

იურიდიული რჩევა-განმარტებანი

რემონტზე დახარჯულ თანხის ანაზღაურების შესახებ

კითხვა

მოგახსენებთ რომ, მე ვცხოვრობ ცოლ-შვილით ანდრეევის ქუჩაზე № 66 სახლი გურგენიძის, უკვე 15 წელიწადია სადაც ამ ხნის განმავლობაში არავითარი შეკეთება არ ქონია ჩემს ბინას ე. ი. ორ ოთახს რომელშიაც ვცხოვრობთ ექვსი სული. ამ უკანასკნელ დროს ძალიან დაზიანდა ჭერი და აგრეთვე იატაკი, რომელზედაც სახლის პატრონმა გურგენიძემ ყური არ შეიბერტყა, რის გამო მე შევაკეთე ჩემი ხარჯით ზემო აღნიშნული ჭერი და იატაკი.

გარდა ამისა მე სავსებით არ დამიმთავრებია შეკეთება ბინის რაც მინდოდა ახლო მომავალში გამეკეთებინა.

გთხოვთ განმარტებას თუ ვის უნდა გაუქვითო ჩემ მიერ დახარჯული ფული შეკეთებაზე, ან და მომავალში ვინ უნდა შეაკეთოს დანარჩენი შესაკეთებელი. (ჯამაგირს ვიღებ მე-2-ე ხარისხ. 20 მან.).

მთხოვნელი გურული.

პასუხი

ჭერ-იატაკის შეკეთება წარმოადგენს კაპიტალურ რემონტს. იგი უნდა გაეკეთებინა სახლის პატრონს თანახმად ქ. აღმასკ. პრეზიდიუმის 1[illegible] წ. ივლისის დადგენილება № 88-ის და თუ კი მან ასეთი რემონტი არ გააკეთა, თქვენ გაქვთ უფლება რემონტზე დახარჯული ფული სახლის პატრონს ბინის ქირიდან დაუქვითოთ, მხოლოდ სახლის შეკეთება და ამ შეკეთებაზე დახარჯული თანხის სისწორე უნდა შეამოწმოს აღმასკომის ტექნიკამ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს 1 აპრილს საღამოს 6 საათზე. ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა**. დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგებისა სავალდებულოა: ლორთქიფანიძე, მაშკევიჩი, ინსტრუქტორები: ა. ჯაფარიძე, მირიმანოვი, ხაცკევიჩი, ჯავახია და გაბუნია. ხუნდაძე, ლიცინოვი, ბიბილაძე, ჯაფარიძე გ., ინსტრუქტორი ჩერქეზიშვილი, მუშიშვილი, სვანიძე, მურავიოვი, მელნიკოვი. ინსტრუქტორები: ხუხუა, ცაბაძე და შოგირაძე, გოგლიძე, კორსაველი, მარკაროვი, პეტროვი, ალვიციაური, ფანცხავა.

მოწვეული არიან აგრეთვე ამხ. ივინოვი, როზა ლიუქსენბურგის სახელობის კომკავშირის უჯრედის მდივანი ამხ. ეილოზოვსკი და საზ. „თვითმშრომელი“-ს წარმომადგენელი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, ხუთშაბათს, 1 აპრილს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება **მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა**.

სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომი** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 1 აპრილს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება მეორე რაიკომის **მიმღები კომისიის სხდომა**.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს № 23 უჯრედიდან გამოცხადდენ ორი დღის განმავლობაში რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში: 1) გრიგოლ ხუნდაძე, 2) ნ. [illegible], 3) გ. ნუცუბიძე, 4) შ. ოდილავაძე, 5) გვა[illegible], 6) ა. პაპავა, 7) გ. მჟავანაძე, 8) იოსებ ნი[illegible]ლოზის ძე ტატიევი, 9) ნიკოლოზ ცურცუმია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მესამე რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ მესამე რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში სამი დღის განმავლობაში: გოგორიანი იაკობ, კაკაურიძე ივანე, ონაშვილი გიორგი, მისკევიჩ გიორგი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის **კომიტეტი** წინადადებას აძლევს ყველა კომუნისტებს—[illegible] საიჯარო ამხანაგობათა გამგეობის და სარევიზიო კომიტეტების წევრებს, გამოცხადდენ პროფსაბჭოს დიდ დარბაზში კრებაზე დღეს, ხუთშაბათს, 1 აპრილს, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგში [illegible] საკითხები, რომლებიც [illegible] არიან საბინაო-საიჯარო კოოპერატივების საქალაქო კონფერენციის მოწვევასთან.

მეუღლე ნატალია, ძმა რაჟდენი და რძლები—მინა და ოლინკა დოლიძეები, და ქამიტო და სიძე ნოე ქურიძეები, დისა და ძმისწულები—ლუბა, ნინო, ქეთევან, არეთა, დათიკო, მიშა, მარგალიტა, კატუშა, ანდრო და ვალოდია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უსაყვარლესი

ნესტორ ბეჟანის ძე დოლიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 1 აპრილს, დღის 4 საათ. ს. ბახვში (გურია). ნ. 987 1—1

უზომო მწუხარებაში მყოფნი მამიდა მარიამი, მამიდაშვილები: ალექსანდრა, გრიგოლი, შალვა, თამარი, სოფიო და გოგი კახაბერები, სიძე—ექიმი ლავრენტი სარალიძე და რძლები: ნინო და ეფროსინე აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ სამშაბათს, 30 მარტს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, პოლიტეხნიკუმის სტუდენტი

იოსებ დიმიტრის ძე მჭედლიძე

გამოსვენება პარასკევს, 2 აპრილს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღის 4 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2023 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ალექსანდრე, არჩილი და ვლადიმერი, რძალი ეფროსინე, ძმისწულები: მარგარიტა და მერი მჭედლიძეები, დეიდა ლიდა და ბიძა ნიკო თათარაშვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ სამშაბათს, 30 მარტს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი, პოლიტეხნიკუმის სტუდენტი

იოსებ დიმიტრის ძე მჭედლიძე

გამოსვენება პარასკევს, 2 აპრილს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2023 1—1

ა.-კ. და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციების კომუჯრედი იუწყება, რომ 30 მარტს დილის 10 ნახ. საათზე გარდაიცვალა უჯრედის ბიუროს წევრი კომპარტიის და რკინის გზელთა კავშირის აქტიური მუშაკი

ამხ. ანდრო ვასილის ძე კარპოვი

დასაფლავება დღეს, 1 აპრილს, საღამოს 4 საათზე. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან (ანდრეევის ქ.). 2020 1—1

საქართველოს კინო მრეწველობის აქც. საზოგადოების ახალი სურათი
„ნათელა“
(უტე მიქავა)
აპოლო არფასტო სოლეი
რეჟისორი—ა. ი. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი—ს. ა. ზაბოზლაევი
კასა ღიაა საღ. 5 ს—დან. 1 სეანსის დასაწყისი საღ. 6 ს.
0—22 ნ. 864 გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
-ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ შრომებით ქმნობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, გორილანოვის ქ. № 20.
50—30

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილება. შო დილის 3—5 დღ. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ქალ. ზესტაფონი
25 თებერვლის ქუჩა № 58
დაარსდა
სავაჭრო საწარმოო ამხანაგობა
„გლეხთა დახმარება“
რომელიც აწარმოებს ყოველგვარ სავაჭრო საწარმოო ოპერაციას. ამხანაგობა გატარებულია რეგისტრაციაში ქალ. ზესტაფონის სახალხო ნოტარიუსთან რეესტრის № 28 ქვეშ, და შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში
1926 წლის 20 მარტის თარიღით № 5182
ამხანაგობა „გლეხთა დახმარება“.
7—3 ნ. 961

რუსთაველის თეატრი
დღეს, 1 აპრილს,
საოპერო სტუდიის წარმოდგენა
I. ჯამბაზები
II. მზეთა-მზე მე-3 აქტი.
დადგმა: ა. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დირიჟორი სახ. არტ. ვ. ფალიაშვილი.
შაბათს, 3 აპრილს,
უკანასკნელად ამ სეზონში
1—1 ლ ა მ ა რ ა ნ. 989

სახელმწიფო [illegible]
დღეს, 1 აპრილს,
გრიგორ პიროგოვის
გასტროლი
რ უ ს ა ლ კ ა
პარასკევს, 2 აპრილს,
სანდრო ინაშვილის
გასტროლი
სევილიელი დალაქი
ნ. 988 1—1

სახელმწიფო ოპერა
სამშაბათს 6 აპრილს
და
ხუთშაბათს 8 აპრილს
ახალი ორიგინალური ქართული ოპერა
„თამარ ცბიერი“
მუსიკა მ. ა. ბალანჩივაძის
დადგმა ა. რ. წუწუნავასი
დირიჟორობს ს. ა. სტოლერმანი
ახალი კოსტიუმები და დეკორაციები მხატვარ
დ. შევარდნაძის ესკიზებით.
3—1 ნ. 990

ა-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი
საყოველთაო ცნობისათვის აცხადებს, რომ ნება ეძლევა საქართველოს ცაკ-თან არსებულ ომის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტს ერთი წლის ვადით, ე. ი. 1927 წლის 1 აპრილამდის გაავრცელოს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე საქველმოქმედო მარკები შემდეგი წარწერით:
ა) საქველმოქმედო მარკა
ბ) იძულებული მსვლელობა არა აქვს
გ) არ შეიძლება მიღება-გაცემა ფულის ნიშნების მაგიერ.
1—1 2019 ამიერ-კავკასიის ფინსახკომი.

საქციონერო საზოგ. „ხლებოპროდუქტის“
თბილისის განყოფილება
აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ ამიერ-კავკასიის შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით ფქვილის საბითუმო ფასები კოოპერაციისა და ორგანიზაციების მიერ რონოდებით შესყიდვის დროს შეცვლილია შემდეგნაირად:
1 ხარისხის 3 მ. 50 კ. 3 მ. 35 კაპ. მაგიერ
2 „ 2 მ. 60 კ. 2 მ. 85 კაპ. „
3 „ 1 მ. 80 კ. 1 მ. 70 კაპ. „
კერძო პირებს მიეცემათ 20 კაპ. მეტათ ფუთი. განუსხვავებლად მიეცემა ყველას სიმინდი 1 მან. ფუთი, ქერი 1 მ. 60 კ.—ფრანკო სად. თბილისი. 2—2

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი,

ამით აცხადებს, რომ 6 აპრილს 1926 წელსა დილის 10 საათზე, ადგილობ. ქ. ქუთაისში, აკაკი წერეთლის ქუჩის შესახვევში, ივანე ყარამანის ძე დათეშიძის ხე-ტყის ქარხნის ეზოში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება სინო ვასილისძის მანაგაძის აწერილი ოცდაათი ძელი თხმელის ხეები—სიგრძით ექვს-ექვსი არშინი, სისქით კი შვიდ-შვიდი ვერშოკი—შეფასებული 300 მანეთ., მიტროფანე რუხაძის ვალის 483 მანეთის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება 300 მანეთიდან. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 980 1—1

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი № 15. (ყოფილი ვერის დაღმართი). 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირბელი.
იმელის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილი, სქესობრივ სისუსტე, ტრიპერი) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათ.მდე. 25—17

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა ([illegible]). 25—18

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე. [illegible] № 7 (შესავალი [illegible]) 25—7

ექ. ი. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათამდე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს. მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—13

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. იმელის ქ. (ყოფ. საპერის) № 3. 25—8

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის. 25—17

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ, საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამ. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.) [illegible] 22—17

ექიმი მ. ა. ლეპოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპერის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. ქუჩ. 25—18

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, ს. დაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მეხილის შესახვევი № 8. 25—17

მედიცინის დოქ. ა. ა. მონინი
დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—19

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექ. ვასილი ნიკიფორისძე ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება: დილის 9—11-და და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: საბჭოთა (ყოფ. [illegible])

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77. 25—7

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინსკის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

დავკარგე [illegible] სალაროს წიგნაკი № 32404 ტატიანა ყუფარაძის სახელზე, ბ. გ. 2018 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ჩემი და ჩემი მეუღლის № 20950 და № 31829 ლუკა მეტრეველის სახელზე, ბ. გ. 2017 1—1

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 8751 ონისიმე გველესიანის სახელზე, ბ. გ. 2017 1—1

დავკარგე ნაძალადევის კოოპერატიული დუქნის საწევრო წიგნაკი № 216 მაშა კახიანის სახელზე, ბ. გ. 2017 1—1

დავკარგე პასპორტი მოცემული თბილისის 1-ლი სამილიციო რაიონიდან ი. დიასამიძის სახელზე, ბ. გ. 2021 1—1

დავკარგე პარტ-კანდიდატობის წიგნაკი № 2514, დამხმარე სალაროს წიგნაკი № 176 და ამავე [illegible] საოლქო სასამართლოს მიერ, რომლითაც უნდა მივეღო 5 თვის ჯამაგირი დიმიტრი [illegible] სახელზე, ბ. გ. 2022 1—1

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი [illegible] სახელზე, ბ. გ. 2022 1—1

დავკარგე [illegible] № 551, № 1049 [illegible]

[illegible] თარუმოვი
[illegible] ბავშვთა ავადმ-[illegible]

ექიმი ი. ი. [illegible]
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. [illegible] 8—9 საათ. და საღ. 6—7 [illegible] № 74 [illegible]

ექიმი გ. ნ. მახაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი [illegible] და ნაწლავების ავადმყოფობანი [illegible] სპეციალური ექიმობა.

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
[illegible] 8—7 საათ. საღამოს 6—7 საათ. [illegible]

ექიმი არსენ ვადაჭკორია
[illegible] ქალთა ავადმყოფობებს და [illegible] სამეანო დახმარებას [illegible] 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე. [illegible] № 35 25—11

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი მიღება საღ. 3—6 [illegible]